ერთი წლის განმავლობაში პატიმართა რაოდენობა 2 ათასით გაიზარდა A2

უდიდესი ტრაგედია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში A5

მონიტორინგი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 27 დეკემბერი, 2004 წელი. №307 (856) ფასი 50 თეთრი

ძარცვა სახელმწიფოს სახელით

ანაბრების საიდუმლო

ჰაატა ვეშაპიძე

ათ წელიწადზე მეტია, საქართველოში მეანაბრეები დაკარგული ფულის დასაბრუნებლად იბრძვიან - ჩივიან სასამართლოებში, აწყობენ საპროტესტო აქციებს, ქმნიან საზოგადოებებს... ათ წელიწადზე მეტია, მათ ამ ფულის დაბრუნებას ჰპირდებიან (განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში), მაგრამ რაც დრო გადის, მათი შანსები მით უფრო იკლებს, რადგან ყოველ ახალ ხელისუფლებას სულ უფრო უმცირდება პასუხისმგებლობა იმ დანაზოგების დაბრუნებაზე, რომელიც ხალხს 90-იანი წლების დასაწყისში მმართველმა კასტამ დანაშაულებრივი გზით მოჰპარა.

არავინ იცის, გააქტიურდებოდა თუ არა ეს თემა კიდევ ერთხელ, რომ არა სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნა. კომისიამ მუშაობის შედეგები და მოპოვებული მასალა საჯაროდ ამ კვირაში უნდა გამოაცხადოს. მანამდე კი, ყველა ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუმცა, "24 საათს" აქვს შესაძლებლობა, საპარლამენტო კომისიის განცხადებებამდე შესთავაზოს მკითხველს საკმაოდ სერიოზული დოკუმენტური მასალა ანაბრების კრედიტებად გარდასახვასთან და გაქრობასთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ დღეს "24 საათის" თანამშრომლები, 1993 წელს კი გაზეთ "კავკასიონის" ჟურნალისტები – მაია ჭალაგანიძე, პაატა ვეშაპიძე და დავით ნინიკაშვილი ინტენსიურად მუშაობდნენ იმ პერიოდში კრედიტების უკანონოდ გატანის თემაზე. მთავარი რედაქტორი კი, მაშინაც მამუკა ფაჩუაშვილი იყო. 1993-1994 წლებში მუშაობის შედეგად უამრავი დოკუმენტი დაგროვდა, რომელთა მხოლოდ ნაწილი გამოქვეყნდა. დღევანდელი გადასახედიდან მთელი ეს მასალა უნიკალურად გამოიყურება, რადგან, პრაქტიკულად, სრულად აღადგენს იმ განუკითხაობისა და ქაოსის სურათს, რომელიც სუფევდა იმდროინდელ საქართველოში. სწორედ ამ ქაოსში შთაინთქა საქართველოს მოქალაქეთა ანაბრები. უფრო ზუსტად კი, თითქმის მთელი მოსახლეობის მცირე-მცირე დანაზოგებმა ხელისუფლებაში მყოფი და მასთან დაახლოებული რამდენიმე ასეული ადამიანის ჯიბეში მოიყარა თავი. დანარჩენები - მილიონები კი, როგორც იტყვიან, დარჩნენ დასამარხი ფულის გარეშე.

ათი წელიწადია ანაბრების თემა არ ჩამოდის პოლიტიკური სცენიდან. მიუხედავად ამისა, დღემდე არავის უცდია, შეექმნა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი, თუ რა ხდებოდა იმ დროს ქვეყანაში, რა სქემებით იტაცებდნენ მილიონებს, რატომ მდიდრდებოდა უმცირესობა და რატომ რჩებოდა ლუკმაპურის გარეშე თითქმის მთელი მოსახლეობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

დემურ დვალიშვილი:

"ვიცოდი, რომ მომკითხავდნენ, მაგრამ მაინც მივდიოდი ამაზე"

(გაზეთი "კავკასიონი", 12 იანვარი, 1994 წ.)

- დავიწყოთ იმით, რომ არ ჩანხართ. სად მოღვაწეობთ?

- რაც ეროვნული ბანკიდან წამოვედი, სახლში ვზივარ, ვმუშაობ. ვამზადებ მასალებს. ალბათ, უახლოეს ხანში პარლამენტში ეროვნული ბანკის საქმიანობას განიხილავენ...

- საინფორმაციო საშუალებებს მაინცდამაინც არ სწყალობთ. რატომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე?

- რა ვიცი, ვერ გეტყვით. თქვენ ისე კარგად მომიწვიეთ, რომ უარი ვერ გითხარით.

- მაშინ, პირველივე შეკითხვა ყველაზე მტკივნეულ საკითხს, კუპონს შეეხება. თქვენ კუპონის შემოღების გარიჟრაჟზე მოღვაწეობდით. რა იყო ეს კუპონი? რა დაემართა? როგორ გააგრძელებს და რით დაამთავრებს არსებობას?

- რთული შეკითხვაა. თუმცა, ალბათ, ყველასთვის საინტერესო იმიტომ, რომ კუპონი ახლა მართლაც ცუდ დღეშია... კუპონის მდგომარეობა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე არ არის დამოკიდებული. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ შეეკითხნენ ბანკის ახალ პრეზიდენტს კუპონის შესახებ. ჩემთვის საინტერესოა მისი პასუხი: მან თქვა, რომ გაამკაცრებენ საკრედიტო პოლიტიკას და კუპონს ეშველებაო... რაც მე ეროვნული ბანკიდან წამოვედი, კატასტროფულად დაეცა კუპონის კურსი.

გაგრძელება A8 გვერდზე

იუშენკოს გამარჯვება

ეგზიტპოლების მოსალოდნელი შედეგები

ნაციონალური ეგზიტპოლის წინასწარი შედეგებით მარტო კიევში ვიქტორ იუშენკოს ხმათა 88 პროცენტი ჰქონდა მოპოვებული, მაშინ, როცა მის ოპონენტს მხარი მხოლოდ 10.5 პროცენტმა დაუჭირა.

ხათუნა გაბიევი

არჩევნები, რომლის განმეორებასაც კიევში, თავისუფლების მოედანზე, უამრავი ადამიანის პროტესტის ნიშნად გამოსვლა და პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორიაში "ნარინჯისფერი" მოძრაობის სახელის დამკვიდრება დასჭირდა, გუშინ შედგა და სავსებით მოსალოდნელი შედეგითაც დასრულდა. საარჩევნო უბნების დახურვისთანავე თავისუფლების მოედანზე შეკრებილმა ხალხმა თავიანთი კანდიდატის, ვიქტორ იუშენკოს გამარჯვების აღნიშვნა დაიწყო. მოედანზე პირდაპირ მიმდინარეობდა მე-5 არხზე ეგზიტპოლების წინასწარი შედეგების ტრანსლაცია.

გაგრძელება A5 გვერდზე

დანაპირები შესრულებულია - ფინანსური ამნისტია მიღებულია

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პარლამენტმა გასული კვირა ამნისტიის შესახებ კანონის მიღებით დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ორფურცლიანი კანონის დაწერას მთავრობამ და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მთელი წელი მოანდომა, კანონი გარკვეულ კითხვებს კვლავ ტოვებს და საგანგებო განმარტებასაც, უდავოდ, საჭიროებს. იმედია, საქართველოს მთავრობა, რომელმაც ამნისტიის წესის თაობაზე ნორმატიული აქტი, კანონის თანახმად, 15 დღის ვადაში უნდა გამოსცეს, ამ კითხვებს პასუხს ნორმატიულ აქტში მაინც გასცემს. მანამდე კი "24 საათმა" კანონის განმარტება, საკუთარი ექსპერტების საშუალებით, "არაოფიციალურად" სცადა:

გაგრძელება A6 გვერდზე

უცხოეთი

ვინ მართავს სინამდვილეში ვატიკანს ავადმყოფი პაპის დროს?

ვატიკანის კულუარებში ჩვეულებრივ საქმედ იქცა რომის პაპთან დაახლოებული ჩრდილოვანი ჯგუფის თემაზე სპეკულირება, რომელიც პონტიფიკს გამოსასვლელ ტექსტებსა და ქადაგებას უწერს, ურთიერთობს უცხოელ ელჩებთან და ვატიკანის პოლიტიკას განსაზღვრავს.

A5

სამართალი

წლის მოსამართლე

2004 წლის ღირსეული მოსამართლე უკვე გამოვლენილია. ეს სტატუსი თერჯოლის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს დავით ღიბრაძეს მიენიჭა.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც ნარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

	27/12	28/12
თბილისი	13	15
ქუთაისი	18	19
ბათუმი	19	20
სოხუმი	17	17
ფოთი	18	19
თელავი	13	14
ზუგდიდი	18	19
გორი	12	13
ახმეტა	13	14
ჭიათურა	14	16
გაბარა	16	16
სამტრედია	18	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7700
ევრო	2.3965
გირვანქა სტერლ.	3.4103
რუბლი	0.0636

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გეძნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ანაბრები

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მონიტორინგი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

მოკლედ

ზაზა შენგელიას პარლამენტარი დაუპირისპირდა

საქტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარეს ზაზა შენგელიას თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის საკითხი, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში კიდევ ერთხელ დაისვას.

ზაზა შენგელიას, ამჯერად, პარლამენტარი ზაზა მალანია უპირისპირდება. საქმე ის არის, რომ უკვე მრავალი თვეა, ზაზა მალანია ტელევიზიით ყრუ-მუნჯებისათვის საინფორმაციო პროგრამების სინქრონულ თარგმანს ითხოვს. ამ მოთხოვნის შესახებ საქმის კურსშია თავად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც, რომელიც ზაზა მალანიას დაჰპირდა, რომ მის მოთხოვნას შეასრულებდნენ, თუმცა სინქრონული თარგმანი, ჯერჯერობით, კვლავაც არ არის.

როგორც ზაზა მალანიამ განაცხადა, თუ სინქრონული თარგმანი იანვრიდანაც არ დაიწყება, იგი პარლამენტში ზაზა შენგელიას თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს დასვამს. **მედია-ნიუსი**

შევარდნაძეს პარლამენტის მომხსენებელთა ჯგუფისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს

1992-1993 წლებში მოსახლეობის ანაბრების გაუფასურებასთან დაკავშირებით პარლამენტში შექმნილმა მომხსენებელთა ჯგუფმა, რომელიც ამ პროცესში დეპუტატ ვანო ჩხარტიშვილის სავარაუდო მონაწილეობას სწავლობს, შესაძლოა, მომავალ კვირას პარლამენტს მუშაობის შედეგები გააცნოს.

როგორც მომხსენებელთა ჯგუფის წევრმა დავით საგანელიძემ აღნიშნა, თუ პარლამენტის წევრები დათანხმდებიან, რომ ანგარიში პარლამენტის რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში შევიდეს, მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვასილ მაღლაფერიძე პარლამენტარებს შესაბამის მოხსენებას გააცნობს, ხოლო თუ ეს რიგგარეშე სესიის მსვლელობისას ვერ მოხერხდება, საკითხი ახალი წლის შემდეგ დადგება დღის წესრიგში.

დავით საგანელიძე მომხსენებელთა ჯგუფის მუშაობის კონკრეტული შედეგების შესახებ ინფორმაციის გახმაურებისგან თავს იკავებს, თუმცა აცხადებს, რომ ანაბრების თემა საკმაოდ ვრცელია და "ამ პატარა მონაკვეთში პრობლემის მთლიანად შესწავლა, განხილვა და, მით უმეტეს, ხელისუფლებისათვის რეკომენდაციების მიცემა შეუძლებელია".

ამ დროისთვის ახსნა-განმარტებები უკვე ჩამოერთვა ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასა და მაშინდელი მთავრობის სხვა წარმომადგენლებს.

რაც შეეხება ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, მომხსენებელთა ჯგუფში აცხადებენ, რომ ამ ეტაპისთვის ედუარდ შევარდნაძისათვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა აუცილებელი არ იყო, ხოლო თუკი მომხსენებელთა ჯგუფი მუშაობას გააგრძელებს, ყოფილ პრეზიდენტს კითხვებზე პასუხის გაცემა მაინც მოუწევს. **მედია-ნიუსი**

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დღეს "ვარდი 2004"-ის ფარგლებში მორიგი სწავლებები ჩატარდება

საქართველოს შეიარაღებული ძალების ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დღეს შინაგანი ჯარების წვრთნების "ვარდი 2004" ფარგლებში მორიგი სწავლებები ჩატარდება.

წვრთნების დროს გამოყენებული იქნება რამდენიმე ათეული მძიმე სამხედრო ტექნიკა, მათ შორის ტანკები და არტილერია, ასევე ავიაცია. სასწავლო სცენარის თანახმად, დაგეგმილია ვერტმფრენებიდან დესანტირება.

წვრთნებში, რომელსაც შინაგანი ჯარის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გოგი თათუხაშვილი პირადად უხელმძღვანელებს, პირველი ოპერატიული ბრიგადის, მუხროვანის და გორის ბრიგადების 1000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

"ვარდი-2004" თითქმის ორი თვის წინ დაიწყო. მისი დახურვის ოფიციალური ცერემონიალი სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენჯერმე გადაიდო. სავარაუდოდ, დღევანდელი წვრთნების დასრულების შემდეგ "ვარდი 2004" ოფიციალურად დახურულად გამოცხადდება. ***ინტერ-პრესი***

ორი სიტყვით

თბილისი. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და სხვა საკითხებისადმი "თავისუფლების ინსტიტუტის" დამოკიდებულება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოზიციისგან განსხვავებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. მარნეულის სამხედრო აეროდრომის ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზაციის პროცესი, რომელიც თურქული მხარის დახმარებით ხორციელდებოდა, უკვე დასრულდა. აეროდრომზე დამონტაჟებულია განათების უახლესი სისტემა, რომელიც მფრინავი საშუალებების ნებისმიერი კლიმატური პირობების დროს უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს. ამასთან, განათების ასეთი სისტემის საშუალებით შესაძლებელია აეროდრომის ტერიტორიის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა და სპეციალური სათვალთვალო კოშკურების მოწყობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს უშიშროების სამინისტროს ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა 200-კაციანმა ბატალიონმა სამხედრო ფიცი დადო. წვევამდელები სამსახურს უშიშროების სამინისტროს სხვადასხვა ობიექტებზე გაივლიან. ფიცის დადების საზეიმო ღონისძიებას პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი დაესწრო. მან ჯარისკაცებს წარმატებები უსურვა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში და სამხედრო მოსამსახურეებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულებას დაჰპირდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

კიევი. უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატს ვიქტორ იუშენკოს საჩუქრად მოოქროვილი ვარდი გადასცა. საჩუქრის გადაცემა იმ საარჩევნო უბანზე მოხდა, სადაც იუშენკომ ოჯახის წევრებთან ერთად ხმა მისცა. პრეზიდენტობის კანდიდატმა ელჩს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ 2004 წელს საქართველოსა და უკრაინაში დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდა. "საქართველოში ეს ცვლილებები ელეგანტურად და ღირსეულად განხორციელდა და, რაც მთავარია, ხალხმა გაიმარჯვა," - დასძინა იუშენკომ. უკრაინაში საქართველოს ელჩის განცხადებით კი, საჩუქრად მოოქროვილი ვარდი იმიტომ შეირჩა, რომ იგი ქართველი ხალხის გამარჯვების სიმბოლოა. **მედია-ნიუსი**

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გაეცანით სხვადასხვა მოვლენებსა,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიცანეთ თქვენი ვერსიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

საქმის „ქართული სუფრა“ წინასწარი განხილვა

წინასწარი მოსმენა საქმეზე: ქართული სუფრა

ექსპერტები : კოტე გაბაშვილი,ფილოლოგი
გოჩა საითიძე,ისტორიკოსი
ჯაბა სამუშია,ისტორიკოსი

განხილვა - ქართული ღვინო და ნადიმი მაღალი ერუდიული კულტურაა, ღვთისება და ღრეობა კი სიმახინჯე და სოციალური უბედურება

ვერდიქტი - მტკიცებულებების არქონის გამო ქართული სუფრის განსამართლება არამიმანშეწონილად გამოცხადდეს

12 ნაფიცი მსმენელი :

როდამნაშაული ზეჩინაშვილი	(უდანაშაულო)
რობურგ ურუშაძე	(უდანაშაულო)
დოლორეს დავითულიანი	(უდანაშაულო)
ანიკო ჯაფარიძე	(დამნაშაული)
ირაკლი ანჩაბაძე	(დამნაშაული)
ნინო ჟურაბანიძე	(უდანაშაულო)
ანონიმი	(უდანაშაულო)
ნოდარ ჯუჯული	(უდანაშაულო)
ნინო ჩიგობაშვილი	(უდანაშაულო)
ანონიმი	(უდანაშაულო)
გურამ შელეგაძე	(დამნაშაული)
ვახტანგ იაშვილი	(უდანაშაულო)

აფხაზეთში დამსხვრეული ილუზიები

“ნუ მეკითხები, რა ხდება აფხაზეთში, დაიმსხვრა იმედები. ილუზია ყოფილა ყველაფერი. მეტი არაფერი ხდება,” – გულდაწყვეტით მითხრა სოხუმელმა ახალგაზრდამ. მეც აღარ ჩავეკითხე და გავჩუმდი. ან კი რა აზრი აქვს საუბარს იმაზე, რისიც უკვე თვით აფხაზებსაც აღარ სჯერათ.

ნინო გომართელი

პირველი ილუზია, რაც აფხაზურ საზოგადოებას დაემსხვრა, იყო ის, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკა დემოკრატიული გზით სვლას იწყებდა.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად მოსკოვის მიერ ხელდასმულმა ნოდარ ხაჟბამ 10-წლოვანი იუბილეს აღნიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესი" გააუქმა.

ხაჟბას განკარგულებით, "აფსნიპრესის" ფუნქციები ახლად შექმნილ ბეჭდვის, ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის სააგენტოს გადაეცა, რომლის ხელმძღვანელად სოხუმის ხელისუფლების ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ ზანთარია დაინიშნა.

თითქმის 10-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში სააგენტო "აფსნიპრესმა", რომლის დაფუძნების შესახებ განკარგულებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ 1995 წლის 31 იანვარს მოაწერა ხელი, სულ 2 186 გამოშვება მოამზადა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გასაშუქებლად ჩასულ 1078 ჟურნალისტზე გასცა აკრედიტაცია.

აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გართულებული პოლიტიკური პროცესების ფონზე "აფსნიპრესმა" 118 გამოშვება მოამზადა და 144 ჟურნალისტზე გასცა აკრედიტაცია.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სახელმწიფო სააგენტო "აფსნიპრესის" ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სოხუმში გუშინ საპროტესტო აქცია გაიმართა.

სააგენტოს მთავარი რედაქტორი იზიდა ჭანია "აფსნიპრესის" გაუქმების შესახებ პრემიერ-მინისტრ ნოდარ ხაჟბას მიერ გაცემულ განკარგულებას "საინფორმაციო საშუალებებზე ზეწოლად" აფასებს.

"სანამ აფხაზეთში კანონები ცალკეული პირების სურვილისამებრ იცვლება, აფხაზეთი დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება," – აღნიშნავს იგი.

არ გამართლდა ილუზია, რომ ამდენი ხნის შემდეგ, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ალტერნატიული არჩევნები ჩატარდებოდა, რაც, მათი აზრით, დამოუკიდებლობისკენ ერთი დიდი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

12 იანვარს დანიშნულ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი, უკვე ყოფილი ოპოზიციონერი – სერგეი ბაგაფში მიიღებს მონაწილეობას.

ადგილობრივმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერის იაკუბ ლაკობას მხარდამჭერთა განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციაში კი გაატარა, მაგრამ თავად ლაკობა კენჭისყრას არ აპირებს. ლაკობას განცხადებით, რომელმაც 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 506 ხმა მიიღო, ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე არსად და არავისთვის მიუცია თანხმობა.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცესკო-ს თავმჯდომარის ბატალ ტაბაღუას განცხადებით, "პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონის თანახმად, მას უფლება არ ჰქონდა, საინიციატივო ჯგუფის განცხადება რეგისტრაციაში არ გაეტარებინა. თუ იმავე საინიციატივო ჯგუფმა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ სახალხო პარტიის ლიდერის, იაკუბ ლაკობას განცხადება არ წარადგინა, არჩევნებში მისი მონაწილეობის საკითხი დღის წესრიგიდან ავტომატურად მოიხსნება.

არჩევნებში მონაწილეობაზე ასევე უარს აცხადებს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა, რომელმაც 3 ოქტომბრის არჩევნებში 5993 ხმა დააგროვა.

ამიტომაც, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის ილუზიაც დაიმსხვრა. მოსახლეობას, რომელსაც სჯეროდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ არჩევანს გააკეთებდა და ლიდერობას, ვისაც სურდა, იმ ადამიანს ჩააბარებდა, იმედები გაუცრუვდა.

დღეს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვის ერქმევა პრეზიდენტი, ის მაინც “დიდი რუსეთის” რჩეული და მარიონეტი იქნება, რომელიც კრემლისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საკუთარ რესპუბლიკაში ეკონომიკურ ბლოკადას მიიღებს.

ერთი წლის განმავლობაში პატიმართა რაოდენობა 2 ათასით გაიზარდა

შეწყალების სახელმწიფო კომისიამ გუშინ ქვეყნის პრეზიდენტს კიდევ 53 პატიმრის შეწყალების თხოვნით მიმართა. შეწყალების სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ პრეზიდენტი საახალწლო ამნისტიას გამოაცხადებს და პატიმრებს შეიწყალებს. როგორც ცნობილი გახდა, საახალწლოდ შესაწყალებელთა სიაში მოხვედრილი 53 პატიმრიდან უმრავლესობა მძიმე ავადმყოფია. მათგან ოთხი პატიმარი, რომელთაც 15 წლით ჰქონდათ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა, აჭარის იზოლატორში იმყოფება და სასჯელის ათი წელი უკვე მოხდილი აქვს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის დამოუკიდებელ ბიუჯეტებს ითხოვს.

ბოლო ერთი წლის მანძილზე ქვეყანაში პატიმართა რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა, რამაც ციხე-კოლონიების გადატვირთვა გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, ერთი წლის განმავლობაში პატიმართა რაოდენობამ 2 ათასით მოიმატა.

თითოეული პატიმრის კვების დაფინანსების გაზრდა სახელმწიფომ სწორედ ასეთი მატების გამო ვერ მოახერხა. დღეს საქართველოში სულ 8 200 პატიმრია. ამჟამად სახელმწიფო ერთი პატიმრის კვებაზე თვეში 25 ლარს ხარჯავს.

2005 წელს იუსტიციის სამინისტროს სამი ახალი ციხე-კოლონია შეემატება.

ქუთაისის ციხე 26 მაისისთვის გაიხსნება და ის 1500 პატიმარზე იქნება გათვალისწინებული. აქედან, 500 ადგილი გაუსამართლებელი პატიმრებისთვის იქნება გათვალისწინებული. ევროკავშირის დახმარებით რუსთავში ახალი კოლონია, სავარაუდოდ, აგვისტოსთვის გაიხსნება. მესამე ციხე კი 2005 წელს ავჭალაში გაიხსნება და მას ქალთა და ბავშვთა კოლონია დაერქმევა.

"სამინისტრომ უკვე შეასრულა ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნა რუსთავის კოლონიის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით. წყლის პრობლემის გადასაჭრელად, იქ დიდი მოცულობის წყლის ავზები დამონტაჟდება. რაც შეეხება ავჭალის კოლონიას, ის კავკასიაში ყველაზე ევროპულად იქნება მოწყობილი. ეს კოლონია სამედიცინო ოთახებითა და გათბობით იქნება უზრუნველყოფილი," - ასეთია იუსტიციის მინისტრის პირობა.

გიორგი პაპუაშვილის განცხადებითვე, სამინისტროს ხელმძღვანელობამ პრიორიტეტად 2005 წლისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა საშუალო ხელფასის 150 ლარამდე გაზრდა მიიჩნია. **"იუსტიციის სამინისტრო აღნიშნული რაოდენობის ხელფასით რაიონებში საკუთარ თანამშრომელთა დამაგრების პოლიტიკას ახორციელებს. სახელმწიფო იმ ვალდებულებასაც ვერ ასრულებდა, რაც კანონით ჰქონდა დაკისრებული. პენიტენციალური სისტემის თანამშრომლების მიმართ ყურადღება მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება,"** - აცხადებს მინისტრი.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის დამოუკიდებელ ბიუჯეტებს ითხოვს. კომიტეტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ თუკი სასჯელაღსრულების დაწესებულებებს დამოუკიდებელი და არაცენტრალიზებული ბიუჯეტები ექნებათ, პატიმართა კვების ხარისხი გაუმჯობესდება.

"სასჯელთა აღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელები ჩემთან პირად საუბრებში აცხადებენ, რომ თუ მათ დამოუკიდებელი ბიუჯეტები ექნებათ, მომარაგების სისტემას შეცვლიან და პატიმართა კვებისთვის ადგილობრივ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს გამოიყენებენ," - აცხადებს ელენე თევდორაძე.

24 საათი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძარცვა სახელმწიფოს სახელით

ჰირველი გვერდიდან

ამიტომაც, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ვცადოთ ამ სურათის აღდგენა, გავახსენოთ მკითხველს, რა ვითარება იყო იმ წლებში, ვაჩვენოთ დანაშაულებრივი გარიგებებისა და სქემების არსი, დოკუმენტების საფუძველზე წარმოვაჩინოთ ის იურიდიული პირები და მოხელეები, ვინც ძარცვავდა ხალხს და ქვეყანას. ვფიქრობთ, ეს აუცილებელია და, აი, რატომ:

ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ ლუსტრაციაზე, რომლის მთავარ მიზნად ის სახელდება, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები ან აგენტები ვერ მოხვდნენ სახელმწიფო სამსახურში. სწორედ ასეთივე ლუსტრაცია უნდა შეეხოს იმ ადამიანებსაც, ვინც მონაწილეობა მიიღო ხალხის ძარცვაში, რათა მათ სამუდამოდ გადაეკეტოთ გზა ხელისუფლებისაკენ. გარდა ამისა, ხსენებული სურათის შეძლებისდაგვარად ზუსტად აღდგენა, დაანახებს მოსახლეობას, თუ როგორ მოხვდა მათი ანაბრები მავანთა საბანკო ანგარიშებზე, ვინ არიან ეს "მავანნი", რაც, თავის მხრივ, აუცილებელია შეფასებისთვის – რამდენად რეალურია ამ ფულის უკან მიღება.

ვფიქრობთ, ეს პუბლიკაციები დაეხმარება საპარლამენტო კომისიასაც. მარტო ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის – დემურ დვალიშვილის ინტერვიუ რად ღირს! ეს არის ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც დემურ დვალიშვილს პრესისთვის მიუცია. ამ საუბრიდან რამდენიმე თვეში, 1994 წლის 9 სექტემბერს მან თავი მოიკლა. "კავკასიონის" უკვე მომდევნო ნომრებში დემურ დვალიშვილს პასუხობენ იმ დროს უკვე ყოფილი პრემიერი და ვიცე-პრემიერი თენგიზ სიგუა და რომან გოცირიძე. ამას მოსდევს პროკურატურის და კონტროლის პალატის ხელმძღვანელთა და სხვათა გამოხმაურებები. პარალელურად კი – რა ხდება კავკასიის ბირჟაზე, რა ფასებია სავაჭრო ქსელში, ტრანსპორტზე, რას ფიქრობენ მოქალაქეები (სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით) და ა.შ.

"კავკასიონის" გაყვითლებული ნომრები მართლაც უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა მაშინდელი სურათის აღსადგენად, რასაც, ვფიქრობთ, უყურადღებოდ არც დღევანდელი საპარლამენტო კომისია დატოვებს, მით უმეტეს, რომ მისი თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე "კავკასიონის" ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო.

უფულოდ დარჩენილი საქართველო

საბჭოთა პერიოდში, ის, ვინც ქრთამს არ იღებდა ან კომბინატორი (მაშინ ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ყველა საქმოსანს) არ იყო, დანაზოგებს ე.წ. შემნახველ სალაროებში აგროვებდა. ზოგჯერ თანხის გატანა ჭირდა, მაგრამ თუ სალაროს რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილებდი, საკუთარ ფულს ვერავინ დაგიკავებდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი ექსპერიმენტი დაიწყო: ზოგიერთი დარგის მოხელეებს (რკინიგზის და მეტროპოლიტენის თანამშრომლები, სამხედროები და სხვ.) ხელფასებს და პენსიებს პირდაპირ შემნახველ სალაროში ურიცხავდა და მათაც, თუ დიდი ანაზღაურება ჰქონდათ, წიგნაკზე (როგორც მაშინ უწოდებდნენ) სერიოზული თანხა უგროვდებოდათ. ასე რომ, მეანაბრეც ბევრი იყო და ანაბრების საერთო რაოდენობაც სოლიდურ თანხას შეადგენდა.

1991 წელს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლა ოფიციალურად გამოცხადდებოდა, მოსკოვმა ფინანსური ბერკეტების გამოყენებითაც სცადა უკვე დანგრეული იმპერიის გადარჩენა და ურჩ რესპუბლიკებს, მარტივად რომ ვთქვათ, სსრკ-ს ცენტრალური ბანკიდან ფულის მიცემაზე კატეგორიული უარი განუცხადა. ამან, რასაკვირველია, უმძიმესი გავლენა იქონია საქართველოს ისედაც სულთმობრძავ ეკონომიკაზე. მოიშალა ფინანსური სისტემა, ჭირდა ხელფასების, პენსიების გაცემა. მაგრამ, 1991 წლის ბოლოს "ჩაწყობით" მაინც მოხერხდა ფულის გარკვეული მასის შემოტანა საქართველოში, მაგრამ თბილისში უკვე ომი მძვინვარებდა და ეს ფულიც – ბოლო ინექცია - დაიკარგა (ამ დაკარგული ფულის თემას უახლოეს ნომრებში დავუბრუნდებით, როდესაც შემოგთავაზებთ მაშინდელი ვიცე-პრემიერის და ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის ინტერვიუს). ერთი სიტყვით, დამოუკიდებელი საქართველოს ხაზინა ცარიელი აღმოჩნდა. ანუ ქვეყანაში დარჩა მხოლოდ იმდენი რუსული მანეთი, რამდენიც მიმოქცევაში იყო, ამ მასაში ითვლება მოქალაქეთა ანაბრებიც. და ეს ფულიც, ასე ვთქვათ, ფუჭდებოდა, რადგან რუსული მანეთი სულ უფრო უმატებდა დევალვაციის ტემპს.

იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას საგანგებო ზომები მიეღო მოსახლეობის დასაცავად (თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად), 1992 ზაფხულში, მოტყუებით და ცრუ გარანტიებით, მოსახლეობას ხელზე დარჩენილი ფულიც შეატანინეს ბანკებში, ერთ წელიწადში ანაბრების გაორმაგების პირობით. შეატანინეს და მაშინვე გასცეს კრედიტებად.

კრედიტი სწრაფად და უშრომელად გამდიდრების საუკეთესო საშუალებად იქცა და ვინც ახლოს იყო ხელისუფლებასთან, ყველა "გაკეთდა".

სქემა მარტივი აღმოჩნდა: ხელისუფლების წარმომადგენლის რეკომენდაცია სრულიად საკმარისი იყო კრედიტის მისაღებად. რაც უფრო გავლენიანი თანამდებობის პირი იყო "რეკომენდატორი", მით მეტი თანხის მიღება ხერხდებოდა. კრედიტით გათვალისწინებული პირობის შესრულებას კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავინ აპირებდა. გატანილ ფულს სასწრაფოდ უკეთებდნენ კონვერტაციას (გადააქცევდნენ დოლარად) და "აძინებდნენ". საკმარისი იყო რამდენიმე თვე მოცდა და, სწრაფი დევალვაციის ხარჯზე, კრედიტით განსაზღვრული რაოდენობის რუსული ფული ან კუპონი იმ დოლარების მეასედი ან უფრო მცირე ნაწილი თუ ღირდა.

რატომ უწყობდა ამას ხელს ხელისუფლება? - ამ კითხვაზე პასუხი დემურ დვალიშვილმა გასცა მაშინდელ სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს – შეგიძლიათ პარლამენტის სხდომები ჩემთან ჩატაროთ, ყველანი აქ არიანო. იმ დროის ძლიერთა ამა ქვეყნისათა სწორედაც რომ არ აძლევდათ ხელს ქვეყნის ხაზინისა და მოსახლეობის დაცვა, რადგან დოლარნახევრიან ჩინოვნიკებს ფულის შოვნის მშვენიერი საშუალება დაეკარგებოდათ.

"ამრიგად, მოგებული დარჩნენ საქმოსნები, იზარალა კი სახელმწიფომ, განსაკუთრებით კი მოსახლეობამ, რომლის ხელშიც ფულის ნიშნები უვარგის ქაღალდად იქცა. ეს კი იმ საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ვერაფერს ვუწოდებთ, თუ არა მცდარსა და დამანგრეველს," – ასეთი დასკვნა გამოაქვეყნა 1993 წლის 16 დეკემბერს საქართველოს პროკურატურის პრესსამსახურმა.

"კუპონის არსებულ მდგომარეობამდე მიყვანა იყო დანაშაული. როდესაც არსებობდა უამრავი ხერხი მისი ინფლაციის ტემპის მკვეთრად შემცირებისა, პირიქით, ბევრი რამე გაკეთდა იმისათვის, რომ კუპონი რეალურად არ არსებულიყო. ბევრი გაკეთდა ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელების მხრიდან, ზოგიერთი სამთავრობო სტრუქტურის მხრიდან, რომლებიც მუდმივად ითხოვენ კერძო ფირმებისთვის უზარმაზარი კრედიტების გამოყოფას, რაც სრულდებოდა და სრულდება კიდეც. ეს კრედიტები იქცა სამთავრობო სტრუქტურებთან დაახლოებული პირების გამდიდრების წყაროდ," – ეს არის ფრაგმენტი კონტროლის პალატის მაშინდელი თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის ინტერვიუდან ("კავკასიონი", 1994 წლის 28 აპრილი), რომელსაც "24 საათის" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

შავი ლაქა სამყაროში

ასე შეაფასა თბილისი 1993 წლის შემოდგომაზე ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა. ალბათ, მძიმეა იმ დღეების გახსენება. ჩაბნელებული და გაყინული ქალაქი; სამოქალაქო ომით დანგრეული ქუჩები; საზიაროდ ანთებული კოცონები, რომელზეც მთელი სადარბაზო ადუღებდა წყალს ჩაისთვის; შეიარაღებული ხალხის თარეში და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს იყო დამარცხებული და გაპარტახებული ქვეყნის დედაქალაქი - მართლაც შავი ლაქა სამყაროში. და მაინც, ცხოვრება გრძელდებოდა...

1993 წლის 4 ნოემბრის "კავკასიონში" გამოქვეყნებულია მეტად საინტერესო მასალა, რომელიც იმდროინდელ ხელფასებს და ფასებს ასახავს. ეს ნათელ წარმოდგენას ქმნის ქვეყანაში შექმნილ სოციალურ მდგომარეობაზე.

ვალუტის კურსი

ოთხშაბათი 3.11.1993
ერთი დოლარი – 29 000 კუპონი

ფასები გაზეთებზე და ჟურნალებზე

"კავკასიონი" – 480 კუპონი
"7 დღე" – 800 კუპონი
"ივერია ექსპრესი" – 245 კუპონი
"დრონი" – 500 კუპონი
"საქართველოს რესპუბლიკა" – 150 კუპონი
"სინემა" – 2 000 კუპონი
"ბაია" – 700 კუპონი

ფასები წიგნებზე

სამეცნიერო – 800 კუპონიდან 5 000 კუპონამდე
საბავშვო – "ბიბლია ბავშვებისათვის" – 5 000 კუპონი
გასართობი – 500-დან 4 000 კუპონამდე
გალაკტიონის კრებული – 20 000 კუპონი

ფასები საკანცელარიო ნივთებზე

რვეული სასკოლო (საერთო) – 1 000 კუპონი
რვეული სასკოლო (12-ფურცლიანი) – 250 კუპონი
კალამი – 300-დან 5 000 კუპონამდე
სახატავი რვეული – 150 კუპონი

ფასები ტრანსპორტზე

ავტობუსი – 20-დან 2 000 კუპონამდე
ტროლეიბუსი – 20 კუპონი
მეტროპოლიტენი – 20 კუპონი
სამარშრუტო ტაქსი – 3 000-დან 8 000 კუპონამდე

თვითმფრინავის ბილეთები

თბილისი-მოსკოვი – 55 000-დან 70 000 მანეთამდე
თბილისი-ბაქო – ღირდა 21 500 მან. 1.11-დან – 18 250 მან.
პეტერბურგი – 72 000 მან.

მატარებლის ბილეთები

500-დან 5 000 კუპონამდე

საქალაქთაშორისო ავტობუსით მგზავრობა

15 000-დან 40 000 კუპონამდე

საყოფაცხოვრებო ნივთები

ჭიქა – 1 800 კუპონიდან 8 000 კუპონამდე
თეფში – კომპლექტი – 100 000 კუპონი
დანა-ჩანგალი – კომპლექტი (12 ც.) – 300 000 კუპონი
ბოქლომი – 5 000 მანეთი
სანთელი – 3 000 მანეთი
ასანთი – 200 კუპონი
სარეცხი ფხვნილი (რუსეთის) – 8 000 კუპონი
ხელსაწმენდი – 5 000 კუპონი
მუშამბა 175 000 კუპონი
ნათურა – 6 500 კუპონი
ტელევიზორი – 100-150 დოლარი
სარეცხი მანქანა – 700 დოლარი
მაცივარი – 390 დოლარი
გაზის ქურა – 400 დოლარი

ჰიგიენა

საპონი – 5 000-დან 10 000 კუპონამდე
შამპუნი – 25 000 კუპონი
სუნამო – 72 000 კუპონი და ზევით
ტუალეტის წყალი – 215 000 კუპონი და ზევით
კბილის პასტა – 20 000 კუპონი
დეზოდორი – 75 000 კუპონი და ზევით
თმის შეღებვა – 20 000 კუპონი
თმის შეჭრა – 5 000-დან 10 000 კუპონამდე

ტანსაცმელი

ჩექმა ქალის – 1 500 000 კუპონი და ზევით
ფეხსაცმელი – 375 000-დან 5 000 000 კუპონამდე
ფეხსაცმელი კაცის – 420 000-დან 1 536 000 კუპონამდე
ფეხსაცმელი ბავშვის – 67 000-დან 100 000 კუპონამდე
ლაბადა ქალის – 2 500 000 კუპონი
ქურთუკი კაცის – 7 830 000 კუპონი
ქურთუკი ბავშვის – 375 000 კუპონი
შარვალ-კოსტიუმი კაცის – 2 500 000
ჯემპრი ბავშვის – 540 000 კუპონი
ჯემპრი კაცის – 1 536 000 კუპონი
პერანგი კაცის – 300 000 კუპონი
წინდა კაცის – 5 000-40 000 კუპონი
ჯემპრი ქალის – 950 000 კუპონი
საცვალი ბავშვის – 3 500 კუპონი
მაისური ბავშვის – 10 000 კუპონი
ქვედაბოლო ბავშვის – 35 000 კუპონი
საცვალი კაცის – 42 000 კუპონი
მაისური კაცის – 33 000 კუპონი

ბაზრის ფასები

ძროხის ხორცი 1 კგ – 70-80 000 კუპონი
ღორის ხორცი – 60-70 000 კუპონი
კარტოფილი – 15-20 000 კუპონი
ზეთი – 2 000 მან ან 600 000 კუპონი
კარაქი – 3 500 მან ან 100 000 კუპონი
ყველი – 3 500 მან ან 50-70 000 კუპონი
ლობიო – 16-25 000 კუპონი
მარილი – 5 000 კუპონი
კომბოსტო – 6 000 კუპონი
სტაფილო – 20 000 კუპონი
ხახვი – 20 000 კუპონი
ჭარხალი – 10 000 კუპონი
ნიორი – 25 000 კუპონი
კვერცხი 1 ც. – 5 000 კუპონი
კაკალი – 45 000 კუპონი
მაწონი – 5-7 000 კუპონი (ქილა)
ვერმიშელი – 75 000 კუპონი
ბრინჯი – 16 000 კუპონი
რძის ფხვნილი – 2 200 მანეთი
ერბო 1 კგ – 100 000 კუპონი
პომიდორი – 12 000 კუპონი
მჭადის ფქვილი – 15 000 კუპონი
ბადრიჯანი – 15 000 კუპონი
შაქარი – 30 000 კუპონი – 1 200 მანეთი

სიგარეტი

კოსმოსი – 7 500 კუპონი
მაგნა – 18 000 კუპონი
განთიადი - 9 000 კუპონი
ასტრა – 4 000 კუპონი
"80" – 4 000 კუპონი

ხელფასები

სახელმწიფოს მეთაური – 78 000 კუპონი
პრემიერ-მინისტრი – 86 400 კუპონი
ვიცე-პრემიერი – 72 800 კუპონი
მინისტრი – 68 000 კუპონი
დეპუტატები – 65 000 კუპონი. სადეპუტატო დანამატი 27 000 კუპონი
რექტორი (უნივერსიტეტი) – 62 400 კუპონი
პროფესორი – 51 440 კუპონი
მეცნიერ-თანამშრომელი – 39 000 კუპონი
ლაბორანტი – 20 800 კუპონი
სკოლის დირექტორი – 40 000 კუპონი
მასწავლებელი – 30 000 კუპონი
გამომძიებელი – 60 000-70 000 კუპონი
პოლიციელი – 35 000-43 000 კუპონი
ექიმი – 26 680 კუპონი
ექთანი – 20 220 კუპონი
ბუღალტერი – 18 200 კუპონი
დამლაგებელი – 18 600 კუპონი
გამყიდველი – 9 200 კუპონი

ალბათ, მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ სახელმწიფოს მეთაურს თავისი ხელფასით ერთი კილოგრამი ერბოს ყიდვაც კი არ შეუძლია; ხოლო მინისტრის ან დეპუტატის ხელფასით სულ ორი კილოგრამი შაქრის შეძენა თუ შეიძლება. ამიტომაც კრედიტები კვლავაც სარფიან საქმედ რჩება. "კავკასიონის" გამოკითხვებში კი, ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ნაწილი ამბობს, რომ სოფლელი ნათესავებისგან გამოგზავნილი პროდუქტით არჩენს ოჯახს. მხოლოდ ერთეულები თუ ასახელებენ შემოსავლების მეტ-ნაკლებად რეალურ წყაროს (უცხოური გრანტები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აღებული ჰონორარები, მშობლების საქმიანობით მიღებული სახსრები).

მაგრამ, როდესაც იმდროინდელ დოკუმენტებს უბრუნდები, ხედავ, რომ კრედიტებს "ჩალიჩობენ" მხოლოდ უშუალოდ ხელისუფლებასთან "შეკრული" ორგანიზაციები. სპეციალურად კრედიტების მისაღებად იქმნება ფირმები, შპსები და ერთი პირის საწარმოებიც კი. მაგალითად: შპს "მე და შენ" იღებს 300 მილიონს, შპს "შალვა თორელი" – 500 მილიონს, ასოციაცია "უტა" – 500 მილიონს. გაზეთზე "ცხოვრება და კანონი" გაცემულია 50 მილიონი 15-პროცენტიანი კრედიტი, როდესაც ჩვეულებრივ განაკვეთი 40 პროცენტის ფარგლებშია. კოოპერატივს "ნუკრი" 700 მილიონს აძლევენ, შპს მორკინალს – 100 მილიონს; გამომცემლობა "სამშობლო" – 500 მილიონი, ფირმა "ჯოჯი" – 200 მილიონი, ფირმა "ლერი" 500 მილიონი. საზოგადოება საქართველოს წყლების სახლი – 2 მილიარდ 100 მილიონის ღირსად მიიჩნიეს, დიზაინერთა კავშირი და ფონდი კი ხუთ თვეში სამჯერ იღებს კრედიტს და ჯამში 25 მილიარდი გამოსდის. კრედიტები გაცემულია მიხეილ მესხის საერთაშორისო ფონდზე (650 მილიონი), შპს "ტექნიკოსზე" (500 მილიონი), ცეკავშირის და ნაძალადევის რაიონის სავაჭრო ცენტრზე, უცხოეთთან ურთიერთობის გურჯაანის განყოფილებაზე, საერთაშორისო ახალგაზრდულ ფონდზე, ორგანიზაცია "საქეთერზეთმშენპროექტზე" (1 მილიარდ 200 მილიონი).

ამ დოკუმენტებში ძალზე ნიშანდობლივია, როგორ "დგება ფეხზე" ფირმა "ვესტა", რომელიც 30 მილიარდამდე კრედიტის მიღების შემდეგ, თავად აარსებს კომერციულ ბანკ "ვესტას" და თავად იწყებს კრედიტების გაცემას, მაგალითად გამომცემლობაზე "ზურმუხტის ფერი სჯულისა" – 500 მილიონი, აგრეთვე - შპს "ზებრაზე", ერთი პირის საწარმოზე "ღორჯო", ფირმა "მწვერვალზე" და სხვ. აქვს თუ არა საზოგადოებას იმის უფლება, გაიგოს, ვისი იყო, ვთქვათ, დიზაინერთა ფონდი თუ ერთი პირის საწარმო "ღორჯო". ისიც საინტერესოა, ვინ იყო მათი რეკომენდატორი ან რა საქმიანობისთვის მიიღეს მათ კრედიტი.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია, რომ კრედიტები, ძირითადად, გაიცემა 1992-1993 წლებში, როდესაც აფხაზეთში ომია.

"ამ საკრედიტო განუკითხაობას აქვს ძალზე უარყოფითი სოციალური შედეგები. 1993 წლის იანვარ-მაისში საქართველოში განათლებაზე დაიხარჯა 7 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე – 5.5 მილიარდი, ხოლო კულტურაზე – 2 მილიარდი. ე.ი. სულ – 14.5 მილიარდი. აქედან ხელფასის სახით გაიცა 8 მილიარდი. მაშინ, როდესაც ცალკეულ "საიმედო ბანკებზე" და ფირმებზე გაიცემოდა მრავალმილიარდიანი შეღავათიანი კრედიტები. მოვიყვანოთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: "თრიალეთი" – 102.7 მილიარდი მანეთი; "მედეა" – 31.5 მილიარდი; "დიზაინერი" – 25 მილიარდი; "ვესტა" – 24.4 მილიარდი; "ბანი და კო" – 17.5 მილიარდი; "რინგი" – 14 მილიარდი; "რუბიკონი" – 10 მილიარდი; "კაქტუსი" – 10 მილიარდი; "კიდობანი" – 8 მილიარდი; "პონტოპოლისი" – 8 მილიარდი; "კომექსი" – 4.4 მილიარდი; "ჯორჯია-სეტკო" – 4 მილიარდი; "პიტერი" – 4 მილიარდი; "ენჯი-ენი" – 4 მილიარდი;" – ეს არის ფრაგმენტი თენგიზ სიგუას წერილიდან, რომელიც "კავკასიონში" გამოქვეყნდა 1994 წლის 17 იანვარს და "24 საათის" მომდევნო ნომერში სრულად შემოგთავაზებთ.

გაძარცული ხალხი

ქართველი ხალხი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მზად არ აღმოჩნდა – ეს თეზისი იმ პერიოდში ჩნდება - მძარცველები ქვეყნის გაპარტახებაში ისევ გაძარცულებს ადანაშაულებენ. მაგრამ სულ სხვა სურათს იძლევა იმ პერიოდის სოციოლოგიური კვლევები. "კავკასიონი" 1994 წლის 2 ნოემბერს აქვეყნებს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის (გელაპის) კვლევის შედეგებს, რომელთა თვალის ერთი გადავლებაც კი ცხადად წარმოაჩენს, რომ საზოგადოებაში დამოუკიდებლობის, საბაზრო ეკონომიკის და სხვა დემოკრატიული ფასეულობისადმი რწმენა მისხალითაც არ შერყეულა, პირიქით, 1993 წელთან შედარებით უფრო განმტკიცდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს ის პერიოდია, როცა მოსაპარი ფულის რესურსი პრაქტიკულად ამოწურულია და ხელისუფლებაში დისკუსია მიდის, ერთი მხრივ კუპონის გამყარების მომხრეთა, მეორე მხრივ კი სამანეთო ზონაში დაბრუნების ლობისტთა შორის. ახლა გადავხედოთ გელაპის რამდენიმე მონაცემს:

მიგაჩნიათ თუ არა სწორად, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს საბაზრო ეკონომიკა?

დიახ	60%(1994წ.)	46.7% (1993წ.)
არა	15.2%(1994წ.)	31.7% (1993წ.)
არ ვიცი	23.8% (1994წ.)	20.4% (1993წ.)

თქვენი აზრით, ტარდება თუ არა სწორად ეკონომიკური რეფორმები?

დიახ – 8.9%
არა – 60.3%
არ ვიცი – 30.8%

ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისთვის რომელი მოდელია უფრო მისაღები?

საბჭოური წყობა	– 11.9%
საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატია	– 49.3%
საბაზრო ეკონომიკა დემოკრატიის გარეშე	– 5.6%
დიქტატურა საბაზრო ეკონომიკის გარეშე	– 4.0%
არ ვიცი	– 29.1%

როგორი უნდა იყოს ხელისუფლების დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი?

შეუქმნას თანაბარი პირობები	– 36.3%
შეუქმნას განსხვავებული პირობები	– 4.4%
მოახდინოს შემოსავლების გათანაბრება	– 12.2%
მისცეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება	– 41.0%
აამოქმედოს "მგლური კანონები"	– 5.4%

თქვენი ოჯახის კეთილდღეობისთვის რომელი გზა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

შევიდეთ სამანეთო ზონაში	– 31.7%
გავამაგროთ კუპონი შემდგომში ლარის შემოსაღებად	– 46.0%
დაუყოვნებლივ შემოვიღოთ ლარი	– 15.3%
სხვა	– 6.7%

თქვენი ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესების შემთხვევაში მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივ გამოსვლებში?

მივიღებ აქტიურ მონაწილეობას	– 22.7%
არ მივიღებ მონაწილეობას	– 50.0%
არ ვიცი	– 26.3%

ერთი სიტყვით, ხალხი - სახელმწიფოსკენ, ხელისუფლება – ეშმაკე(ო)ბისკენ!

კითხვები, რომელზეც პასუხს ელიან

აი, ამ ხალხს, დანაზოგი ფულის ნაცვლად, ხელისუფლებამ გაუფასურებული ქაღალდი შეატოვა ხელში; შემდეგ ესეც არ აკმარა – ძარცვით ნაშოვნი ფულით და მორგებული კანონმდებლობით დიდი პრივატიზაცია გააჩაღა, მოქალაქეებს კი სრულიად უსარგებლო ვაუჩერები მიუგდო, რომლებსაც ორ დღეში გროშებად ყიდულობდნენ ისევ კრედიტებით გამდიდრებული ე.წ. ბიზნესმენები (პრივატიზაციის მძარცველურ სქემებზე – მომდევნო წერილში).

მაგრამ ამ ხალხმა ის მაინც დაიმსახურა, რომ ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც რევოლუციის შედეგად დაამხო ძველი რეჟიმი, ნათლად უპასუხოს რამდენიმე შეკითხვას:

ოდესმე გაირკვევა თუ არა, ვინ არიან კრედიტმავნებლები? ან იქნებ მათ შორის ისეთებიც არიან, ვინც ქვეყანას არგო, კეთილი საქმეები აკეთა და მადლობას იმსახურებს? თუ ასეთნიც არიან, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს გამწარებული ხალხი თვითონ იტყვის – ჯანი გავარდეს, კარგი საქმე გაკეთებულა და ის ჩემი ანაბარი აღარ მაინტერესებსო.

რამდენად უნდა ჩაითვალოს ბიზნესსაქმიანობად კრედიტების მითვისება?

რა ზომები უნდა მიიღოს ახალმა ხელისუფლებამ იმ პოლიტიკოსთა და ე.წ. ბიზნესმენთა მიმართ, ვინც ხელი მოითბო კრედიტებზე, უნდა აღდგეს თუ არა სოციალური სამართლიანობა?

და მთავარი შეკითხვა – აქვს თუ არა მოსახლეობას ანაბრების დაბრუნების შანსი?

შემდეგ წერილში:
დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობა;
კამათი ეროვნული ვალუტის მომხრეებსა და სამანეთო ზონაში დაბრუნების ლობისტთა შორის;
პრივატიზაცია – ქვეყნისა და მოსახლეობის ძარცვის გაგრძელება.

"სახალხო ბანკი" ხალხის ბანკის იმიჯს ინარჩუნებს

ნინო ნარჩემაშვილი

სახალხო ბანკი 2002 წლის 7 ოქტომბრიდან ფუნქციონირებს. იგი ერთ-ერთი კომერციული ბანკის სამართალმემკვიდრეა და ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც სოციალურ პროგრამებს ახორციელებს. "სახალხო ბანკს" საქართველოს საბანკო სისტემაში ყველაზე ფართო საფილიალო ქსელი აქვს. უფრო კონკრეტულად კი, იგი ქვეყნის ყველა რეგიონსა თუ რაიონში 72 ფილიალით და 50 სერვის-ცენტრით არის წარმოდგენილი. დღეისათვის ბანკის სისტემაში 2500 ადამიანია დასაქმებული. "სახალხო ბანკში" აღნიშნავენ, რომ ბანკის ფუნქციონირების მცირე ასაკის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი დადებითი ცვლილება განხორციელდა. "24 საათი" "სახალხო ბანკის" გენერალურ დირექტორს გიორგი გოგუაძეს ესაუბრა.

როგორ შეაფასებთ "სახალხო ბანკის" მიერ გაწეულ მუშაობას?

პირველ რიგში, აღვნიშნავდი საკადრო, უაღრესად პოზიტიურ ცვლილებებს. 2003 წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა ახალი მმართველობითი მენეჯმენტი და პრაქტიკულად თანამშრომლების 90 პროცენტი შეიცვალა ახალი, კვალიფიციური კადრებით. საკადრო ცვლილებამ საკმაოდ ეფექტური გახადა ბანკის მუშაობა და შესაბამისად მისი შედეგებიც. ძალზედ მძიმე მემკვიდეობის მიუხედავად, ჩვენ შევძელით, გამოგვესწორებინა ძველი და რთული ფინანსური პრობლემები და ბანკის საქმიანობა დინამიურ კალაპოტში ჩადგა.

რა არის "სახალხო ბანკის" ძირითადი მისია რა მიმართულებებია პრიორიტეტული?

პირველ რიგში, მინდა მივაქციოთ ყურადღება ბანკის სახელწოდებას. "სახალხო ბანკის" სახელწოდებიდან გამომდინარე თავიდანვე განისაზღვრა მისი ძირითადი ფუნქცია - გამხდარიყო მართლაც სახალხო ანუ მოსახლეობის მომსახურებაზე ორიენტირებული ძირითადი ბანკი ქვეყანაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, ხელი შეგვიწყო ქვეყნის მასშტაბით "სახალხო ბანკის" ფილიალების ფართო ქსელის არსებობამ, ბანკის მენეჯმენტის ერთიანმა ხედვამ, სწორად და ზუსტად განსაზღრულმა მიზნებმა. ბანკი ძალზედ მცირე დროში იქცა ქვეყნის მოსახლეობის მომსახურე ძირითად ბანკად. სტატისტიკური მონაცემებით კლიენტთა მომსახურების რიცხვნობამ ძალზე შთამბეჭდავი მასშტაბები მიიღო - თუ 2002 წელს ყოველთვიურად სახალხო ბანკს სხვადასხვა საბანკო მომსახურებისათვის საშუალოდ 25 ათასი მოქალაქე აკითხავდა, 2004 წლის მონაცემებით, მათმა რიცხვმა ყოველთვიურად საშუალოდ 1,2 მილიონი ადამიანი შეადგინა. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბანკმა თავისი სახელწოდება გაამართლა.

რაც შეეხება ბანკის მისიას, ჩემი აზრით, ის სცილდება მხოლოდ სახალხო ბანკის ინტერესთა ჩარჩოებს და ზოგადად საბანკო სისტემის ინტერესებშია. კერძოდ, ქვეყნის 32 რაიონში "სახალხო ბანკის" ფილიალი ერთადერთ უნივერსალურ ფინანსურ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელიც მომსახურებას უწევს მთელს რაიონს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველთვიურად "სახალხო ბანკის" სხვადასხვა საბანკო მომსახურებით სარგებლობს და სწორედ "სახალხო ბანკს" აქვს შესაძლებლობა აღადგინოს ნდობის ფაქტორი ბანკსა და მოსახლეობას შორის. ეს კი ქვეყნის მთლიანი საბანკო სექტორის ინტერესების დაცვის ტოლფასია. ასე რომ, **ჩვენი მისიაა დაკარგული ნდობის აღდგენა მოსახლეობასა და საბანკო სისტემას შორის.**

"სახალხო ბანკის" საქმიანობის ძირითადი ორიენტირია საქართველოს მოსახლეობის მომსახურება?

ალბათ, უფრო ზუსტი ფორმულირებით კი - ფიზიკური პირების მომსახურება გარკვეულად პრიორიტეტულია ბანკისათვის, თუმცა ძალისხმევასა და თანხებს არ ვიშურებთ კორპორატიული კულტურის, მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ რთულია კორპორატიული კლიენტურის მომსახურების ხარისხის უნიფიცირება ყველა ფილიალში. იმედს ვიტოვებთ, რომ როგორი თანამედროვე მომსახურებაც არის თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, ანალოგიურთან მიახლოვებულ ხარისხს წარმოვადგენთ სხვა რაიონებშიც. ამისათვის საკმაოდ დიდი საორგანიზაციო და საინვესტიციო ღონისძიებები იქნება გასატარებელი რათა, სახალხო ბანკის ლოგოტიპი კლიენტისათვის არა მხოლოდ ჩვეულებრივი, ნაცნობი ნიშანი იყოს, არამედ მომსახურების უმაღლესი ხარისხის სიმბოლო გახდეს.

რა მიღწევები გაქვთ ამ მიმართულებით?

იურიდიული პირების მომსახურების კუთხით საბანკო სისტემაში დიდი კონკურენციაა. სტაჟიანი და გამოცდილი ბანკების მომსახურება საგრძნობლად დაიხვეწა და კლიენტს სხვადასხვა სერვისის უნივერსალური მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. თუმცა, მათთან შედარებით ამ სეგმენტშიც, შეიძლება ითქვას, გარკვეული უპირატესობა გაგვაჩნია. კერძოდ "სახალხო ბანკთან" ურთიერთობის სურვილს გამოთქვამენ ქსელური მომსახურებით დაინტერესებული ორგანიზაციები. რამოდენიმე მათგანთან უკვე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. გარდა ამისა, აღინისნული კლიენტურისათვის ბანკში სპეციალურად დაინერგა კონცეპტუალურად ახალი ვერსია - "ბანკი-კლიენტი", რომელიც სპეციალიზირებულია სწორედ საფილიალო ქსელით მომსახურე კომპანიებზე.

როგორ შეაფასებთ 2004 წლის შედეგებს?

ჯერ წელი არ დამთავრებულა, თუმცა თუ თერთმეტი თვის შედეგებს განვლილ წლებს შევადარებთ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალზედ წარმატებული წელი იყო. მეტიც, მან საფუძველი ჩაუყარა ბანკის შემდგომ განვითარებას - 2004 წელს გაიხსნა სახალხო ბანკის ოთხი ფილიალი - რუსთავის, ტყიბულის, ჭიათურის და ყვარლის. 2007 წლამდე მთლიანად გადმოგვეცა საპენსიო თანხების მომსახურება, ასევე 2004 წლის დასაწყისიდან დავიწყეთ დევნილთა შემწეობების მომსახურება და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე შეთანხმება განხორციელდა. საბაჟო დეპარტამენტთან დასრულდა შეთანხმება - ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტზე გაიხსნას სახალხო ბანკის სერვისცენტრი, ბანკმა მოიგო უმუშევართა დროებითი და მუდმივი დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მომსახურების ტენდერი. გამოიცა სახალხო ბანკის 40 ათასი ლოკალური პლასტიკური ბარათი "სახალხო ბარათი", რომლის განაღდება შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ რაიონში. გაწევრიანდა "ვიზა ინტერნეიშენალში" და ერთი თვის განმავლობაში 1500 საერთაშორისო ბარათის გამოცემა იქნა უზრუნველყოფილი, ასევე "ვიზას" წარმომადგენლებთან ერთად გაიმართა შეხვედრები ქვეყნისა და თბილისის მთავრობის წევრებთან, სადაც "ვიზას" დელეგაციის მხრიდან წარმოდგენილ იქნა ინიციატივა სახალხო ბანკისა და "ვიზა ინტერნატიონალის" მეშვეობით ქვეყანაში სოციალური ელექტრონული ბარათების გლობალური ემისიის განხორციელების შესახებ. გაფორმდა ხელშეკრულება "UKRCARD"-თან საბარათე ბიზნესში ურთიერთანამშრომლობის შესახებ. დამატებით, ხელშეკრულება გაფორმდა აგრეთვე სწრაფი ფულადი გზავნილების შვიდ ისეთ პრესტიჟულ კომპანიასთან, როგორიცაა "contact" "inter express" "vmt" "migom" "express money" "travelex" "unistream". 2004 წელს დაინერგა ბანკის საოპერაციო დღის ახალი პროგრამა, რომელმაც ოპერატიული ინფორმაციის ყოველდღიური ანალიზის საშუალება მოგვცა. გაიხსნა საკორესპონდენტო ანგარიშები "Bank TuranAlem", "Gazprom Bank", "Sber bank Rossii", "Ukrgas Bank", "როსსელხოზ ბანკ"-თან სოფლის მეურნეობის დარგში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. კომპანია "ამერიკან ექსპრესთან" ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სამგზავრო ჩეკების გაყიდვა-განაღდების შესახებ. წარმატებით დასრულდა სოფლის მეურნეობის სექტორში დაწყებული პილოტ პროგრამა - საგარეჯოში გლეხების მიზნობრივი (მელვინეობის დაკრედიტება სადაზღვევო კომპანიის გამოყენებით) დაკრედიტება. სამაჩაბლოში განხორციელდა უპრეცედენტო აქცია - დარიგდა პენსიები ოს მოსახლეობაზე. მესტიის რაიონში "სახალხო ბანკის" კუთვნილი რესურსით მასწავლებლებს 1999 წელს დაყაჩაღებული კუთვნილი ხელფასები აუნაზღაურა, გაიხსნა სახალხო ბანკთან არსებული ტრეინინგ ცენტრი, რომელიც პროფესიონალ მაღალკვალიფიცირებულ კადრებს ამზადებს. ბანკი "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია"-ში გაწევრიანდა და გახდა "ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში"-ს საპატიო და "საქართველო-რუსეთის ბიზნეს საბჭო"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მონაწილეობა მიიღო იტალია-საქართველოს, თურქეთ-საქართველოს, სომხეთ-საქართველოს და რუსეთ-საქართველოს ბიზნესფორუმებში. ასევე სანქტ-პეტერბურგში გამართულ **VIII** საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში "ეფექტური ეკონომიკა-ღირსეული ცხოვრება", სადაც საქართველოს საბანკო სისტემიდან მხოლოდ "სახალხო ბანკი" იყო წარმოდგენილი.

მიმდინარე წლის 26-29 ივლისს "სახალხო ბანკის" ინიციატივითა და ორგანიზატორობით ჩაქვში მოეწყო პირველი საერთაშორისო საბანკო კონფერენცია "საცალო მომსახურების განვითარება რეგიონში".

საკმაოდ შთამბეჭდავი სურათია ბანკის ფინანსურ ნაწილში. მაგალითად, ბანკის მთლიანი აქტივები ორი წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა და 20 მილიონი ლარის ნაცვლად 60 მილიონზე მეტი შეადგინა. ვალდებულებები შესაბამისად 10 მილიონი ლარის ნაცვლად 50 მილიონ ლარამდე გაიზარდა და ზრდის ტენდენცია ყოველთვიურად შეინიშნება. წმინდა მოგება 2002 წელთან შედარებით გაიზარდა ათჯერ. შემოსავლებისა და მოგების ზრდასთან ერთად, რა თქმა უნდა, ყურადღება ექცეოდა თანამშრომელთა მოტივაციის საკითხებს. კერძოდ, ბანკის თანამშრომლების საშუალო ხელფასი 3,5-ჯერ გაიზარდა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ გაიზარდა საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნა, თუნდაც გასულ წელთან შედარებით?

ვფიქრობ, რომ საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია მხოლოდ ბანკების აქტიურობის ბრალი ვერ იქნება. ამაზე უდავოდ სერიოზული გავლენა იქონია ქვეყანაში საერთო ეკონომიკური ფონის საგრძნობმა გაუმჯობესებამ.

კერძოდ რა გავლენაზეა საუბარი?

ბუნებრივია, როდესაც ქვეყანა ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, პარალელურად მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ხდება. ამიტომ საბანკო მომსახურებაზე მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან მოთხოვნა მხოლოდ კუთვნილი თანხების გატანით აღარ შემოიფარგლება. აქტიურად დაიწყო თანხების განთავსება დეპოზიტებზე. უფრო მეტიც, მოსახლეობა უფრო თამამად იღებენ სესხებს ავტომობილების, ტექნიკის, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საქონლის შესაძენად.

შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობას შესაძლებლობა ექმნება უფრო თამამად დაგეგმოს საკუთარი ბიუჯეტი?

დიახ, არა მარტო ბიუჯეტის დაგეგმვაზეა საუბარი. მომხმარებელს, შეიძლება ითქვას, უსახსრობის ფსიქოლოგიური შიში ეხსნება, ვინაიდან ჩვენც დარწმუნებული ვართ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილურობაში და უფრო გაბედულად გავცემთ კრედიტებს. სტაბილური შემოსავლის მქონე პირმა იცის, რომ ნებისმიერ დროს მას შეუძლია ისარგებლოს "სახალხო ბანკის" კრედიტით თავისი კუთვნილი თანხის მიღებამდე (ოვერდრაფტით). ასევე, სტაბილური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვემზადებით ახალი პროდუქტების დანერგვისა თუ გაცემისათვის დაკრედიტების ნაწილში, რომელიც გაცილებით გრძელვადიანი რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი. თუ ადრე არც მოსახლეობას და არც ბანკებს არ ჰქონდათ გრძელვადიანი დაგეგმვის რეალური იმედი, დღეისათვის მოქალაქეს თამამად შეუძლია დაგეგმოს მისი ბიუჯეტი ორი წლის ფინანსური სტაბილური შემოსავლებიდან გამომდინარე. მოგეხსენებათ, რომ ყოველთვიურად გარანტირებულად გაიცემა ხელფასები, პენსიები სხვა სოციალური დახმარებები და აღარ არსებობს არასტაბილური დაფინანსების საშიშროება. თუ ორი წლის წინ ადამიანის რამდენიმეწლიანი ფინანსური შემოსავლების პროგნოზი სრული წყვდიადით იყო მოცული და არანაირი გარანტია არ არსებობდა კუთვნილი თანხების დროულად მიღებისა, დღეს ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახულია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რა სიახლეები იქნება შემოთავაზებული მომავალ წელს "სახალხო ბანკის" მიერ?

პირველ რიგში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც მომსახურების წერტილებისა და პერსონალის რაოდენობის ზრდით იქნება უზრუნველყოფილი. ვქმნით მაქსიმალურად ავტომატიზირებულ სისტემას ახალი, მოქნილი კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით. აღნიშნული გარემოებები მთლიანად მოხსნის რიგების პრობლემას, რომელიც 2004 წელს შეინიშნებოდა "სახალხო ბანკის" ფილიალებთან. 2005 წელს 20-ზე მეტი დამატებითი ოფისის გახსნას ვგეგმავთ, რომელიც ყველა თანამედროვე მოთხოვნას უპასუხებს და მოემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. "სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათების მფლობელთათვის შევიძინეთ ბანკომატები, რომელთა მეშვეობით მოხდება თანხების მიღება თავდაპირველად მსხვილ ქალაქებში, შემდეგ კი რეგიონებშიც.

მიმდინარეობს მოსახლეობისათვის ახალი საკრედიტო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ბანკის რესურსებიდან თანხის სესხება უფრო ხელსაყრელი და გრძელვადიანი პირობებით.

ვფიქრობთ, უფრო აქტიურად ვიმუშავებთ ფასიანი ქაღალდების მიმართულებით და ამ ბაზარზე საბანკო მომსახურებას შევთავაზებთ მათ, ვინც დაინტერესებულია მაღალმომგებიანი და, ამავე დროს, მაღალრისკიანი ფინანსური ინსტრუმენტებით.

დაბოლოს, რა თქმა უნდა 2005 წელს ვაპირებთ, საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა არსებული და პოტენციური კლიენტურისაგან.

ორი წელი გავიდა, რაც თქვენ გენერალური დირექტორის პოსტზე მოღვაწეობთ, როგორ შეაფასებთ პირადად თქვენს ღვაწლს და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

გამოვყოფდი ყველაზე მთავარს - პასუხისმგებლობას. ვფიქრობ, საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო იმ პროექტების რეალიზება, რომლებიც ბანკმა ამ ხნის განმავლობაში განახორციელა. ჩვენ პრაქტიკულად ყველა ამოცანა გადავჭერით და შევძელით დაგეგმილი მიზნების მიღწევა. ჩემი პირადი მიღწევები, ალბათ, მაინც ბანკის მუშაობის შედეგებია. საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური მოტივატორია ხელმძღვანელისათვის ის ფაქტი, რომ სისტემაში მომუშავე 2500 თანამშრომელი უზრუნველყოფილია ხელფასით, დაკავებულია იმ სამუშაოთი, რომელიც მას უყვარს. ალბათ, გარკვეულწილად ფინანსურ კეთილდღეობაზე არანაკლები გრძნობაა ის ფაქტიც, როდესაც იცი, რომ ყოველთვიურად ბანკში მომსვლელი ერთი მილიონი ადამიანი კმაყოფილი წავა ბანკიდან.

გლობალურიდან კონკრეტულზე რომ გადავიდეთ, მინდა ზუსტი ამოცანა ჩამოვაყალიბო - აუცილებელი შემდგომი წარმატებისათვის: ყველა თანამშრომელმა, ოპერატორმა, ბანკის თითოეულ ფილიალში გაიგოს, რომ მის პირად შრომაზე, მის განწყობაზე და კლიენტთან მის ურთიერთობაზეა დამოკიდებული რეალურად ბანკის მომავალი. და თუ ჩვენ, ჩვენს მუშაობას მომავალშიც მსგავსი კრიტერიუმებით წარვმართავთ, მომსახურების ხარისხში ლიდერობა გარანტირებული გვექნება.

იუშენკოს გამარჯვება

ეგზიტპოლების მოსალოდნელი შედეგები

ჰირველი გვერდიდან

საერთო მხიარულება გამოიწვია დამარცხებული კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის გამოსვლამ, სადაც მან აღნიშნა, რომ "არასოდეს ითანამშრომლებს იუშენკოს გუნდთან". როგორც ჩანს, მას სულ რამდენიმე დღის წინ ტელედებატებში, ოპონენტებთან თანამშრომლობისათვის მზადყოფნის შესახებ გაკეთებული განცხადებების გახსენება იოტისოდენა უხერხულობასაც არ უქმნიდა. იმავე წუთებში მოედნისაკენ 100 ნარინჯისფრად მორთული ავტომობილისგან შემდგარი კოლონა დაიძრა. გარდა ამისა, დაიწყო სადღესასწაულო კონცერტიც, რომელიც მოზეიმე უკრაინელებს გამარჯვების ტკბილ განცდას კიდევ უფრო უმძაფრებდა. გუშინ საღამოსვე ცნობილი იყო არჩევნების შედეგები საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე, სადაც გამარჯვებული ასევე ვიქტორ იუშენკო გახდა.

არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩავლა "საეჭვოდ" მიაჩნია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვიქტორ იუშენკოს წარმომადგენელს იური კლიუჩკოვსკის. მისი განცხადებით, შესაძლოა, იანუკოვიჩის გუნდი "უკვე აღარ ცდილობდა არჩევნებზე რაიმეს მიღწევას, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის ალბათობასაც, რომ ხმების დათვლის პროცედურისას მათ უზენაეს სასამართლოს მიმართონ". "ეს კი სულაც არაა ოპტიმისტური ვარიანტი," - აღნიშნა კლიუჩკოვსკიმ. სწორედ ამიტომ, იუშენკოს გუნდს ახლა მეტი ყურადღება ჰმართებს, რათა არ მოხდეს საარჩევნო ბიულეტენების ფიზიკური განადგურება.

არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე ჯერ კიდევ არის დრო. მანამდე კი კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ვიქტორ იანუკოვიჩი ეგზიტპოლის შედეგებს "ნარინჯისფერი პუტჩის" მსგავს ტექნოლოგიას უწოდებს. "ეგზიტპოლი ისეთივე ტექნოლოგიაა და იმავე ფულითაა შესრულებული, როგორითაც "ნარინჯისფერი პუტჩი" იყო," - განაცხადა დამარცხებულმა საპრეზიდენტო კანდიდატმა. იგი, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, მაინც არ კარგავს იმედს, მარცხის შემთხვევაში კი დაუნდობელ ოპოზიციას ჩამოაყალიბებს. მისი თქმით, იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა "მოლაპარაკებების უსარგებლობაში". იანუკოვიჩისაგან განსხვავებით, არჩევნების შედეგებისადმი დამოკიდებულებაში გაცილებით ოპტიმისტურია მისი სრულუფლებიანი რწმუნებული ნესტორ შუფრიჩი, რომელიც მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო მარათონში პროცენტული სხვაობა, სულ რაღაც, 2-3 იქნება და ისიც იანუკოვიჩის სასარგებლოდ. შუფრიჩის განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია რეგიონებში დარღვევების შესახებ. მან ცესკო-ს მუშაობას ტენდენციური უწოდა, რომელიც უკვე ამორალურშიც გადაიზარდა.

ეგზიტპოლი "უკრაინას" შედეგებით კი, ვიქტორ იუშენკოს 58.1 პროცენტი აქვს, ხოლო ვიქტორ იანუკოვიჩს – 38.4 პროცენტი. ნაციონალური ეგზიტპოლის წინასწარი შედეგებით მარტო კიევში ვიქტორ იუშენკოს ხმათა 88 პროცენტი ჰქონდა მოპოვებული, მაშინ როცა მის ოპონენტს მხარი მხოლოდ 10.5 პროცენტმა დაუჭირა. არანაკლებ საინტერესო იყო ეგზიტპოლების მონაცემები რეგიონებშიც: დასავლეთი – იუშენკო - 92.7 პროცენტი, იანუკოვიჩი- 6 პროცენტი; აღმოსავლეთი – იანუკოვიჩი - 85 პროცენტი, იუშენკო - 12 პროცენტი; აღმოსავლეთ-ცენტრალური – იანუკოვიჩი - 37 პროცენტი, იუშენკო - 60 პროცენტი; დასავლეთ-ცენტრალური – იანუკოვიჩი - 13 პროცენტი, იუშენკო - 85 პროცენტი; სამხრეთი – იანუკოვიჩი - 66 პროცენტი, იუშენკო - 30 პროცენტი.

უდიდესი ტრაგედია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

სანაპირო რაიონებში განლაგებული სოფლები პრაქტიკულად განადგურებულია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიწისძვრასა და ცუნამს უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა, დაღუპულთა რაოდენობამ აზიურ ქვეყნებში, რომლებიც სტიქიური უბედურების ზონაში მოექცნენ, 7 200-ს გადააჭარბა. მიწისძვრის ეპიცენტრი ინდონეზიის კუნძულ სუმატრას ჩრდილოეთ ნაწილში ქალაქ მოლაბოდან 66 კმ-ში, ინდოეთის ოკეანეში 25 კილომეტრის სიღრმეზე იყო. მიწისძვრის ბიძგების გუნდი 17 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. პრაქტიკულად, განადგურებულია სანაპირო რაიონებში განლაგებული სოფლები. ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ აჩეხის პროვინცია სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა და უკვე მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს დახმარებისათვის. მასშტაბური კატასტროფა კვირას დილით დაიწყო და სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეული აღმოჩნდა რამდენიმე სახელმწიფო, ესენია: ინდონეზია, მალაიზია, ტაილანდი, ბანგლადეში, ინდოეთი, მალდივის კუნძულები, შრი ლანკა და მიანმა. მიწისძვრის სიმძლავრემ ეპიცენტრში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარი სეისმოლოგიური სამსახურის შეფასებით, რიხტერის სკალით 8.7 ბალი შეადგინა, აშშ-ს გეოლოგიური კვლევების ცენტრმა კი მაგნიტუდა 8.5 ბალით შეაფასა. სხვა ქვეყნების სპეციალისტთა მონაცემებით, მიწისძვრის მაგნიტუდა რიხტერის სკალით 8.9 ბალიც შეიძლებოდა ყოფილიყო. საქართველოს სეისმოლოგიის ობსერვატორიაში კი აცხადებენ, რომ ერთი სადგურის მეშვეობით მიწისძვრის სიმძლავრის დადგენა ვერ ხერხდება, სწორედ ამიტომ ზუსტად ვერ აფასებენ მაგნიტუდას.

1964 წლის ალიასკაზე მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ასეთი სიმძლავრისა და მასშტაბების მიწისძვრა მსოფლიოში არ დაფიქსირებულა. კვირა დილას მომხდარმა მიწისძვრამ შედეგად ცუნამიც გამოიწვია, რომელმაც სანაპირო რაიონები მთლიანად წყლით დაფარა. დაზარალებულთა შორის ზემოაღნიშნული ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის გარდა უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც არიან. გავრცელებული ინფორმაციით, ტაილანდის 4 სამხრეთულ პროვინციაში დაღუპულთა რაოდენობამ 3 000 შეადგინა, 5 000-ზე მეტი კი დაშავებულია. ტალღების სიმაღლე აღნიშნულ რაიონებში 10 მეტრს აღწევდა. ძალიან დიდია უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი, რომელთა მოსაძიებლად სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს.

სუმატრაზე დაღუპულთა რიცხვმა კი 1 800 მიაღწია, თუმცა მათი რაოდენობა კიდევ იზრდება. თვითმხილველთა განცხადებით, ინდონეზიის პროვინციებში აჩეხსა და ჩრდილოეთ სუმატრაზე ათასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობა-ნაგებობები განადგურდა, ათასობით პანიკაში ჩავარდნილი ადამიანი კი ქუჩებში გამოეფინა.

ბანგლადეშში მიწისძვრის სიმძლავრე რიხტერის სკალით 7.3 ბალი იყო. შრი ლანკის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში მიწისძვრის შედეგად დაახლოებით 2 500 ადამიანია დაღუპული. სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეულ რაიონებთან შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი, მათ არ მიეწოდებათ ასევე ელექტროენერგია. სამაშველო სამუშაოებს სამხედრო მოსამსახურენი ასრულებენ, ძირითადად კი მოსახლეობის ევაკუაციას ფლოტი ახორციელებს. ცუნამის შემოტევის შედეგად 2 500 კაცია დაღუპული ინდოეთშიც. ყველაზე მეტად დაზარალდა ტამილანდისა და ანდჰრა-პრადეშის შტატები, ასევე ანდამანისა და ნიქობარის კუნძულები. სანაპირო ოლქში კუდალორში 100 ადამიანი დაიხრჩო "რია-ნოვოსტ"-ის ცნობებით. ცუნამით ძლიერ დაზარალდა მალდივის კუნძულებიც. ხელისუფლების განცხადებით, წყლითაა დაფარული მალდივის დედაქალაქის მალეს ორი მესამედი. კუნძული მალე ზღვის დონიდან 90 სმ სიმაღლეზე მდებარეობს, მაშინ როცა ტალღების სიმაღლე 1.3 მეტრს აღწევდა. მალაიზიის ქალაქებიდან, დედაქალაქის ჩათვლით ევაკუირებულია მოსახლეობა. მალდივის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის აჰმედ შაფიდის განცხადებით, "ძალიან რთული ვითარებაა. ახლა ტურისტული სეზონის პიკია. ჩვენ დაზარალებული რაიონებიდან ცნობების მიღებას ვცდილობთ. მალდივის კუნძულები მთლიანად ტურისტული ზონაა, სწორედ ამიტომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ და იმედი ვიქონიოთ, მაქსიმალურად მცირე რაოდენობის მსხვერპლით დამთავრდეს სტიქიის შემოტევა". ქვეყნის ვიცე-პრემიერის განცხადებით, ასეთი მასშტაბების სტიქიური უბედურება ქვეყანას არ ახსოვს.

მსხვერპლის დიდი რაოდენობაა დაფიქსირებული მიანმაშიც. თუმცა, გაცილებით სავალალო მდგომარეობაა შრი ლანკაზე, სადაც ოფიციალური მონაცემებით მსხვერპლის რაოდენობამ 3 000 კაცს გადააჭარბა. მილიონობით ადამიანი კი უსახლკაროდ დარჩა. კუნძულოვანი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ჩანდრიკა კუმარატუნგამ შრი ლანკა საერთოეროვნული უბედურების ზონად გამოაცხადა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენისაკენ მოუწოდა.

ცუნამის შეტევის შედეგად ინდოეთში დაღუპულთა რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს. ოფიციალური მონაცემებით, თუ დაღუპულთა რაოდენობა 1 000 კაცს აჭარბებდა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად მხოლოდ ინდოეთში 5 000 მეთევზე ითვლებოდა. ისინი იმყოფებოდნენ ზღვაში, როდესაც ინდოეთის სამხრეთ შტატებს ცუნამი დაატყდა თავს.

სააგენტო "როიტერ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ევროკავშირი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად 3 მლნ ევროს გამოჰყოფს.

ვინ მართავს სინამდვილეში ვატიკანს ავადმყოფი პაპის დროს?

იოანე პავლე მეორემ ტრადიციული საშობაო მესა აღავლინა, რომში კი სულ უფრო იმ საკითხით არიან დაინტერესებული, ვინ მართავს სინამდვილეში ვატიკანს, სანამ 84 წლის პაპის ჯანმრთელობა განუხრელად უარესდება.

ვატიკანის კულუარებში ჩვეულებრივ საქმედ იქცა რომის პაპთან დაახლოებული ჩრდილოვანი ჯგუფის თემაზე სპეკულირება, რომელიც პონტიფიკს გამოასვლელ ტექსტებსა და ქადაგებას უწერს, ურთიერთობს უცხოელ ელჩებთან და ვატიკანის პოლიტიკას განსაზღვრავს. "მიმდინარეობს კულისებსმიღმა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ფსონად ბევრი რამაა ჩადებული," - განაცხადა კათოლიკური იერარქიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. პაპის თანაშემწეები უარყოფენ, რომ ვატიკანის ზედა ეშელონებში ვაკუუმი წარმოიქმნა, მაგრამ ანონიმური წყარო ამტკიცებს: "დინამიური ხელმძღვანელობის არარსებობაში, დაჯგუფებები კონტროლს აძლიერებენ". გარდა ამისა, ყველა იერარქი რომის პაპის ახლობელი წრიდან (პაპის კურიიდან) მოდის, რაც სულ უფრო აძლიერებს რომისგან მოშორებით მყოფ ეპარქიებში ეჭვს, განსაკუთრებით მესამე სამყაროში, რომ რომის პაპი და მისი მრჩევლები რეალობას მოწყვეტილები არიან. ეს, თავის მხრივ, უფრო ზრდის რეფორმირების მოთხოვნილებას. "ვატიკანს, ფართო გაგებით, რომის პაპი ხელმძღვანელობს. თუმცა, მსგავს სიტუაციაში ადამიანები კითხულობენ, მიაქვთ თუ არა ადგილამდე მათ, ვინც რომის პაპის სახელით საუბრობს, მისი უშუალო მითითებები? თუ საკუთარი სურვილისამებრ მოქმედებენ?" - განაცხადა რომის ერთერთმა დიპლომატმა. რომის პაპები არ მიდიან თანამდებობიდან, ანდა პენსიაზე. მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული, არც ერთ მათგანს არ დაუტოვებია თანამდებობა ნებაყოფლობით და დღევანდელი პონტიფიკი (იოანე პავლე მეორე მესამეა იმ პაპებიდან, რომელიც ყველაზე დიდ ხანს ზის ამ პოსტზე) არავითარ მინიშნებასაც არ აკეთებს, რომ თავის ადგილს დათმობს, მიუხედავად მტანჯველი ავადმყოფობის და მხცოვანი ასაკისა.

რომის პაპის 2005 წლის სამოქმედო განრიგი უკვე შედგენილია და მსოფლიოში რამდენიმე ვიზიტს გეგმავს, მათ შორის ჩრდილოეთ ირლანდიაში. რომის პაპი ყველაზე მეტად თავის დიდი ხნის მრჩეველს კარდინალ ჯოზეფ რატცინგერს და ვატიკანის სახელმწიფო მდივანს, კარდინალ ანჯელო სოდანოს ეყრდნობა. გარდა ამისა, იოანე პავლე მეორე მთლიანად ენდობა 65 წლის არქიეპისკოპოს სტანისლავ ძივიშჩს, თავის პირად მდივანს პოლონეთიდან. ის რომის პაპთან ჯერ კიდევ იმ დროიდან მუშაობს, როდესაც იოანე პავლე მეორე კრაკოვის ეპისკოპოსი იყო, სტუმრებთან შეხვედრებზე პონტიფიკის სახელით საუბრობს, მის აზრებს განმარტავს და რომის პაპთან ვიზიტებს აკონტროლებს. სხვა სიტყვებით, მომდევნო რომის პაპს არა მარტო სულიწმინდას ნებით, აგრეთვე იმ ადამიანების ნებით აირჩევენ, რომლებმაც საუკუნის მეოთხედის მანძილზე ყველაზე დიდი ერთგულება გამოიჩინეს. კარდინალების 95 პროცენტმა, რომლებიც მომავალ პაპს აირჩევენ, თავიანთი წითელი ქუდები იოანე პავლე მეორისაგან მიიღეს. "უკან მოხედვისას, პაპს შეუძლია უთხრას კარდინალებს: ეს თქვენ კი არ ამირჩიეთ, ეს მე აგირჩიეთ", - ამბობს ვატიკანის ერთერთი სასულიერო პირი.

თაიმსი

სერგეი დორენკო: „ადრე მეგონა, რომ პუტინი კეთილი იდიოტია, დღეს ვფიქრობ, რომ ის გაბოროტებული იდიოტია"

უკრაინა უმუშევარ ხელოსანთა წინასაარჩევნო აგიტაციის საამქრო

ვინაიდან მშობლიური პოლიტიკა კრემლის ღრმა საყინულეში აღმოჩნდა, რუსეთის პოლიტიკური თუ მასთან ახლოს მდგომი მოღვაწეები საყვარელი საქმიანობისთვის უკრაინაში გაეშურნენ. რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი წამყვანი, სერგეი დორენკო წინა თვეში მალდივის კუნძულებზე ისვენებდა, როდესაც კიევში უკრაინელი დემონსტრანტები შეიკრიბნენ, რათა არჩევნების გამყალბებლებისათვის თავიანთი პროტესტი გამოეხატათ. დორენკომ მაშინვე დაივიწყა წყალქვეშა ცურვის სიამოვნება, მიუჯდა ინტერნეტს, თანამგზავრულ ტელევიზიას, რათა უკრაინიდან მიღებული ახალი ამბები ენახა. შემდეგ კიევში გაფრინდა, რომ უკრაინა შემოეარა და ოპოზიციური კანდიდატის, ვიქტორ იუშენკოს სასარგებლოდ აგიტაცია ჩაეტარებინა.

ბატონ დორენკოს პირადი მიზეზი აქვს, შეუერთდეს იმას, რასაც კრემლი მოსკოვის წინააღმდეგ პუტჩად განიხილავს. სამი წლის წინ 45 წლის ტელეკომენტატორს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან კამათი მოუვიდა და დორენკო სახელმწიფო ტელევიზიაში არასასურველ პიროვნებათა შავ სიაში შეიტანეს. მას შემდეგ უმუშევარი დარჩა. "რუსეთში ხმის უფლება აღარ მაქვს, - ამბობს დორენკო, უკრაინაში მიწვეული სატელევიზიო და რადიოპროგრამების სტუმარი, - თუმცა აქ მაინც შემიძლია ვთქვა ის, რაც მინდა". საპრეზიდენტო არჩევნებზე მთელ უკრაინაში დიდი ფული იდება ფსონად. ვინაიდან წინა კენჭისყრა მრავალრიცხოვანი დარღვევების გამო გაბათილდა, უკანასკნელი კენჭისყრა გადაწყვეტს, წავა ეს 50-მილიონიანი ქვეყანა რუსეთთან მომავალ დაახლოებაზე თუ დასავლეთისკენ წაიწევს. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო აქ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ეძებს, რუსი პოლიტიკანები საარჩევნო მარათონის მნიშვნელობას სხვაგან პოულობენ: ეს მათი საყვარელი საქმით დაკავებისათვის იშვიათი შესაძლებლობაა.

მოსკოველმა პოლიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და კონსულტანტებმა ბოლო თვეებში სამსახური იშოვეს როგორც იუშენკოს, აგრეთვე მისი მეტოქის, უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბებში. "იგივე ხალხი, რომელიც მანამდე მოსკოვში იბრძოდა, დღეს უკრაინაში იბრძვის", - აცხადებს მოსკოვის თავდაცვითი ინიციატივების ცენტრის დირექტორი ივან საფრანჩუკი. მისი შეფასებით, უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე ათობით რუსი პოლიტიკური მრჩეველი მუშაობს. ზოგიერთი მათგანი ხელსაყრელმა კონტრაქტებმა მოხიბლა. სხვები ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური ფორტუნის ფსკერიდან ამოწევას, ზოგიც იმედოვნებს, რომ ოდესმე იგივეს გამეორებას რუსეთში შეძლებს. ბორის ნემცოვის განცხადებით, რომელიც ერთ დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და რეფორმისტული პარტია "მემარჯვენე ძალების კავშირის" ლიდერი იყო, თუ უკრაინაში დემოკრატიული სისტემა გამყარდება, ის აგონიაში მყოფ რუსულ ოპოზიციას ახალ სასიცოცხლო ძალას მისცემს. შარშან ნემცოვმა ბანკში დაიწყო მუშაობა, მას შემდეგ, რაც მისმა პარტიამ არჩევნებში იწვნია დამარცხება და პარლამენტიდან გავარდა, სადაც დღეს კრემლის ერთგული ფრაქციები ბატონობენ. უკრაინაში საპრეზიდენტო მარათონის დაწყებიდან ნემცოვი ოთხჯერ ჩავიდა კიევში და დამოუკიდებლობის მოედანზე გამოვიდა. "კარგია იმ ადგილებში მუშაობა, სადაც ადამიანები პრობლემებს განიხილავენ" , - ამბობს ნემცოვი. კიევურმა მიგრაციამ ყოფილი კოლეგები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს გადაანაწილა. რუსეთში უკანასკნელ წლებში ცნობილ პოლიტტექნოლოგთა მთავარი დამსაქმებელი კრემლი იყო. თუმცა, უკრაინაში ისინი პრეზიდენტობის ორივე კანდიდატთან მუშაობენ. არჩევნების პირველი ორი ტურის დროს, იანუკოვიჩის შტაბში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონსულტანტი გახლდათ კრემლთან დაკავშირებული პოლიტტექნოლოგი გლებ პავლოვსკი. ხშირად ამბობენ, რომ სწორედ მას მიუძღვის დამსახურებული წვლილი 2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის გამარჯვებაში. იუშენკოს შტაბში ბოლო ხანებში სტანისლავ ბელკოვსკი მუშაობს, კრემლში კავშირების მქონე ანალიტიკოსი. 2003 წელს სწორედ მან მოამზადა მოხსენება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ რუსი ოლიგარქები პუტინის წინააღმდეგ "მცოცავ გადატრიალებას" ამზადებდნენ. ეს დოკუმენტი გახდა სახელმწიფოს თავდასხმების პლაცდარმი ნავთობკომპანია "იუკოსის" წინააღმდეგ.

რამდენადაც რუსი მრჩევლები ორივე მხარეს მუშაობენ, ეჭვობენ, რომ მათ გავლენას რომელიმე კანდიდატის აღზევება ან დაცემა შეუძლია. მიუხედავად ამისა, უკრაინელი ოპოზიციონერები იმედოვნებენ, რომ დორენკოს მსგავსი ადამიანები მრავალფეროვნებას შეიტანენ საპრეზიდენტო არჩევნებში. რუსეთში დორენკო "ტელეკილერად" არის ცნობილი მას შემდეგ, რაც 1999 წელს სახელმწიფო ტელევიზიაში ის "მებრძოლი ძაღლი" გახდა, რომელიც თავისი ყოველკვირეული პროგრამებით პუტინის საპარლამენტო და საპრეზიდენტო მეტოქეებს ამხობდა. დღეს დორენკო სახელმწიფო ტელევიზიაში გაწეული საქმიანობისათვის პატიებას არ ითხოვს. მოსკოვური ელიტის მრავალი ადამიანის მსგავსად, ის ამბობს, რომ 90-იანი წლების ბოლოს ქაოსითა და კორუფციით დაიღალა, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის ბორის ელცინის დროს სუფევდა. მაშინ დორენკო თვლიდა, რომ რუსეთში წესრიგის დასამყარებლად პუტინის მსგავსი ძლიერი ლიდერი იყო საჭირო, თუმცა მას, როგორც სხვა დანარჩენს, პუტინზე იმედი გაუცრუვდა, როდესაც მან პოლიტიკურ ოპოზიციას ზეწოლა და სატელევიზიო სადგურების დახურვა დაიწყო.

"ადრე მეგონა, რომ პუტინი კეთილი იდიოტია, დღეს ვფიქრობ, რომ ის გაბოროტებული იდიოტია," - ამბობს დორენკო. მას შემდეგ, რაც ტელემაყურებლებმა უკანასკნელად ნახეს ცნობილი "ტელეკილერი" ეკრანზე, დორენკომ წონაში მოიმატა, ხოლო მისი მუქი თმები – გაჭაღარავდა. თუმცა, საკუთარი აზრის გამოხატვის მისეული მკვეთრი მანერა კვლავაც იზიდავს მაყურებლებს. როდესაც დორენკო პირველ დეკემბერს კიევში ჩავიდა, ათასობით დემონსტრანტის წინაშე გამოჩნდა. ის შეხვდა იუშენკოს და ოპოზიციური მოძრაობის სხვა ლიდერებს. მას სთხოვეს, დახმარებოდა აღმოსავლეთ უკრაინის მაცხოვრებელთა დარწმუნებაში, სადაც რუსული მოსახლეობა სჭარბობს და რომელიც იანუკოვიჩის ტრადიციული დასაყრდენია, რომ იუშენკოსთვის დაეჭირათ მხარი.

დორენკო აცხადებს, რომ უკრაინელებს თავისი მომსახურება უფასოდ შესთავაზა. გასულ კვირას ხარკოვში იყო ჩასული, უღიმღამო სამრეწველო ქალაქში, რომელიც რუსეთის საზღვარზეა განლაგებული. სხვათა შორის, ხარკოვში მძღოლიანი "მერსედესით" და პირადი დაცვის თანხლებით ჩავიდა. სამ სატელევიზიო თოქ-შოუში და ორ რადიოგადაცემაში მიიღო მონაწილეობა, სადაც უკრაინის საშინაო საქმეებში ჩარევაში, "კენჭისყრის შედეგების მასობრივი გაყალბების" მეშვეობით, პუტინი დაადანაშაულა. დორენკომ თავისი ვიზიტი ხარკოვის უნივერსიტეტის გადავსებულ დარბაზში გამოსვლით დაასრულა. "უკრაინელებმა საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთონ – ვინ უნდათ, რომ იყვნენ", - უთხრა მან სტუდენტებს. უნივერსიტეტში გამოსვლის შემდეგ, "ტელეკილერი" უკან წავიდა ავტომობილით, რომელსაც იანუკოვიჩის მხარდამჭერ მიტინგზე თავმოყრილ ხალხში უნდა გაეკვალა გზა. ზოგიერთმა დორენკო ავტომობილის ფანჯრებს მილმა ამოიცნო. ხალხი მის მანქანას მივარდა შეურაცხყოფითა და შეძახილებით – "მოღალატე" და "რუსეთის მტერი". მათ ეჭვი ეპარებათ, რომ დორენკო მხოლოდ იდეური მოსაზრებებით მოქმედებს. "რასაკვირველია, ის საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ საინტერესოა, ვინ უხდის ფულს?" - ამბობს 24 წლის ალექსეი მურატოვი.

"The Wall Street Journal"

ვაკანსია!

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA) აცხადებს კონკურსს ფინანსების, მარკეტინგის მენეჯმენტის სპეციალობის ბიზნესკონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად.

აუცილებელია, მსურველებს ჰქონდეთ ამ სფეროებში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება, უმაღლესი განათლება, იცოდნენ ინგლისური ენა. განცხადების განხილვის შემდეგ შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერილობით ტესტირებას ინგლისურ ენაზე ანალიტიკურ, ლოგიკურ აზროვნებაში ფინანსებსა და მარკეტინგში. შერჩეული კანდიდატები იმუშავებენ უცხოურ საკონსულტაციო კომპანიასთან მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, CV და განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ინგლისურ ენაზე.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 16 იანვარი.

დაწვრილებითი ინფორმაცია CERMA-ს შესახებ იხილეთ CERMA-ს ინტერნეტ-გვერდზე: www.cerma.ge.

მისამართი: ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების გადაკვეთა
ფაქსი: (995 32) 420 416
ელ-ფოსტა: mailbox@cerma.ge

ს.ს. "თელასი" **გაყიდის:**

N	ა/მ მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ა/მ ფერი	ფასი
1	Jeep Grand Cherokee 4.0	1998	ნისფერი	$ 7000
2	Opel Frontera 2.4 I	1992	შავი	$ 3500
3	ზილ 431410 (ბორტიანი)	1986	ღია ლურჯი	500 ლარი

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; 77 99 29

დანაპირები შესრულებულია - ფინანსური ამნისტია მიღებულია

ჰირველი გვერდიდან

რას გულისხმობს ფინანსური ამნისტია?

ქართული ამნისტიის თანახმად, უნდა შეწყდეს ყველა საგამოძიებო ორგანოში იმ პირთა მიმართ აღძრული საქმეების წარმოება და სასამართლოებში განუხილველი საქმეები, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს ე.წ. "სამეწარმეო დანაშაული" (მაგალითად - დამალეს მიღებული შემოსავალი, არ გადაიხადეს გადასახადები).

ამას გარდა, სასჯელისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლის დროისათვის მსჯავრდებული არიან ასეთი დანაშაულების ჩადენის (თუმცა, ისინი არ თავისუფლდებიან უკვე გადახდილი თუ გადასახდელი ჯარიმებისგან).

ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები. არ განხორციელდეს მათთან დაკავშირებით სისხლის სამმართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება.

ამასთან - დაუსაბუთებლად აღარ ჩაითვლება, ანუ - ლეგალიზებული იქნება ქონება, რომლის დეკლარირებასაც მეწარმე მოახდენს ამ კანონში გათვალისწინებული წესით.

დაბოლოს - ყოველგვარი გადასახდელების გადახდის გარეშე ლეგალიზებულად ითვლება 1992 წლამდე რეგისტრირებული უძრავი ქონება. ასევე - ქონება, რომელიც 1992-94 წლებში იყო შეძენილი ან აშენებული და რომლის ღირებულება 300 ათას ლარს არ აღემატება. ასევე - ქართულ საბანკო ანგარიშებზე უკვე განთავსებული ქონება.

ვის არ ეხება ამნისტია?

ამნისტია არ ეხებათ იმათ, ვინც ქონება დააგროვა ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობით, ტერორიზმით, ტრეფიკინგით და სხვა ტრანსნაციონალური დანაშაულების გზით.

ამნისტია ასევე არ ეხებათ მეწარმეებს, რომელთაც უკვე აქვთ "აღმოჩენილი" ან დარიცხული და აღრიცხული, მაგრამ გადაუხდელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები. არ შეეხება არც იმ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებს, რომელთა ირგვლივაც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალწარმოება.

ამნისტია არ ეხება არც უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების შედეგად ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

ამნისტია არ ეხებათ, ყოველ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კუთხით, მაღალი თანამდებობის პირებს. მათი ჩამონათვალი ასეთია: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და მათი მოადგილეები; საქართველოს სამინისტროს ბიუროს, დეპარტამენტისა და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები; საქართველოს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე მათთან გათანაბრებული პირები.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და საბჭოს წევრი; საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრი; საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი; საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე; მოსამართლე; საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე; საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე რაიონის და ქალაქის, აგრეთვე ქალაქის რაიონის საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსები; სამხედრო კომისრები; ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები; ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი პირველი მოადგილეები; პროკურორები; საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის პირდაპირი მითითების საფუძველზე არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული სხვა პირი.

ასევე - ამნისტია არ ეხება იმათ, ვინც მართავდა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო იმ საწარმოში, რომლის საწესდებო კაპიტალი აღემატება ან აღემატებოდა 1 მილიონ ლარს და რომელშიც სახელმწიფო ფლობს ან ფლობდა წილის (აქციათა) 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს. ასეთებია, მაგალითად "მადნეული", "აზოტი" და სხვები და სხვები.

თუმცა, როგორც თანამდებობის პირებს, ისე - სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ იმ შემოსავლების ლეგალიზება, რომელიც კერძო ბიზნესში ყოფნისას, ანუ - თანამდებობაზე ან სახელმწიფო საწარმოში მოსვლამდე დააგროვეს. მათ ასევე გარკვეული პირობით შეუძლიათ "გაექცნენ" "უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების" ჩამორთმევას, თუკი ისინი ამ "უკანონო შემოსავლის" ტოლფას თანხას 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში დააბანდებენ, ან - ქართული ბანკების ანგარიშებზე განათავსებენ. აქვე ერთი დეტალი - ამ შეღავათის შემთხვევაშიც, თანამდებობის პირები არ თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

ვის ეხება ამნისტია?

თუ ვიხელმძღვანელებთ ცნობილი პრინციპით - რაც აკრძალული არ არის, ის დაშვებულია, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამნისტია ეხება ყველა იმ პირს, რომელიც ზემოთ მოხსენებულ აკრძალვის ჯგუფებში არ არის მოხვედრილი.

არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაცია ეხება - როგორც გადასახადის გადამხდელ პირებს (როგორც იურიდიულს, ისე - ფიზიკურს), ასევე - საგადასახადო აგენტებს. აღმოუჩენელი ანუ არადეკლარირებული გადასახადების ლეგალიზებისთვის სპეციალური დეკლარაციების შევსება არ არის აუცილებელი, რადგან 2004 წლამდე ფინანსური საქმიანობის შემოწმება იკრძალება და, შესაბამისად, რაც აღმოჩენილი არ არის, იმის გადახდას ვერავინ მოგთხოვთ. თუმცა - ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს მოუწევს, გადაიხადოს დარიცხული და აღრიცხული, მაგრამ გადაუხდელი გადასახადები.

რაც შეეხება დაფარული ქონების ლეგალიზაციას - ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომლების ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2005 წლის ბოლომდე მოახდენენ საკუთარი ქონების, მათ შორის - დაფარული ქონების დეკლარირებას საგადასახადო ორგანოებში.

დეკლარირებული ფინანსური სახსრები ლეგალიზებულად ჩაითვლება, თუ 2005 წლის განმავლობაში პირი დამალული ქონების დეკლარირებას მოახდენს საგადასახადო სამსახურში და დეკლარირებული ფინანსური სახსრების და უძრავი ქონების ღირებულების 1 პროცენტს გადაიხდის ბიუჯეტში. გარდა ამისა, დეკლალირებული ქონება ლეგალიზებულად ჩაითვლება, თუ ამ თანხას პირი განათავსებს ქართული ბანკის ანგარიშებზე. ამ შემთხვევაში 1 პროცენტის გადახდა საჭირო აღარ არის.

დაფარული ქონების ლეგალიზაციის დეტალური წესი, კანონის თანახმად, მთავრობამ 15 დღის ვადაში უნდა გამოსცეს.

ხუთი შვილი - მართლა შვილი

ნანა ყავლაშვილი

გუშინ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა და არასამთავრობო ორგანიზაცია "პანაცეამ" რაიონის გამგეობების მიერ შერჩეულ ყველაზე გაჭირვებულ თბილისელ მრავალშვილიან დედებსა და მათი შვილებს – ასამდე ბავშვს - სტუდია "მაესტროს" კლუბში საახალწლო ღონისძიება მოუწყვეს.

იური ლოგაშოვის ფოტო

ცეკვისა და სიმღერის შემდეგ წამყვანებმა მხიარული ვიქტორინა გამოაცხადეს.

ზეიმი 25 წუთის დაგვიანებით დაიწყო. პატარები რაღაც უჩვეულოს მოლოდინში ძალიან ღელავდნენ. სოსო თოლორაიამ, "წუნამ" და ვასიკო ოდიშვილმა დღესასწაული გახსნილად გამოაცხადეს და მომცრო სცენაზე პირველი მოხალისე მიიწვიეს. ცეკვისა და სიმღერის შემდეგ წამყვანებმა მხიარული ვიქტორინა გამოაცხადეს. ყველაზე ჭკვიანები ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნებით დაასაჩუქრეს.

ბავშვებსა და მათ მშობლებს თოვლის ბაბუად გადაცმულმა "კიჭამ" (ლევან ლელაშვილმა) დამდეგი ახალი წელი მიულოცა და პატარებს საჩუქრები გადასცა. მათ, ასევე, დაურიგეს დიაგნოსტიკურ ცენტრ "ნეკოს" უფასო გამოკვლევის ბარათები და "მაკდონალდსის" საშვები; შემდეგ სუფრასთან მიიწვიეს. გული არც მშობლებს დასწყვიტეს - "ისი პარი"-ში შეძენილი სუნამოებით, "ბრაუნის" მადუღარებითა და უცხოური მაგნიტოფონებით დაასაჩუქრეს.

ზეიმის დასასრულს ყველაზე უმცროსი მონაწილე, დაღლილი ორი წლის გიორგი რაქვიაშვილი დედის კალთაში თვლემდა.

"ოჯახში ბევრი შვილის ყოლა რთულია, მაგრამ ამ ქვეყნად ეს ყველაზე დიდი სიხარულია. ამაზე უმცროსი შინ დავტოვე", - გვითხრა დედამისმა, 40 წლის ქეთევან ფიფიამ, რომელიც ხუთი შვილის დედაა.

30 წლის ნინო მერკვილიშვილი თავის ექვს შვილთან ერთად მობრძანდა.

"გაჭირვებას იმიზეზებენ, თორემ... მთავარია, ქალს შვილის გაჩენის სურვილი ჰქონდეს. მართალია, მიჭირს მათი აღზრდა, მაგრამ ღმერთი მეხმარება. დღევანდელი დღით ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა ზეიმის ორგანიზატორებს. ჩვენი შვილებისთვის ეს, მართლაც, დიდი საჩუქარი იყო", - თქვა მან.

ანაფორით შემოსილი ექვსი შვილის მამა, ტარიელ ჟღენტიც საკუთარ შვილებს ახლდა. **"ეს ამ ტიპის პირველი ღონისძიებაა, მაგრამ არა - ერთადერთი. მომავალში კვლავ მოეწყობა შეხვედრები გაჭირვებულ მრავალშვილიან დედებთან. ვეცდებით, არც ერთი მათგანი უყურადღებოდ არ დავიტოვოთ. იმედი გვაქვს, ქალაქის ბიუჯეტი ამის საშუალებას მოგვცემს",** - დაგვპირდა თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია.

თვალსაზრისი

ჯანდაცვის სისტემის ორიენტირი

ჯანდაცვის სისტემაში რადიკალური რეფორმის ჩატარება იმდენად აქტუალურია, რამდენადაც იწურება საზოგადოების თმენის ლიმიტი. ათასობით მოქალაქე კაბინეტიდან კაბინეტში დარბის და შველას ითხოვს, მაგრამ ყველას ვერ დაეხმარები. ხსნის ერთადერთი გზა მხოლოდ რადიკალური რეფორმაა. მან უნდა დააკმაყოფილოს სამი ძირითადი პრინციპი – მედიცინა ორიენტირებული უნდა იყოს პაციენტზე, უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად თავისუფალი, დამოუკიდებელი ბაზარი, პაციენტს, სამედიცინო აგენტსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის კი - გამჭვირვალე, სამართლებრივი ურთიერთობა.

ქახი გელაშვილი,
სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკა შპს „გინეკა"-ს დირექტორი

ის მწირი შესაძლებლობები, რაც ჯანდაცვას აქვს, უნდა მიიმართოს უპირველესი მიზნის მისაღწევად – უზრუნველყოფილი იყოს ყოველი ადამიანის სიცოცხლის, ანუ გარანტირებული სამედიცინო მომსახურეობის კონსტიტუციური უფლება.

დღეს სახელმწიფოში მოქმედებს ურგენტული (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების) პროგრამა, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იგი არსებობს მხოლოდ ფურცელზე და ვის ემსახურება არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, რიგითი ადამიანი ამას ვერ გრძნობს. პაციენტი, რომელიც გადაუდებელი ჩვენებით სტაციონარში ხვდება, იძულებულია, გადაიხადოს ნაღდი ფული, იყიდოს წამალი და ასე შემდეგ. ლიფტი რომ ლიფტია, უფასო ისიც კი არსად აღარ არის - ანუ ასეთი პაციენტი მხოლოდ ღვთისა და საკუთარი ჯიბის ანაბარადაა დარჩენილი.

სახელმწიფოს დაფინანსება კი პაციენტამდე არ მიდის და, რომც მივიდეს, დიდი ვერაფერი ბედენაა, რადგანაც დაფინანსება ისეთია, რომ რეალური ღირებულების ნახევარს, ზოგჯერ მეათედსაც არ ყოფნის. პროგრამულ სტანდარტებში არ არის გათვალისწინებული არაპირდაპირი ხარჯები. არასრულყოფილია დიაგნოსტიკასა და მედიკამენტებში ჩადებული ფინანსები, ხოლო რაც შეეხება სახელფასო განაკვეთებს, ისეთი მიზერულია, რომ, პრაქტიკულად, ნულის ტოლია. სწორედ ამგვარად შედგენილი ურგენტული დახმარების სტანდარტია იმის მიზეზი, რომ პაციენტი ვერ გრძნობს პროგრამის არსებობას და იძულებული ხდება, ჯიბიდან არალეგალურად დააფინანსოს საკუთარი ჯანმრთელობა. ამის გამო ყვავის მედიცინაში ჩრდილოვანი ეკონომიკა. ასეთი რეალობა გვაძლევს იმის უფლებას, რომ ხმამაღლა ვთქვათ - ჯანდაცვა ორიენტირებულია არა პაციენტზე და ექიმზე, არამედ ბობოლა მთავარ ექიმებზე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ისევ შევარდნაძის კადრია. მათ ბრწყინვალედ იციან ძველი ვერტიკალი და ახლა რეფორმის ხსენებაზე შიშით კანკალებენ.

რეფორმის პირველი ეტაპი – ურგენტული პროგრამა უნდა გამსხვილდეს და გამოცხადდეს ერთადერთ პრიორიტეტულ პროგრამად. სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ახალი სამედიცინო სტანდარტი, რომელშიც ჩაიდება რეალური გათვლები, ჩაიდება ადეკვატური ხელფასი, ყველა აუცილებელი მედიკამენტი, არა პირდაპირი ხარჯები და, წარმოიდგინეთ, საწარმოს მოგებაც 10 – 20 პროცენტის ოდენობით.

ამ გზით, ჯანდაცვა პაციენტზე და ექიმზე ორიენტირებული გახდება; და თუ მავანი ექიმი მაინც გაიხედავს პაციენტის ჯიბისკენ, ის სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს.

თუ აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობისათვის ტენდერი არ ჩატარდება, ჩვენ ხელს შევუწყობთ მედიცინაში თავისუფალი არამონოპოლიზირებული ბაზრის წარმოქმნას. ამას აქვს თავისი ურყევი არგუმენტები: თავისუფალი ბაზარი არის ეკონომიკის და პროგრესის ერთადერთი გარანტი და მამოძრავებელი ძალა; თავისუფალი ბაზარი არის სამედიცინო ბიზნესისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებელი პირობა; სახელმწიფომ უარი უნდა თქვას იმ ქმედებაზე, რაც წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების თავისუფლების შეზღუდვას; პაციენტს უნდა შერჩეს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფალი არჩევანის უფლება.

რეფორმის მეორე ეტაპი – საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს ურგენტული დახმარების პოლისი, რომელიც ეღირება 20-დან 50-ლარამდე. ეს ბიუჯეტს მოუტანს, დაახლოებით, 100 მილიონ ლარს. მოსახლეობის 80 პროცენტმა იგი უნდა შეიძინოს, ხოლო 20 პროცენტს დაურიგდეს უფასოდ. საჭიროა, ჩატარდეს აღნიშნული პროექტის მძლავრი საინფორმაციო მხარდაჭერა.

გაფართოებული ურგენტული პროგრამის შექმნას სჭირდება სამართლებრივი უზრუნველყოფა და კონტროლის მძლავრი ინფრასტრუქტურა, 24-საათიანი ცხელი ხაზით და დარღვევებზე ოპერატიული რეაგირებით.

ურგენტულ პროგრამაში ჩადებული უნდა იყოს სასწრაფო დახმარების ახალი პროგრამა. ამ სფეროში დღეს არსებული ვითარება სავალალოა. ჯერ ერთი, მიუხედავად დეკლარირებული "03"-ის უფასობისა, ექიმები პაციენტს ფულს მაინც სძალავენ და მეორეც - სასწრაფოში ყვავის კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკა.

სასწრაფოს, თითქმის, ყველა ბრიგადა შეკრულია სტანციონართან და, ლამის, ღია აუქციონი გამართონ, რომელი კლინიკა გადაიხდის მეტ თანხას ამა თუ იმ პაციენტში. სიტუაცია საგანგაშოა, "03"-ის რეფორმა აუცილებლად ჩასატარებელია მთლიანი ურგენტული დახმარების ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ ურგენტულ პროგრამაზე ტენდერი არ ჩატარდა და ყველა აგენტს მიეცა ამ პროგრამაში მონაწილეობის უფლება, მაშინ "03"-ში "აუქციონზე" ტარიფები გაიზრდება და ეს უფრო მანკიერ სახეს მიიღებს. ამიტომ, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების პროგრამაში მონაწილეობა ყველა კერძო სასწრაფომაც უნდა მიიღოს. ასეთ შემთხვევაში, აქაც შეიქმნება თავისუფალი სამედიცინო ბაზარი, ხოლო ჰოსპიტალიზაციაზე აქტიური კონტროლი უნდა გამორიცხავდეს კორუფციისათვის ეკონომიკური ბერკეტის არსებობას.

რეფორმის მესამე ეტაპი – სახელმწიფომ უარი უნდა თქვას სახელმწიფო შპს-ებზე, რადგან დადგა დრო, ყველა ჩაერთოს დამოუკიდებელ თავისუფალ ბაზარში.

იმისათვის, რომ გაიზარდოს შემოსავლები, საჭიროა მოხდეს უკლებლივ ყველა სამედიცინო დაწესებულების პრივატიზება. დასაწყისში საჭიროა, საკმარისი ფიფოები დაიშალოს განყოფილებების დონის კერძო შპს-ებად, რომლებიც დასაწყისში გადაიხდიან სახელმწიფოს ქონების ფართით სარგებლობისათვის იჯარას, ხოლო მოგვიანებით, თანდათან ან პირდაპირ, შეისყიდიან ამ დანესებულებებს. ამ პროცესის 2-3 წლით გაფართოება თავიდან აგვაცილებს სოციალურ მღელვარებას, გაზრდის სახელმწიფო შემოსავლებს, გაპარტახებისაგან დაიცავს სამედიცინო დაწესებულებებს და ხელს შეუწყობს თავისუფალი, არამონოპოლიზებული ბაზრის წარმოქმნას.

აღნიშნული რეფორმის ჩატარება შეიძლება ერთ-ორ თვეში, ხოლო მესამე ეტაპი, ალბათ, ერთ წელიწადში უნდა დასრულდეს. რეფორმა იქნება რევოლუციური და დაანგრევს ძველ აზროვნებას, მიეცემა შეუქცევადი ხასიათი და, რაც მთავარია, გვეყოლება მადლიერი მოსახლეობა.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს და პირადად ბატონ ლადო ჭიპაშვილს აქვს წარმატებულად ჩატარებული რეფორმის გამოცდილება - კერძოდ, 2004 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა რევოლუციური სამეანო პროგრამა, რომელმაც გარდატეხა შეიტანა არა მარტო ჩინოვნიკების, არამედ მოსახლეობის მსოფლმხედველობაში. პირველი შედეგები კი ასეთია: ყველა მშობიარეს მიეცა არჩევანის უფლება; ყველა სამშობიარო გახდა პროგრამის მონაწილე; ყველა სამშობიარო სახლში დაიკლო მომსახურების საფასურმა და გაუმჯობესდა მომსახურების დონე; ჩამოყალიბდა თავისუფალი სამედიცინო ბაზარი ამ სფეროში. მოსახლეობა აშკარად კმაყოფილია ჩატარებული რეფორმით და სამინისტროს პოლიტიკით.

ცხადია, ოთხთვიანმა პერიოდმა ნაკლოვანებებიც გამოავლინა - კერძოდ, პროგრამაში მონაწილე ზოგმა დიდმა სამშობიარო სახლმა 200-ლარიანი ვაუჩერით ვერ მოახერხა ადეკვატური სახელფასო განაკვეთების ფორმირება (რასაც თანხის სიმცირეც განაპირობებდა) და კოლექტივს დაუტოვა მინიმალური ხელფასი. ამიტომ, ზოგიერთ დიდ სამშობიარო სახლებში კვლავ ძალაში რჩება წინა ხელისუფლების დროს ფორმირებული არალეგალური გადახდის ინსტიტუტი. საერთოდ კი, ეს პროგრამა, მთლიანობაში, წარმატებულია, რისი ძირითადი ინდიკატორიც საქართველოს მოსახლეობაა.

Mercy Corps btc SCP South Caucasus Pipeline

სოფელში ონკანთან ბავშვის მისვლის აღარ ეშინიათ

გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარი I-ში დასრულდა სასმელი წყლის სისტემის გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები.

პროექტი განხორციელდა მერსი ქორისა და ადგილობრივი თემის მიერ, საზოგადოებრივი ინვესტირების სამწლიანი პროგრამის ფარგლებში, რომელიც აღმოსავლეთში მოქმედებს და ინიცირებული და დაფინანსებულია "ბპ"-სა და მისი პარტნიორების მიერ BTC და SCP პროექტებში.

ჯანდარი I-ის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი, ქალბატონი სევილ მამედოვა, შეთავსებით სკოლის მასწავლებლად მუშაობს, ყოველდღე უამრავ ხალხთან ურთიერთობს და ჯანდარი I-ის მოსახლეობის პრობლემები, ალბათ, ყველაზე კარგად იცის.

"ჩვენმა სოფელმა უდიდესი პრობლემა გადაიწყვიტა ბი პი-ს მიერ ამუშავებული პროექტის მეშვეობით, - გვიყვება სევილი. - ვარგისი სასმელი წყალი წლების მანძილზე არ გვქონია. ერთადერთი გამოსავალი ეზოში ჭის გათხრა იყო. მე დაბლობში ვცხოვრობ, ამიტომ წყალი ჩემს ეზოში უკვე 15 მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან ძვირი დამიჯდა: დაქირავებულმა მუშებმა 250 დოლარი გადამახდევინეს, სხვებს კი - კიდევ უფრო მეტი. თანაც, როგორც აღმოჩნდა, არც ღირდა საწვალებლად - სპეციალისტებმა სოფელში გახშირებული დაავადებების მიზეზად დაბინძურებული სასმელი წყალი დაასახელეს. ამიტომ, როდესაც ჩვენთან შარშან, აპრილში მერსი ქორი ჩამოვიდა, თემმა პირველივე კრებაზე პრიორიტეტად სასმელი წყლის პრობლემის გააწყვეტა დაასახელა".

თემის საინიციატივო ჯგუფის ლიდერის, ოლხან იბრაგიმოვის თქმით, ამ პროექტს, სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრის გარდა, სხვა დადებითი მხარეც გააჩნდა: მან ძალიან გააქტიურა და დააახლოვა ხალხი, დაარწმუნა თემი საკუთარ ძალებში. "პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა: ამოვთხარეთ 100-მეტრიანი ჭა, დავამონტაჟეთ რეზერვუარი, შიდა ქსელის რეაბილიტაციის შემდეგ კი სოფლის გასწვრივ ყოველ 100 მეტრში ჭები ამოვაშენეთ და 30 ონკანი დავაყენეთ. თემის კონტრიბუციამ პირველ ეტაპზე თითქმის 29 პროცენტი შეადგინა" მეორეზე კი 23 პროცენტს გადააჭარბა. რა ბედნიერებაა, როდესაც ბავშვის ონკანთან მისვლის არ გეშინია!".

სასმელი წყლის პრობლემის გარდა, სოფელს ბუნებრივი აირიც არ ჰქონდა: მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მრიცხველები შეეძინათ.

"ეს პრობლემაც ბი-პიმ და მერსი ქორმა გადაგვიწყვიტეს, - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე რომან გასანოვი. - თემის მიერ შედგენილი ბიუჯეტი უკვე დამტკიცდა: მერსი ქორი სოფლისათვის 550 მრიცხველს ყიდულობს, მათი მონტაჟის ხარჯი კი თემმა ითავა".

ფოტოზე: სევილ მამედოვა, რომან გასანოვი, ოლხან იბრაგიმოვი

ბრენდის დღე

გუშინ საქართველოში პირველად აღინიშნა "ბრენდის დღე". ეს სიტყვა თავდაპირველად მხოლოდ ღვინის სახელს აღნიშნავდა, შემდეგ მნიშვნელობა შეიცვალა და მთლიანად ალკოჰოლური სასმელების სავაჭრო ნიშნის სახელწოდება გახდა.

საქართველოში უამრავი დასახელებისა და გემოვნური თვისებების ღვინო არსებობს, თუმცა ბევრი მათგანი ქართველი მომხმარებლისთვის უცნობია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ღვინის ქარხნები, ძირითადად, საექსპორტო წარმოებაზე არიან ორიენტირებულები.

გუშინ რესტორან "ნიკალაში" წარმოდგენილი იყო: "თელავის ღვინის მარნის", "ქინძმარაულის", "ვაზიანის", "შუმის" და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების პროდუქცია. აღნიშნული კომპანიები რამდენიმე დასახელების ალკოჰოლურ სასმელს აწარმოებენ. როგორც სააგენტო "PRოფილის" წარმომადგენლებმა და გუშინდელი დღის ორგანიზატორებმა გვითხრეს, მსგავსი საღამოების მოწყობის მიზანია ქართული კომპანიების წახალისება. ამიერიდან "ბრენდის დღე" ტრადიციული გახდება და წელიწადში ერთხელ აღინიშნება. ამჟამად გამოვლინდა და დაჯილდოვდა 2004 წელს შექმნილი სასმელები.

24 საათი

წლის მოსამართლე

ანუ სტიმული მართლმსაჯულების წარმომადგენლებისთვის

იმ დროს, როცა საქართველოში მართლმსაჯულება ლამის უკანასკნელ პლანზეა გადაყვანილი, და მოსამართლეების არასამთავრობო ორგანიზაცია - მოსამართლეთა ასოციაცია საკუთარ კოლეგებს წინასაახალწლო სიურპრიზს უმზადებს.

2004 წლის ღირსეული მოსამართლე უკვე გამოვლენილია. ეს სტატუსი თერჯოლის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს დავით ღიბრაძეს მიენიჭა.

ვახო ბესელიას ფოტო

ჩვენს ქვეყანაში პურ-მარილით ვერავის გააკვირვებ, მით უმეტეს მოსამართლეებს, მაგრამ რესტორან "ოლიმპში" საქართველოს ყველა რაიონის მოსამართლეების ერთად შეკრება, ქარული მართლმსაჯულების წარმომადგენლებისთვის, ალბათ უფრო სტიმულის მიცემა იყო. სტიმული კი მოსამართლეებს მართლაც სჭირდებათ, რადგან ბოლო პერიოდში ქვეყანაში ხელოვნურად შექმნილმა სახელფასო კრიზისმა თუ აგორებულმა შავმა პიარმა, უღირს მოსამართლეებთან ერთად, რომელთა არსებობასაც თავად სასამართლოს წარმომადგენლებიც არ უარყოფენ, ის მოსამართლეებიც დააზარალა, რომლებიც, პროფესიონალიზმით, პრინციპულობით და უმწიკვლო რეპუტაციით გამოირჩევიან.

"შორს ვართ იმ აზრისგან, თითქოს ჩვენს რიგებში უღირსი მოსამართლეები არ არიან, მაგრამ ის უარყოფითი პიარი, რაც სასამართლო ხელისუფლების მიმართ დამკვიდრდა, ნამდვილად დაუმსახურებელია. მომავალი წლიდან იმედი გვაქვს, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში უღირსი წარმომადგენლები აღარ იქნებიან და ამის დასაწყისი დღევანდელი დღე იქნება", - ამ სიტყვებით მიმართა მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარემ და აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორმა მზია თოდუამ ასამდე კოლეგას.

2004 წლის ღირსეული მოსამართლე კი უკვე გამოვლენილია. კონკურსი აღნიშნული ტიტულის მოსაპოვებლად ცოტა ხნით ადრე დაიწყო. მოსამართლეებმა თავად შეარჩიეს წლის მოსამართლის ექვსი კანდიდატი. თელავის რაიონული სასამართლოდან მარიკა ცერცვაძე, თერჯოლის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე დავით ღიბრაძე, მანანა ნიკაჭაძე – ხარაგაულის რაიონული სასამართლო, სალიხ შაინიძე – შუახევის რაიონული სასამართლო და ვაჟა (მორის) ფუხაშვილი – თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო – ეს ის შერჩეული კანდიდატები არიან, რომელთაგან 2004 წლის მოსამართლე გუშინ ხელახალი კენჭისყრით აირჩიეს. 80 მოსამართლიდან ხმათა უმრავლესობა თერჯოლის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ დავით ღიბრაძემ მოიპოვა, რომელსაც ჯილდოდ სპეციალური დიპლომი, თემიდას გამოსახულებიანი პრიზი და ფერადი ტელევიზორი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ გადასცა. მოქმედი მოსამართლის გვერდით ქართული მართლმსაჯულებისთვის გაწეული ღვაწლი დაუფასდა ამერიკის იუსტიციის ასოციაციის წარმომადგენელს ქეროლინ კლარ კემპელსაც. იგი მოსამართლეთა ასოციაციამ სპეციალური ჯილდოთი დააჯილდოვა.

მნიშვნელოვანი დაჯილდოების შემდეგ მოსამართლეები შედარებით მხიარულ განწყობაზეც დადგნენ და პრიზები იმ მოსამართლეებმა და მიწვეულმა სტუმრებმაც მიიღეს, რომლებსაც ბედმა სახელდახელოდ გათამაშებულ ლატარიაში გაუღიმათ.

"ჩვენ არ გვინდა, დღევანდელი ღონისძიება ერთჯერადი იყოს. გვსურს, რომ იგი ყოველწლიურ ტრადიციად დამკვიდრდეს. ეს დღე იქნება მართლმსაჯულების და საზოგადოების დაახლოების დასაწყისიც", - ასეთია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის განწყობა.

24 საათი

ქუთაისში საპატრულო პოლიცია ამოქმედდა

25 დეკემბრიდან ქუთაისში მუშაობა დაიწყო საპატრულო პოლიციამ. ქალაქს 14 "შკოდა-ოქტავიას" ფირმის ავტომობილი 24 საათის განმავლობაში გააკონტროლებს. ხელისუფლება ქუთაისში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებას სწორედ პატრულის გამოჩენას უკავშირებს. საპატრულო პოლიციის ამუშავებას ქუთაისელებიც ოპტიმიზმით შეხვდნენ.

ბექა სისაური
ქუთაისი

თბილისის მსგავსად, საპატრულო პოლიცია ქუთაისშიც, ჩართული სირენებითა და ციმციმებით შემოვიდა. რის შემდეგაც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მწყობრად ჯერ ავტომობილები მოაწყვეს, შემდეგ კი თავადაც მოეწყვნენ. ქუთაისში პატრულის გამოჩენა უშუალოდ მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გააკონტროლა. მანვე ჩაიბარა პატაკი ქვეყნის საპატრულო პოლიციის უფროსის ვანო ბერაძისგან. მინისტრმა თითოეულ პატრულს პირადად ჩამოართვა ხელი და მუშაობის დაწყება მიულოცა.

"ღმერთმა ქნას, რომ ქუთაისში გამოჩენის სამი თვის თავზე, თქვენც ისეთი შედეგებისათვის მიგეღწიოთ, როგორიც დღეს თბილისშია. ჩვენი მხრით, გპირდებით, რომ თქვენს სოციალურ მდგომარეობას სისტემატურად გავაუმჯობესებთ. ყოველ ექვს თვეში ხელფასების მნიშვნელოვან მატებას ექნება ადგილი. ამავე დროს ვიქნებით ძალიან მომთხოვნები. საპატრულო პოლიციის მხრიდან ნებისმიერი დარღვევა მკაცრად იქნება დასჯილი, რათა შევინარჩუნოთ პოლიციის სახელი და იმიჯი. მესმის, რომ ეს ჯამაგირი საკმარისი არ არის სრულფასოვნად ცხოვრებისათვის, მაგრამ ჩვენ უნდა ავაშენოთ საზოგადოება, სადაც ყველაზე დაფასებულები თქვენ იქნებით," - მიმართა ქუთაისის პატრულს ვანო მერაბიშვილმა. ქალაქის პოლიციის უფროსის განმარტებით, მოძრავ პატრულთან ერთად ქუთაისში 40-მდე ქვეითიც იმოძრავებს. მინისტრს კი მიაჩნია, რომ 14 საპატრულო ავტომობილი ქუთაისისათვის სავსებით საკმარისია. **"ჩვენი გათვლებით, ეს რაოდენობა ქუთაისისათვის საკმარისია, ქალაქში არსებულ კრიმინალურ მდგომარეობას კი ტყუილად ვაზვიადებთ. არავითარი მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა არ არის. უბრალოდ, ქალაქს აქამდე არ ჰყავდა პატრონი, ახლა კი ახალი საპატრულო პოლიციის, გუბერნატორისა და მერის სახით სერიოზული ძალა ჩამოყალიბდა. ქვეყანაში უნდა ბატონობდეს ხალხი და არა ქურდები,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვანო მერაბიშვილმა.

სხვათა შორის, პატრულის ამოქმედებამდე ქუთაისში სხვადასხვა ხმები ვრცელდებოდა. მაგალითად, ამბობდნენ, რომ პატრულში მუშაობის დაწყება, ცხადია, არაოფიციალურად, 2000 დოლარი ღირს, ხოლო მოძრავ პატრულში მოსახვედრად დამატებით 1000 დოლარის გადახდაა საჭიროო. საქართველოს საპატრულო პოლიციის უფროსი ამ ხმებს აბსურდულს უწოდებს. **"ეს არის ტყუილი... კაცი ვერ მოვა და ვერ იტყვის, ფული გადავიხადეო. შეგიძლიათ რიგით პატრულს ჰკითხოთ, რამდენი გადაიხადეს. მათ რომ გადახდილი ჰქონდეთ, ასე არ იმუშავებდნენ, პირიქით, საკუთარი დანახარჯის ამოღებას შეეცდებოდნენ... ამ ჭორებს ისინი ავრცელებენ, ვინც ჩვენთან ვერ მოხვდა,"** - განაცხადა ვანო ბერაძემ.

25 დეკემბერს, პატრულის გამოჩენასთან ერთად, ქუთაისში 022-იც ამოქმედდა. ხელისუფლება სატელეფონო ცხელი ხაზის ამოქმედებას მოსახლეობაში პოლიციის იმიჯის ამაღლებას, დანაშაულის პროფილაქტიკასა და გამოვლენას უკავშირებს. ქუთაისელებისათვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა ის, რომ პატრულებს შორის 5 გოგონაა. **"პატრულში მუშაობის დაწყების გამო, ჩემიანების მხრიდან გაკვირვება ძალიან დიდი იყო. მირჩევდნენ, რომ ეს ქალური სამსახური არ არის და თავი გამენებებინა, მაგრამ მე მთელი სულით და გულით მინდოდა პატრულში მოხვედრა. მსურს, ჩემს ქალაქსა და სამშობლოს ვემსახურო,"** - განაცხადა ერთ-ერთმა ქალმა პატრულმა - ელიზავეტა ლაცურბაიამ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საპატრულო პოლიციამ მუშაობა 25 დეკემბრის საღამოსვე დაიწყო. დაფიქსირდა პირველი გამოძახებებიც. პატრულმა უგონოდ მთვრალი ადამიანი შინ მიიყვანა, დააფიქსირა ავტოსაგზაო შემთხვევაც. **"ქუთაისში პატრულის გამოჩენა ძალიან გასახარია, იმედი გაჩნდა, რომ მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვლება, თორემ ქალაქი გაწამდა, ავტომობილების, ბინების და წვრილმანი ქურდებისაგან. ოღონდ, მთავარია, რომ პატრულმა პატიოსნად იმუშაოს,"** - მიაჩნიათ რიგით ქუთაისელებს.

მოკლედ

ფონიჭალაში კიდევ ერთი ნარკოვაჭარი დააკავეს

ქვემო ქართლის პოლიციამ სოფელ ფონიჭალაში მორიგი ნარკორეალიზატორის დაკავების ოპერაცია წარმატებით დაასრულა. ქვემო ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს უფროსის კობა შარვაძის ინფორმაციით, 25 წლის რაფიკ ზელიმხან ოღლი ჯაფაროვი დიდი ხნის მანძილზე იძებნებოდა და ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მისი დაკავება მხოლოდ ახლა მოხერხდა. ნარკოტიკების მოხმარება, შენახვა-რეალიზაციაში ეჭვმიტანილი ჯაფაროვი სამართალდამცველებმა ფონიჭალაში ერთ-ერთი ვულკანიზაციის ეზოში აიყვანეს. ჯაფაროვმა საკუთარი ავტომანქანით გაქცევა სცადა და პოლიციელის მანქანას შეეჯახა, თუმცა ის მაინც დააკავეს და პირადი ჩხრეკისას ჯიბეში სამი "ბაში" ჰეროინი აღმოუჩინეს. ნარკორეალიზატორი ამჟამად რუსთავში, სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და მას, სავარაუდოდ, 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ***24 საათი***

რუსთავში ქურდობა გახშირდა, ვატრული კი არსად ჩანს

ამ ბოლო დროს რუსთავში ბინის ქურდობის ფაქტებმა იმატა. ასევე გახშირდა ქუჩაში ყაჩაღური თავდასხმებიც - ორ-სამ კაციანი ჯგუფები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან, ისინი მსხვერპლს არა მარტო ძარცვავენ, არამედ სცემენ კიდეც. დაზარალებულ რუსთაველთა რიცხვში ორი ადგილობრივი ჟურნალისტი გოგონაცაა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია საკუთარი ძალებით ცდილობს ღამით ქალაქის პატრულირებას და ამისათვის სამი მანქანაცაა გამოყოფილი, შედეგები არაფრისმომცემია, მათ ვერც ერთი ქუჩის მძარცველის დაკავება დღემდე ვერ შეძლეს. გავრცელებული ინფორმაციით, გასულ შაბათს სხვა რეგიონებთან და ქალაქებთან ერთად საპატრულო პოლიციას რუსთავშიც უნდა დაეწყო ფუნქციონირება, რაც არ მომხდარა. რუსთავში ვერავინ პასუხობს კითხვაზე, რატომ? თბილისში კი რუსთავისთვის არ სცხელათ. **24 საათი**

ორი სიტყვით

ქუთაისი. გუშინ ქუთაისის პოლიციამ გეგუთის კოლონიიდან გაქცეული ზაზა გიორგაძე დააკავა. ის სასჯელს ყაჩაღობისა და ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდიდა. დაკავებული წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ქუთაისის პოლიციის უფროსის განცხადებით, ზაზა გიორგაძის ადგილსამყოფელს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მიაკვლიეს. ზაზა გიორგაძეს 2001 წელს 3 წლით და 6 თვით აღუკვეთეს თავისუფლება. მას გათავისუფლებამდე რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 27 დეკემბერს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას სასამართლო პროცესი გაგრძელდება. პროცესზე ექსპერტი ხარაბაძე დაიკითხება. დავით მირცხულავას ადვოკატის ეკა ბესელიას თქმით, ის სწორედ ექსპერტ ხარაბაძის მიერ ჩატარებული საბუღალტრო ექსპერტიზის ამოღებას ითხოვდა საქმიდან. დაიკითხებიან აგრეთვე ის ექიმები, რომლებიც, ადვოკატის თქმით, ვითომდა ესწრებოდნენ მირცხულავას ბრალის წარდგენას. "ეს ყალბი ოქმებია და ბრალდების წარდგენა არ მომხდარა. ყოველივე ამის შემდეგ კი ამ საკითხზე გამომძიებელი და პროკურორი დაიკითხება," - აცხადებს ეკა ბესელია. **მედია-ნიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი.....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

დემურ დვალიშვილი: "ვიცოდი, რომ მოგკითხავდნენ, მაგრამ მაინც მივდიოდი ამაზე"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ჩემი იქ ყოფნის დროს კუპონის კურსი შედარებით სტაბილური იყო... მე არ მინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, არა? ჩემი და კუპონის კრიტიკა ზერელე ხასიათს ატარებს. არასწორი საკრედიტო პოლიტიკა წარმოებდაო, ამბობენ... რატომ არავის გაუანალიზებია, თუ რაში გამოიხატება ეს არასწორი პოლიტიკა?! რა ჩემი ბრალი იყო, თუ რომელიღაც ფირმამ მიზნობრივად არ გამოიყენა გატანილი კრედიტი?.. სხვათა შორის, მე ეროვნული ბანკიდან 11 ოქტომბერს წამოვედი და ორ კვირაში 2-3-ჯერ დაეცა კუპონის კურსი...

- აქვს თუ არა ზღვარი ამ ინფლაციას?

- ასეთი რამ პრაქტიკაში არ არის.

- როგორც უბრალოდ, სპეციალისტმა, იქნებ გვითხრათ პროგნოზი, თუნდაც სუბიექტური, რა ბედი ელის კუპონს ან რა არის ასეთი ვარდნის მიზეზი?

- როცა კუპონის დაცემის მიზეზს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოებაში ეძებენ, არ არის სწორი. მიზეზი ეკონომიკაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა განაპირობებს კუპონის ასეთ დღეში ჩავარდნას. თუ ჩვენ არ ავაღორძინეთ წარმოება, თუ არ გავაფართოვეთ საქონელწარმოება, კუპონის კურსის დაცემა გაგრძელდება.

- მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკის გამოცოცხლება სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოებით იწყება...

- იცით, მთლად ვერ დაგეთანხმებით. რა თქმა უნდა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაც განაპირობებს წარმოების სიცოცხლისუნარიანობას, მაგრამ ეს არ არის მთავარი. როცა ამ საკითხს ვიხილავთ, კლასიკური ნიმუშები არ გამოგვადგება. საქართველო განსაკუთრებულ პირობებშია. ჩვენ რომ გვქონდეს წარმოების განვითარების ისეთი უმთავრესი კომპონენტები, როგორიცაა, თუნდაც, ენერგომატარებლები, მაშინ შეიძლება უკვე სულ სხვაგვარად მივუდგეთ საკითხს. ქვეყანას არ გააჩნია ნავთობპროდუქტები, არ ჰყოფნის ელექტროენერგია (სხვათა შორის, ამას ჯერ კიდევ 1990 წელს ვამბობდი. ელექტროენერგია მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა. იმიტომ, რომ სხვა რესპუბლიკებიდან იყო შემოტანილი მაზუთი და მუშაობდა თბოელექტროსადგური. ის მაზუთი რომ შემოტანილი იყო, ამას არავინ ითვალისწინებდა). მე მაინც მიმაჩნია, რომ ჯერ წარმოება უნდა გამოცოცხლდეს...

ისევ ე.წ. არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას დავუბრუნდები. არის ერთადერთი, უმთავრესი მაჩვენებელი, რითაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხასიათდება. ეს არის ინფლაციის ზრდის ტემპი – თუ ინფლაციის ტემპი იზრდება, მაშინ საქმე გვაქვს არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან. თუ ტემპი მცირდება, მაშინ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სწორია... (სხვათა შორის, არავინ მისდგომია საკითხს ამ კუთხით). მე ასეთ ციფრებს დავასახელებ: ჩემი მუშაობის პერიოდში (იანვარ-სექტემბერი) ინფლაციის ტემპმა თვეში საშუალოდ 33 პროცენტი შეადგინა. ხოლო წინა წლის ცხრა თვეში ინფლაციის ტემპი 37 პროცენტი იყო...

- მაგრამ 1992 წელს მიმოქცევაში გვქონდა რუსული ფული და ნაღდი მასის უქონლობა მექანიკურად ანელებდა ფასების ზრდას...

- ნიშანდობლივია თქვენი შენიშვნა. აი, გაივლის ამ აჟიოტაჟის პერიოდი, დადგება დინჯი განსჯის დრო და მერე ვნახოთ. რაღაც უნდა გაიაზრო კაცმა, რაღაც გააანალიზო და მერე გააკეთო დასკვნა... როგორც გითხარით, 1992 წელს ინფლაცია 37 პროცენტი იყო. ამ დროს საქართველოში ტარდებოდა მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მე მოვედი და გამოვაცხადე ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ინფლაციის ტემპმა საგრძნობლად იკლო – 1993 წლის 9 თვის მანძილზე ფასები საშუალოდ 33 პროცენტით იზრდებოდა... რითი მიდასტურებენ ჩემი ოპონენტები, ბატონ თენგიზ სიგუას მეთაურობით, რომ დანაშაულებრივი იყო ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა?..

ახლა, რაც შეეხება იმას, რომ 1992 წელს ჩვენ ვიყავით სამანეთო ზონაში და შემდეგ გამოვედით იქიდან... მართალია, ამ დროს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად ახდენდა გავლენას ფასების ზრდაზე. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩვენ შემოგვაქვს ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, მარცვალი, შაქარი, კარაქი, ხორცი. ამიტომ ჩვენთან ფასები დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ფასებში ვიღებდით ამ პროდუქციას. აქ ბევრ მომენტს უნდა გათვალისწინება. თქვენ, ჟურნალისტები, რატომ არ მეკითხებით, თუ რატომ იყო დვალიშვილის დროს შედარებით სტაბილური მდგომარეობა?

- როგორც მოქალაქე, ასეთ კითხვას დაგისვამთ: რატომ არ მოხერხდა ჩვენი ფულის ერთეულის შემოღების შემდეგ ნაღდი ფულისა და ანგარიშზე არსებული ფულის გათანაბრება? ყველასათვის ცნობილია, რომ ფულის გაცოცხლებაში დიდი თანხა იშოვა მავანმა და მავანმა. გარდა ამისა, უნაღდო ანგარიშსწორებისას გარკვეული ფასი დაედებოდა.

- რა თქმა უნდა, მაგრამ ახლაც ვერ აკეთებენ ამას. მაგას მომზადება და სათანადო პირობების შექმნა უნდა. ეს არის მახინჯი მოვლენა, რაც სოციალისტური ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი... თუ გახსოვთ, მარტის თვეში ჩვენ ავკრძალეთ ბირჟაზე ნაღდი და უნაღდო სავალუტო ოპერაციები. მაშინ ამას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავდა. ეს პრინციპი ახლა კიდევ შეიცვალა...

ისევ კრედიტებს დავუბრუნდეთ: ჩემი წამოსვლისათვის გაცემული კრედიტების ნაშთმა 200 მილიარდი კუპონი შეადგინა. ეს რას ნიშნავს? გაცემული კრედიტების რაღაც ნაწილი დაბრუნდა, ნაშთი კი ჯერაც არ დაბრუნებულა. ახლა 200 მილიარდი კუპონი გადავთვალოთ კურსით. მივიღებთ 5, ჰა, ჰა, 10 მილიონ დოლარს. ამას მიყენებენ ბრალდებად – დაანგრია და მოშალა საქართველოს ეკონომიკაო. არავითარი საფუძველი ამ განცხადებას არ გააჩნია. პირიქით, ჩემს დროს გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხარჯზე გადავიტანეთ წინა ზამთარი. ვეხვეწებოდი თენგიზ სიგუას: დაამტკიცე, რასაც მელაპარაკები-მეთქი. ვთქვათ, რაღაცა მართლაც არასწორად მიგაჩნია. რატომ ხარ ასე გაბრაზებული, ასე დაბოღმილი? თითქოს პირადად რაღაც მეწყენინებინოს თქვენთვის-მეთქი. ხუთმა, გინდაც ათმა მილიონმა დოლარმა დაანგრია საქართველო? არა, აქ რაღაც სხვა მიზნებია. თქვა კიდეც: დვალიშვილმა და სხვა ვიღაცებმა განგებ გააკეთეს ეს, რომ დაეჩოქებინათ საქართველო და СНГ-ში შეეყვანათო. ვითომ მე СНГ-ში შესვლა მდომოდა. როგორ შეიძლება ასეთი განცხადების გაკეთება?

ფოტო გაზეთ "ქავკასიონიდან".

ხუთ, ჰა, ჰა, ათ მილიონ დოლარს მიყენებენ ბრალად... ამან დაღუპა საქართველო?

- თქვენ თვლით, რომ რაც ახლა ხდება, დროის ბრალია და არა ადამიანების?

- აბსოლუტურად გეთანხმებით. მე შემიძლია ერთი ვთქვა: რაც კი შეიძლებოდა გაკეთებულიყო საქართველოში ეკონომიკის გამოცოცხლების და ადამიანების მდგომარეობის შემსუბუქებისათვის, მე პირადად, ყველაფერს ვაკეთებდი იმის ფასად, რომ ეს ლანძღვა დამემსახურებინა. მე ვიცოდი, რომ საბოლოო ჯამში მოგკითხავდნენ ყველაფერს და მიუხედავად ამისა, მივდიოდი იმაზე, რათა როგორმე რაიმე შემოეტანათ რესპუბლიკაში.

- როგორ ფიქრობთ, თქვენ წინააღმდეგ წამოწყებული ეს კამპანია პოლიტიკური ხასიათისაა თუ – ეკონომიკური?

- შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამას აქვს მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა და ჩემი გამოყვანა სურთ განტევების ვაცად... მაგრამ არ გამოვა ეს. იმიტომ კი არა, რომ მე ძალიან მაგარი ვარ და, დავუშვათ, ვერ მომერევიან, იმიტომ, რომ საფუძველი არ გააჩნიათ. როგორც გითხარით, კრედიტების ნაშთი სულ 200 მილიარდი კუპონი ანუ, 5 მილიონი დოლარია. ახლა ბრალს მდებენ, მეტი გაქვს გაცემულიო. რა თქმა უნდა, მეტი მაქვს გაცემული, მაგრამ ნაშთი ხომ ორასი მილიარდია?!

ვფიქრობ ხოლმე – რატომ ვართ ასეთები? ქვეყანაში ომია, ბლოკადაა, ვერ ვშლით წარმოებას, 250.000 ლტოლვილია საქართველოში. ისინი ხომ მოსავლელი არიან, ხომ არაფერს არ ქმნიან?..

მეუბნებიან, მაღალი პროცენტი რატომ არ დააწესეო (40 პროცენტი საკანონმდებლო ორგანოს მიერ იყო დაწესებული). რატომ არ გაზარდეო, ბრალს მდებენ. ასე რომ მექნა, იმ წუთში ეს ფასში გადაინაცვლებდა და თუ საქართველოს ეკონომიკას გავითვალისწინებთ, უარესი მოხდებოდა... დღეს 300 პროცენტი დააწესეს წლიური გადასახადი. ნახავთ, როგორ გაიზრდება ფასები.

- თქვენ საკანონმდებლო ორგანო ახსენეთ. შევეხოთ თემას: ბანკი და პარლამენტი.

- მე ძალიან მინდა, რომ შედგეს პარლამენტის სხდომა ამ საკითხებზე. მაგრამ ოფიციალურად არ მითხოვია პარლამენტისთვის, რომ განეხილათ ეს საკითხი. მე რა მაქვს დასამალი? პირიქით, მინდა ტელედებატებში გამოვიწვიო ჩემი ოპონენტები...

- პარლამენტარების მიერ "ხელის მოთბობაზე" რას იტყვით?

- ჩვენში ეს გადაჭარბებულად, დამახინჯებულად ხდება. ვთქვათ, რადგანაც პარლამენტარია, ვიღაცას რეკომენდაცია გაუწია და ასე შემდეგ... მსოფლიო საბანკო საქმიანობაში გავრცელებულია რეკომენდატორების პრაქტიკა. მე სხვა დროსაც მკითხეს. ვინ დადოიდა თქვენთანო. მე არც ჩამიწერია, არც დამიმახსოვრებია. ჩასაფრებული კი არ ვიყავი?!

- შევარდნაძის რეკომენდატორობაზე რას იტყვით?

- აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია ეს გამოთქმა და ეს ტერმინი. რას ნიშნავს შევარდნაძის რეკომენდატორობა? შევარდნაძესთან რომელიმე ფირმამ თუ ორგანიზაციამ დააყენა საკითხი, რომ რესპუბლიკას რაღაც სჭირდება. სახელმწიფოს მეთაური გადმოაგზავნის წერილს ეროვნულ ბანკში. რა შუაშია აქ რეკომენდატორობა. ეს ყველაფერი განზრახ ხდება იმისთვის, რომ ვიღაცას ჩირქი მოსცხონ. მაღე ყველაფერი გაირკვევა...

- ალბათ, მწვანეებიც ისარგებლებდნენ რაიმეთი?

- მე ამის თქმა არ შემიძლია.

- ე.წ. გაცოცხლების მექანიზმზე რას იტყვით? ვთქვათ, მავანი აცოცხლებს გადარიცხულ ფულს – აქცევს მას დოლარად და ხვდება პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ამაზე რას იტყვით? არის ხალხი, ვინც ამბობს, რომ სიები აქვთ პარლამენტარებისა, ვინც ამით სარგებლობდაო...

- ამასთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა ვთქვა: დვალიშვილი რომ კრედიტებს გასცემდა, ეს აზრი ძირშივე მცდარია (მადლობელი ვიქნები, ამას თუ ხაზს გაუსვამთ). კრედიტებს დვალიშვილი არ გასცემდა. ეროვნული ბანკი გამოყოფდა საკრედიტო რესურსებს. კრედიტებს გასცემდნენ ბანკები. ე.ი. პასუხისმგებელი კრედიტის მიზნობრიობაზე, გაფორმებაზე, ყველაფერზე – არის ბანკები, კერძოც და სახელმწიფოც. ჩემი მუშაობის პერიოდში ნაღდი ფული გაიცემოდა მხოლოდ ხელფასებზე, პენსიებზე, დახმარებებზე და გარკვეული ნაწილი მას შემდეგ, რაც საწვავში და სათბობში ნაღდი ფული მოითხოვეს.

- კრედიტებზე ნაღდი ფული არ გაიცემოდა?

- არავითარ შემთხვევაში.

- მოარული საზომებიც ხომ იყო: ვთქვათ, ამდენ პროცენტში შეიძლება ფულის გაცოცხლება და სხვა?

- არავითარი კავშირი ამასთან ეროვნულ ბანკს არ აქვს. რა კავშირიც გაქვთ ფულის გაცოცხლებასთან თქვენ, ის კავშირი მაქვს მეც.

რასაც თვითონ აკეთებდნენ, მე შემომიბრუნეს და მაბრალებენ, ეკონომიკა გაანადგურაო...

- ბანკის გარშემო ვითარება იმთავითვე გამწვავებული იყო, თუ მერე რაღაცის გამო გამწვავდა?

- თქვენ, ალბათ, არ გეწყინებათ, მაგრამ აქ ყველაფერს ვერ ვიტყვი. ერთი კია: მინისტრთა კაბინეტის ყოფილი ხელმძღვანელების დაპირისპირება ბანკის მიმართ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. უკვე მარტში იყო მცდელობა, რომ წავსულიყავი ეროვნული ბანკიდან. მე რომ დავინახე, იქ რა ხდებოდა – დავთანხმდი წასვლაზე. ერთი მხრივ გული კი მტკიოდა, რადგან ვიცოდი (შინაურულად ვამბობ), 270 მილიარდი კი არა, ტრილიონები გაიცემოდა... მაგრამ არ მინდა, ყველაფერთან ერთად ისიც დამწამონ, წავიდა და ახლა გახდა ნიჭიერიო... თუ შეიძლება ასე ითქვას, კბილებით მეკავა ყველაფერი.

ერთი თორმეტთან ეს კუპონის რეალური შეფარდება იყო რუსულ მანეთთან. ეს დასაწყისშივე უნდა დაგვეწესებინა, მაგრამ არც მაშინ დამიჯერეს, რადგან ეს ხელფასების მომატებას მოითხოვდა. მე ამაზე თანახმა ვიყავი და, პოპულისტი ხარო, მითხრეს. რატომ ვარ პოპულისტი? მე მარტო ხომ არ ვლაპარაკობდი, ვაკეთებდი კიდეც... ფაქტობრივად სექტემბრამდე კუპონის კურსი უმნიშვნელოდ დაეცა.

- არსებობს აზრი, რომ რაღაც მოსაზრებებით უარს ამბობდით უცხოურ კრედიტებზე...

- რაოდენ ზნედაცემული უსამართლობაა ამის თქმა. მთელი ჩემი მუშაობის პერიოდი მოვანდომე იმას, რომ როგორმე უცხოური კრედიტები მიგვეღო.

- კონკრეტულად გეტყვით, პეტერბურგელმა ბიზნესმენმა კონსტანტინე ფიფიამ დასვა საკითხი, რომ გაახერხებდა უცხოურ კრედიტს და შემოიტანდა პროდუქტს, რაზეც ეროვნული ბანკიდან წინააღმდეგობას წააწყდა.

- მაშინ მე სახელმწიფო საბჭოში კომისიის თავმჯდომარე და ბატონი ედუარდის მრჩეველი ვიყავი. მოვიდა ფიფია და გვითხრა, რომ საქონელს შემოვიტანთ. სესხს თვითონ იღებდა. ერთხელ მოგვატყუა, მეორედ მოგვატყუა, მერე დაიკარგა. ეს არის სულ. სხვა რა ვიცი. თუ რეზო შავიშვილსა და მაგის გუნდს შევეკითხებით, მათ, ცხადია, სხვა აზრი ექნებათ, მაგრამ გუნდმა საკუთარ ცოდვებს მოუაროს. ისეც არ ვარგა, რომ გავბრაზდე და ყველაფერი ვთქვა. უსინდისო ადამიანია, ვინც ეგ დამაბრალა... მარტო ვიყავი რამდენიმე ადამიანთან ერთად. სამი მოადგილე ჩემი წინააღმდეგი იყო, სამმართველო – ისიც ჩემი წინააღმდეგი. იმიტომ, რომ დვალიშვილის მოსვლით მაგათ ფული დაკარგეს, შემოსავალი დაკარგეს...

- ისიც გბრალდებათ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდით.

- საერთოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მონეტარული პოლიტიკის მომხრეა. უბრალო ენით რომ ავხსნათ: ვთქვათ, საავადმყოფოს ბიუჯეტი არ აძლევს ფულს, რომ გასცენ ხელფასი. სსფ ამბობს – დახურეთ ეს საავადმყოფო... ისინი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებიდან გამოდიან ან მათი პრინციპებით, თუ საქონლის მასა არ იზრდება ქვეყანაში, ფულის მასაც არ უნდა გაიზარდოს... ხომ დაიღუპა ასე ჩვენთან ყველაფერი? აქვე უნდა ვთქვა შოკურ თერაპიაზეც. მე არასდროს არ ვყოფილვარ ამის მომხრე (და ეს არაერთხელ, არაერთგან მითქვამს). მე ვარ სოციალური მოდელის მომხრე. ომისშემდგომი გერმანია სწორედ ამ გზას დაადგა. სსფ შოკური თერაპიის მომხრეა. ამის წინააღმდეგი რომ ვიყავი, ამაზე მაგებინებენ პასუხს? მე, როგორც რომან გოცირიძეს, არ მინდა საქართველო ოცი წლის მერე გამართული საბაზრო ურთიერთობებით და განახევრებული მოსახლეობით.

ახლა, რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რეკომენდაციებს არ ვეწინააღმდეგებოდი. ესეც ტყუილია და რატომ? რა თქმა უნდა, ჩემით უკმაყოფილო იყო სავალუტო ფონდი, ამდენ საკრედიტო რესურსებს რომ გამოვყოფდი. ყველამ არ გამოიყენა მიზნობრივად კრედიტიო. არ გამოიყენა, მაგრამ არც ვეცადო? ასე როგორ შეიძლება? მინდა გთხოვოთ, მოიყვანოთ ეს აბზაცი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან: "В пределах общего объема рефинансирования, кредиты рефинансирования должны в первую очередь распределятся приоритетным отраслям. Обычно мы рекомендуем распределять кредиты исключительно на рыночной основе, и считаем, что в этом и должна состоять более долгосрочная задача. Однако следует признать, что учитывая сложное нынешнее положение Грузии, власти должны отдать приоритет финансированию импорта стратегических товаров таких, как нефть, газ и зерно. Мы рекомендуем, чтобы кредиты рефинансирования НБГ выдавались на эти цели по процентной ставке, не превышающей ставку кредита рефинансирования, которая будет введена. Необходимо с самого начала определить группи стратегических товаров и объемы рефинансирования, которые будут выделены под их закупку. После разработки программы, финансирования стратегических секретов, не следует вносить никаких попровок в список стратегических товаров или предприятий по крайной мере в течение следующих 6 месяцев или года".

ხომ ხედავთ, სავალუტო ფონდიც კი ამბობს, რომ სტრატეგიული ნედლეულისთვის უნდა გამოიყოს კრედიტებიო. ახლა მითხრან, რომელი საკრედიტო რესურსია ჩემგან გაშვებული, რომელიც ამ მიზანს არ ემსახურებოდა? დავუშვათ, ერთი კრედიტია გაცემული, ვთქვათ, მეტროპოლიტენისათვის. ბატონმა გაბუნიამ აგვისტოში დააყენა საკითხი, რომ თუ 500 მილიონი რუსული მანეთი არ გამოიყო, სექტემბერში მეტრო გაჩერდებაო. ჩვენ ასეთი სახსრები არ გვქონდა. მერე მოძებნეს "არაგვი ბიზნეს-ბანკის" პრეზიდენტი, რომელმაც თქვა, რომ 500 მილიონ მანეთს ჩაგირიცხავთ, ოღონდ თქვენ აქ მოგეცით 10 მილიარდი მანეთი, რათა ის დანაკლისი ავინაზღაუროო. სხვათა შორის, შევარდნაძესთან დააყენეს ეს საკითხი. უარი ეთქვა? რა თქმა უნდა, არა. ჩავურიცხეთ ჩვენ ეს 10 მილიარდი და შემოვიდა მეტროს სათადარიგო ნაწილები. რომ მედავება, ახლა მინდა ვუთხრა ნოდარ ნათაძეს: სექტემბერში მთხოვდა 300 მილიარდი კუპონი გამოყავით (მისი წერილი ეროვნულ ბანკში ინახება). უნდოდათ კონვერტაცია გაეკეთებინათ და იარაღი ეყიდათ. მერე რა მოხდა? თუ ვინმე რამის შემოტანას ცდილობს ქვეყანაში, უნდა დაეხმარო. სხვა საქმეა, თუ ამ კრედიტს ანგარებით იყენებს. მეორე შემთხვევას გეტყვით: მურთაზ ზანკალიანმა (ვაჭრობის მინისტრი), ბიზნესმენმა დათო კეკენაძემ დააყენეს საკითხი 3000 ტონა კარაქის შემოტანაზე. ამას სჭირდებოდა 5 მილიარდი კრედიტი. რა თქმა უნდა, მივეცი და აპრილში, მაისში, ივნისში სიებით სწორედ ეს კარაქი რიგდებოდა. ჩემს თანამშრომლებს დავათვლევინე, რამდენისაა შემოტანილი პროდუქტი. გამოვიდა, რომ 140 მილიარდი კუპონის კრედიტზე შემოტანილია პროდუქტი. არაერთხელ დავაყენე საკითხი ბასილიასთან, რომ შეესწავლა ეს საკითხი. არც ერთხელ ეს არ გაკეთდა. სამაგიეროდ, დადიოდნენ ფირმებში, რაღაცებს უსინდისოდ აჯამებდნენ და ჩემ წინააღმდეგ იყენებდნენ. მე არჩევნების დროს უნდა მივმხვდარიყავი, რომ ჩემი იქ ყოფნა ბევრს არ აწყობდა. არც ერთ მინისტრზე მეორე კანდიდატურა არ ყოფილა. ბანკის პრეზიდენტობაზე კი 17 კანდიდატი იყო წარდგენილი. დავინიშნე მე, მაგრამ ის დანარჩენი 16 ინტერესი ხომ ძალაში დარჩა? ამის ბრალია ყველაფერი. განა ზანკალიანის ინტერესებში არ იყო, რომ კერძო სტრუქტურებს რაიმე შემოეტანათ? ზანკალიანმა კი წერილი გააკეთა, არასწორი საფინანსო პოლიტიკა იყოო. ბანკი რომ კრედიტს გასცემს, იქ რისკი არის, აბა რა? დამისახელონ მსოფლიოში რომელიმე ბანკი, სადაც გაცემული კრედიტები 100 პროცენტით მუშაობს. ასეთი არ არსებობს. თუ მე ვიცოდი, რომ გაცემული კრედიტების 50 პროცენტი მაინც შემოვიდოდა, მაინც გავცემდი, ახლაც ასე მოვიქცეოდი.

არ მინდა ისიც დამწამონ, წავიდა და ახლა გახდა ნიჭიერიო...

- ვთქვათ, ფირმამ მიიღო კრედიტი და აღარ აბრუნებს. ეს ბანკის საქმეა თუ სამართალდამცავი ორგანოებისა?

- ეს იმ ბანკის საქმეა, ვინც კრედიტი გასცა. ეროვნულმა ბანკმა გამოყო საკრედიტო რესურსი. დანარჩენს ბანკი აკონტროლებს. თუ ფული არ დააბრუნეს, არსებობს ამის სასამართლო წესი.

- მაგრამ, ხომ დაიკარგა უამრავი ფული?

- საბოლოო ჯამში ეს ფული ვერსად დაიკარგება, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიაკვლიონ ამ ფულს, მაგრამ ყველაფერი მოუწესრიგებელია და მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მოითხოვენ იდეალურ მდგომარეობას... სინამდვილეში ყველაფერ ამით დაინტერესებულია ადამიანთა ერთი ჯგუფი თენგიზ სიგუას მეთაურობით. ხომ გამოჩნდა ახლა, ბოლოს?

- სხვათა შორის, ბასილიამ არასწორ საკრედიტო პოლიტიკაში თქვენც და სიგუასაც ერთად დაგდოთ ბრალი.

- ბასილიამ თავის თავს მიხედოს და ცოტა ილაპარაკოს, თორემ ბევრის თქმა შემიძლია. აი, მაგის რეკომენდაციებით გაცემული კრედიტები დააბრუნოს ჯერ და მერე ილაპარაკოს.

სხვათა შორის, თენგიზ სიგუა რომ ამბობს, დანაშაულებრივი იყო ფულად-საკრედიტო პოლიტიკაო – აქ მაქვს დოკუმენტი, სადაც ნათქვამია: "მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკა". ეს არის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომელსაც სიგუა აწერს ხელს და მიღებულია გასული წლის მაისში. ამაში ჩამოწერილია, რამდენი გაიცეს ნაღდი ფული და რამდენი კრედიტი. არსი ამ დოკუმენტისა ეს არის, რაც აქ წერია, იმაზე მეტი არ გაკეთებულა. მაშ, როგორღა უწოდებს დანაშაულებრივს იმ პოლიტიკას, რომელიც თავად მოიწონა?

ერთ საკითხში მინდა კიდევ გაგარკვიოთ. გასულ წელს შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ სამანეთო ზონაში შემავალ ყველა რესპუბლიკას შეეძლო, რამდენიც უნდოდა იმდენი კრედიტი გაეცა. უკრაინამ, მაგალითად, 700 მილიონის კრედიტი გასცა. შემდეგ დიდი განგაში ატეხეს ამაზე, მაგრამ რა, უკრაინამ ჩაიტანა ამ თანხის საქონელი და გამოიყენა. ასეთი რამე რომ არ მომხდარიყო, მინსკში შედგა შეხვედრა და მიიღეს დადგენილება, სადაც ჩაწერეს პუნქტი, რომლითაც დაადგინეს, რომ საკრედიტო რესურსები გაზრდილიყო ფასების ზრდის ინდექსი 0,5 კოეფიციენტით. ამაზე შეთანხმდა ყველა რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი. ეს მოხდა 1992 წლის თებერვალში და ყველამ ისარგებლა ამით. საქართველოში კრედიტის ეს ზრდა არ განხორციელებულა და ამით უდიდესი ზარალი ნახა საქართველომ. მაშინ შეიძლებოდა დიდი კრედიტების გაცემა და საქონლის შემოტანა, მაგრამ არაფრით ეს არ ქნეს. სანამ რუსეთში გადარიცხვა შეიზღუდებოდა, უნდა გვესარგებლა ამით, მაგრამ... მე რომ მივედი ბანკში (1992 წლის ნოემბერ-დეკემბერი), გადარიცხვები უკვე გაძნელებული იყო და ძალიან ჭირდა ამის გამოყენება. მაგალითისათვის, საწარმოო გაერთიანება "მიონი" 1992 წლის მარტ-აპრილში რუსეთიდან 3 კგ ოქროს შემოსატანად ითხოვდა კრედიტს. არ მისცეს.

ე.ი. რასაც თვითონ აკეთებდნენ, მე შემომიბრუნეს და მაბრალებენ, ეკონომიკა გაანადგურეო. თუ მე რაიმე მაქვს გაკეთებული გარდა იმ მიზნისა, რომ ქვეყანაში რაიმე შემოსულიყო, კი ბატონო, მზად ვარ ყოველგვარი პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ ასეთი ფაქტი არც ერთი არ არსებობს. ხომ გითხარით, გასული წლის აპრილიდან ამოწმებენ ეროვნულ ბანკს. ვერაფერს ნახავენ, გარდა იმისა, რომ ვიღაცამ დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა საკრედიტო რესურსი. კი ბატონო, აგონ მათ პასუხი.

- როგორ ფიქრობთ, რით დამთავრდება ოპონენტებთან თქვენი დავა?

- მე ცოტას კიდევ ვუყურებ და მერე ვიჩივლებ სასამართლოში.

- მაინც რა ეშველება კუპონს, პრაქტიკულად ვკარგავთ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მთავარ ნიშანს. ფაქტობრივად ხომ სამანეთო ზონაში ვართ, რადგან კუპონზე აღარაფერი იყიდება.

- ფულის შექმნა ადვილია – კუპონი ერთ თვეში დავბეჭდეთ. ძნელია მისი შენარჩუნება. კუპონი გააფუჭა ასეთი რაოდენობით ნაღდი ფულის ბაზარზე გამოტანამ.

- თქვენ რომ კვლავ ბანკის პრეზიდენტად დაბრუნდეთ, რას გააკეთებდით პირველ რიგში?

- პასუხი მიძნელდება, თუმცა, ერთი რამ ვიცი. როცა ეკონომიკა ასე მოუწესრიგებელია, ამდენი ნაღდი ფულის მიმოქცევაში ყოფნა დაუშვებელია. ხომ გითხარით, 270 მილიარდი გავიდა ცხრა თვეში. ათ დღეში კი ბაზარზე გამოიტანეს 200 მილიარდი. მიმაჩნია, რომ შეცდომა იყო 2 აგვისტოს მიღებული დადგენილება, სადაც ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა კუპონი. მე მესმის ამის სურვილი, მაგრამ რეალობასაც ხომ უნდა შევხედოთ? ეს არასწორი იყო. სამი დღით ვიყავი წასული საქართველოდან და მაშინ მოასწრეს ამ დადგენილების მიღება, რადგან იცოდნენ, რომ მე ამას არ გავაკეთებდი. რად უნდოდათ ისეთი რამის გაკეთება, რაც არ განხორციელდებოდა? ჩვენ რომ ელემენტარული რესურსები გვქონოდა, შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ როდესაც ასეთ პირობებში ვართ, ამას გათვალისწინება უნდა. უკან რომ დავბრუნდებოდე, ორი აგვისტოს დადგენილებასაც გავაუქმებდი. თვალს მივადევნებდი, რომ არ მომხდარიყო ამ 200 მილიარდთან დაკავშირებული მაქინაცია; გაიხსენეთ, პირდაპირ ყუთებით მიიტანეს ბირჟაზე ამხელა თანხა.

- და მაინც, კუპონს უწერია რეალური ცხოვრება თუ ისევ რუსეთს მივეტმასნებით?

- რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დავამყაროთ, კუპონი კი ჯერჯერობით დაგვრჩება, მაგრამ უნდა შეიცვალოს ფასების მასშტაბი. ფაქტობრივად, უნდა დაფიქსირდეს, რაც ფასებია, გამოვუშვათ ახალი ფულის ნიშნები და შესაბამისად გაეზარდოს ხალხს ხელფასები. სამანეთო ზონაში, რომც ვეცადოთ, არ მიგვიღებენ.

- ლარს სამუდამოდ დავემშვიდობეთ?

- არა, არავითარ შემთხვევაში. ვფიქრობ, წელს გარდატეხა უნდა მოხდეს და ლარის საფუძველიც მომზადდება.

- რაში იხარჯება ევროგაერთიანების მიერ გამოყოფილი 40 მილიონი ეკიუ?

- მხოლოდ პროდუქტში.

- ახლა თუ გაქვთ ხელფასი ან სხვა შემოსავალი?

- არა, არავითარი შემოსავალი არა მაქვს. აი, იმის გამო, რომ ვცდილობდი, როგორმე რამე გაკეთებულიყო საქართველოში, დავრჩი ასე უმუშევარი, გალანძღული...

- თითქოს თქვენზე შეტევა შევარდნაძეზე შეტევაც არის, სიგუამ შევარდნაძესაც დასდო ბრალი, რომ უარს ამბობდით უცხოურ კრედიტებზე, რათა ხელოვნურად მივსულიყავით ამგვარ დუხჭირ მდგომარეობამდე და ჩიხში აღმოვჩენილიყავით...

- ხომ გინდა არა, ასეთი რამის მოგონება?! რამდენი ვიშრომეთ, რომ საზღვარგარეთიდან კრედიტი მიგვეღო. რომ წამოვედი, აი, იმ ათ დღეში უნდა გარკვეულიყო კიდევ ერთი უცხოური კრედიტის ამბავი, მაგრამ... არ მინდა ყველაფერი თავიდან დავიწყო... ერთი სიტყვით, ასეთი რთული ვითარებაა.

ესაუბრნენ
ᲛᲐᲘᲐ ᲭᲐᲚᲐᲒᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲤᲨᲐᲮᲘᲫᲔ

მოკლედ, ასეა – ბანკი ეკონომიკას აბრალებს უფულობას, ეკონომიკა ბანკს. არადა, ურთიერთბრალდებებმა აშკარად სუბიექტური, პიროვნული ხასიათი მიიღო და პროვინციულ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ჩვენი საფინანსო სისტემა და კუპონი კი კვლავ დიდი სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ და იმედიანი მომავლის საფუძველს არ ტოვებს...

"ვარნასი" ორი წლისაა

B2

"დინამო" ძველებურად დატრიალდება

B5

დონ ჯოვანი vs დონ ჯოვანი

B8

ნოდარ ლადარია

არ მივიწყებს **ნესტან კვინიკაძე** — საშობაო საჩუქარიც მომართვა და 2004 წლის ბოლო პუბლიკაციის გახალისებაც უზრუნველყო. 1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც იტალიიდან საქართველოში დავბრუნდი, სტუდენტებთან მითოლოგიური აზროვნების შესახებ საუბრისას მუდამ ამ მაგალითს ვიყენებ. ახლა კი "24 საათის" ფურცლებზე ვიხილე...

ერთი სიტყვით, 20 დეკემბრის ნომერში ნესტან კვინიკაძე წერს: "**გვარი "გამსახურდია" ქართულიდან ესპანურად რომ ითარგმნოს, მივიღებთ "სერვანტესს". ორივეს საფუძვლად უდევს ერთი და იგივე ზმნა** servio — **მსახურება, — წერდა ზვიად გამსახურდია თავის ესეებში**". დიახ, ნესტან კვინიკაძე მხოლოდ აციტირებს ზვიად გამსახურდიას. მაგრამ რა შუაშია მითოლოგიური აზროვნება? — ახლავე მოგახსენებთ.

დიდი ესპანელი მწერლის სრული სახელი მის მშობლიურ ენაზე შემდეგნაირად იწერება: Miguel de Cervantes Saavedra. როგორც ვხედავთ, servio-დან კი არა, სულ სხვა სიტყვიდან უნდა იყოს წარმოქმნილი ეს გვარი. მართლაც, გადავშალოთ ესპანური ლექსიკონი და ვნახავთ, რომ "მსახური" ესპანურად არის el sierbo, ან el servidor. თუკი უფრო მეტად დავინტერესდებით "დონ კიხოტის" ავტორის საგვარეულო ეტიმოლოგიით, აღმოვაჩენთ, რომ ესპანური სიტყვები — el ciervo, el cარvido, el cervato — ნიშნავს "ირემს". არის კიდევ ერთი სიტყვა, la cervatica, რომელიც კალიის ერთგვარ სახეობას ნიშნავს და, შესაძლოა, გაცილებით უფრო ახლოს იყოს მწერლის გვართან, ვიდრე "მსახური". ყოველივე ამის გასაგებად არაა საჭირო ესპანური ენის ცოდნა: საკმარისია "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", სადაც ყველა პიროვნების სახელი ორიგინალური დაწერილობითაა მოცემული, და ერთი ესპანური ლექსიკონი. თუმცა კიდევ ცოტა რამაა საჭირო: კრიტიკული აზროვნების უნარი — ძალიან დიდი არა, თითქმის ელემენტარულიც ეყოფა — და "ღირსების გრძნობა".

ეს უკანასკნელი ერთობ მნიშვნელოვანია: სწორედ ღირსების გრძნობა ახსენებს ადამიანს, რომ რაღაც დასკვნებამდე თვითონ უნდა მივიდეს და არ დაემსგავსოს კუპატს, რომელსაც რაღაც მანქანებით აღიარებული ავტორიტეტები ტენიან, რითაც მოესურვებათ.

ზვიად გამსახურდიას ნარცისულ ესეისტიკას კიდევ რა უშავს, მისი ესეები (უკაცრავად, ესსეები) კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა, უბედურება ისაა, რომ ახლა თურმე **კოკა ყანდიაშვილი** და **ეკა ბერიძე** უნდა გახდნენ ავტორიტეტები, რომლებიც საზოგადოებრივი ტელეეთერიდან დამოძღვრავენ ქართველ ხალხს და სწორუპოვარ წვლილს შეიტანენ "ეროვნული თვითშეგნების" შემუშავებაში. ამ თვალსაზრისით თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორის, ეპისკოპოს თეოდორეს მიერ სტუდენტებისადმი ნათქვამი სიტყვები გამახსენდა: "რამდენიც გინდათ გამოეცით ეგ თქვენი ჟურნალი "ზღვარი", ოღონდ რადიოში და ტელევიზიაში გამოსულები არ გნახოთ". ფრიად საგულისხმოა: მკითხველებად ვერ ჩამოგვაყალიბა საბჭოთა და რეფორმამდელმა საშუალო სკოლამ, სამაგიეროდ, მზად ვართ "ვისმინოთ და დავმორჩილდეთ". უდრეკია ელექტრონული მედიის ავტორიტეტი: ყოველ ორშაბათს ვავსებ "24 საათის" ზეწრისოდენა გვერდს, ჩემმა ფოტოსურათმაც, მგონია, თვალები დასთხარა საშუალო ქართველს — და მაინც, უცნობი ხალხი ამას მეუბნება, ხშირად გხედავთ ტელევიზორშიო.

ასეთია ჩვენი რეალობა: 50 თეთრის დახარჯვა და ნაწერი ტექსტის განმარტოებული, მშვიდი ანალიზი დღევანდელ საქართველოში ლამის გადაულახავი დაბრკოლებაა, მაშინ როდესაც თელასისა და ერთი მუჭა ოლიგარქების მიერ ანთებული ფერადი ყუთის გავლენის ქვეშ მოქცევა არავითარ დაძაბვას არ მოითხოვს, არც გონებრივს და არც ფიზიკურს.

ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, ასე რომ გაბრაზდა **ეკა კვესიტაძე** 21 დეკემბრის ნომერში: "**დღეს განახლებული არხის ეთერით ისინი გვესაუბრებიან, რომლებიც სამი წლის წინ სტუდიაში აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს და უსტვენდნენ და ფეხებს უბაკუნებდნენ მათ, ვინც შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა და სიახლეს ითხოვდა**".

დიახაც, გვახსოვს ეკა ბერიძის გავეშებული სახე და ცივი ხმით კივილი იმ ავადსახსენებელ დღეს, როცა "ალიბისათვის" მესხეთში თუ ჯავახეთში წასული შევარდნაძის "ჩეკისტები" შევარდნენ "რუსთავი 2"-ის სტუდიაში.

გვახსოვს გლუკოზის ჭარბსნარივით დამტკბარი კოკა ყანდიაშვილის ღიმილი, ყოველ საღამოს რომ გვახსენებდა, აქაოდა, სანიმუშო ქართველი ვარ, ოჯახის მოყვარული და ერის გამრავლებაზე მზრუნველი: "მე ორი ქალიშვილი მყავს".

რატომ უნდა გვსურდეს ამ ვულგარული უნიჭობის ხელახლა დამკვიდრება?

ისევ ეკა კვესიტაძის ტექსტს მივუბრუნდეთ: "**პრობლემის არსი არ არის ის, რომ ეს ადამიანები, რომელთა ხელში რამდენიმე მილიონიანი დაფინანსება მოხვდება, იტყვიან თუ არა უარს ათასგვარ კანონდარღვევაზე, რაც მათ ფულის მოხვეჭის საშუალებას მისცემს? ეტყვიან თუ არა უარს ახალი პრეზიდენტის ოჯახის წევრებს მათ მოთხოვნებზე?**". რიტორიკულ შეკითხვებზე პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითია: არ იტყვიან უარს, რადგან მათ რევოლუციური ვარდების ეკლები არ უგრძვნიათ. მე არა ვარ ძალადობის მომხრე, მაგრამ სამართალი ხერხემლიანი უნდა იყოს.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

მიანები თავის დროზე შევარდნაძის ერთგულები იყვნენ, მთავარი ისაა, რომ ისინი ყოველთვის იქ დგანან, სადაც ხელისუფლება და კეთილდღეობაა, რადგან მათი შინაგანი მოთხოვნილებაა, ემსახურონ ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს, იქნება ეს შევარდნაძე, სააკაშვილი თუ ვინმე სხვა".

სხვათა შორის, ცუდი არაფერია იმაში, საკუთარ ხელისუფლებას ემსახურო, ან თუნდაც პირადად პრეზიდენტს, როცა ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს. უბედურება, რომელსაც ჩვენი ავტორი პროფესიული ინტუიციისა და მოქალაქეობრივი სინდისის წყალობით გრძნობს, რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს. ერთი ნაწილი, ასე ვთქვათ, სიმბოლურია: ბერიძისა და ყანდიაშვილის ხელახალი გამეფება საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს მომხდარი გარდატეხა პრინციპული და ძირფესვიანი არ ყოფილა. აქ ლაპარაკი არაა იმაზე, რომ ძველი ხელისუფლების მომხრეთა რაიმე დევნა უნდა მიმდინარეობდეს — უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ის, რასაც ეკრანიდან ადამიანი გვეუბნება, თანხმობაშია მის პირად ღირებულებებსა და ღირსებასთან. როცა ამ ზღურბლის გადალახვა ადვილად ხდება, გამოდის, რომ ან ზღურბლია დაბალი, ან ადამიანი — უღირსი.

მეორე: გაუგებარია, რომელი პროფესიული კრიტერიუმით ხდება ამ ორი პიროვნების არჩევა იმ პირობებში, როცა ბავშვობიდან გვესმის: "ყველა ხელსური, ვიცი, დანტეა". დანტე კი არა, ნუთუ ერთი **ლარი კინგი** და ერთი **სვეტლანა სოროკინა** ვერ მოიძებნა ჩვენს განათლებულ მთა-ბარში?! თავის დროზე მთელი თბილისი მოიარა ჭორმა: როცა პირველი არხის ეთერში ყველასათვის ცნობილი ტოკ-შოუ უნდა გასულიყო, საქართველოში ჩამოსულმა სოროკინამ თურმე ეკა ბერიძეს ახედ-დახედა და დაასკვნა: эта девочка не потянет. ჭორი გამართლდა — девочка не потянула. ნუთუ გაგვიადვილდა ცხოვრება და ტელეწამყვანის ჭაპანი შემსუბუქდა?

მესამე: აქ კი კითხვას ისევ ეკა კვესიტაძე სვამს: "**ეს ადამიანები, რომელთა ხელში რამდენიმე მილიონიანი დაფინანსება მოხვდება, იტყვიან თუ არა უარს ათასგვარ კანონდარღვევაზე, რაც მათ ფულის მოხვეჭის საშუალებას მისცემს? ეტყვიან თუ არა უარს ახალი პრეზიდენტის ოჯახის წევრებს მათ მოთხოვნებზე?**". რიტორიკულ შეკითხვებზე პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითია: არ იტყვიან უარს, რადგან მათ რევოლუციური ვარდების ეკლები არ უგრძვნიათ. მე არა ვარ ძალადობის მომხრე, მაგრამ სამართალი ხერხემლიანი უნდა იყოს.

თუმცა პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების სატელევიზიო პრეტენზიებზე ცალკე საუბარია საჭირო. იმიტომ კი არა, რომ ისევ **მანანა შევარდნაძის** კულუარული "ბესპრედელი" გვემუქრება, არამედ იმიტომ, რომ პროფ. **გიული ალასანიას** მიერ მომზადებული გადაცემები მღვდელმა **გიორგი ზვიადაძემ** "დაამონტაჟა" — სწორედ ამ სათანადო კვალიფიკაციას მოკლებულმა ადამიანმა განსაზღვრა, ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმული აზრებიდან რა უნდა გასულიყო ეთერში და რა უნდა ჩამოჭრილიყო. კაცმა არ იცის, რა ჯობია, პროფესიონალური დიქტატურა თუ დილეტანტური დემოკრატია.

ახლა კი 23 დეკემბრის ნომერი გადავშალოთ, სადაც **ქეთევან სადღობელაშვილის** მეორე "ხუთშაბათობაა" მოთავსებული — ახალი რუბრიკა "TV მეხუთე დრო". სწორედ აქ გრძელდება ეკა კვესიტაძის მიერ შემოთავაზებული თემა და ვგებულობთ, რომ როცა აშშ-ს პრეზიდენტი პირდაპირ ეთერს ითხოვს, ეს სულაც არაა ავტომატურად გარანტირებული: "**პირქით, ვაშინგტონის ბიურომ წინასწარ უნდა მიიღოს რაც შეიძლება სრული ინფორმაცია და გაარკვიოს, ანიჭებს თუ არა თეთრი სახლი პრეზიდენტის სიტყვას დიდი მნიშვნელობას ამერიკული საზოგადოებისათვის**". ძალიან კარგი. ამის შემდეგ რუბრიკის ავტორი გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ "**როგორი კატეგორიულობით თხოვს სახელმწიფო კანცელარიას პრეზიდენტის გამოსვლის დასაბუთებას ზაზა შენგელია, ბადრი პატარკაციშვილი, დავით ბეჟუაშვილი და ქიბარ ხალვაში**". ამ შემოთავაზებაზე უნდა გაგვეცინოს და ჩვენ მართლაც ვიცინით. მაგრამ განა მხოლოდ იმიტომ ვიცინით, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს აზრად არ მოუვათ მსგავსი მოთხოვნის გაკეთება? სულაც არა. წარმოვიდგინოთ **ირაკლი ჩუბინიშვილი**, რომელსაც ასეთ რამეს ეკითხებიან და ის რატომღაც პასუხობს, არა, უბრალოდ, ისევ ყაზარმაში მიდის მიშა, ბიჭები უნდა დააწიოკოს და ქართველი ხალხისთვის სულაც არ იქნება საინტერესოო. აქ კი ნამდვილად ავხარხარდებით!

როგორც ვხედავთ, აქაც გემოვნების პრობლემასთან გვაქვს საქმე. კაცმა რომ თქვას, ჯობია, მართლაც არ ახლდეს თან პრეზიდენტის ყოველ გაფაჩუნებას პირდაპირი ეთერი და არც ის შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ ბატონი მიხეილი სულ მუდამ ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, თანაც ერთ-ორ პოლიტიკურად უსიამოვნო წამოცდენასაც ავიცილებდით თავიდან...

მაგრამ ქეთევან სადღობელაშვილის სტატიაში ამაზე გაცილებით უფრო მწვავე პრობლემაა დასმული: "**კანცელარიისა და პარლამენტის დერეფნების, იაფფასიანი სკანდალებისა და მთავრობის ფუჭი დაპირებების გარდა მთავარ საინფორმაციო "მაგისტრალად" ისევ "რუსთაველის" მეტროდან თავისუფლების მოედნამდე არსებული ტერიტორია რჩება (სწორედ აქ წარმოებს ხოლმე "საზოგადოებრივი გამოკითხვები"). ჩაბნელებული რეგიონების (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ჩაკეტილი საზოგადოებისა და მისი პრობლემების გაშუქება "პატრიოტულ სულს ჩაკლავს ჩვენში" და ჟურნალისტები ამიტომაც ერიდებიან ხელისუფლების განაწყენებას**".

განა მარტო ხელისუფლებისა? რამდენია ჩვენს შორის ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ სიმართლე მავნებელია ფართო საზოგადოებისთვის, რადგან "ნერვებს უშლის", "უარყოფით ემოციებს აღძრავს".

ვნახოთ, რას გვეუბნება გაზეთის იმავე გვერდზე მწერალი გურამ დოჩანაშვილი: "**მაღიზიანებს ყველა ის წამყვანი, ვინც უარყოფით ინფორმაციაზეა მიმართული. ერთხელ, ერთერთ ტელევიზიაში მისულა კაცი, რომელმაც ჟურნალისტს უამბო, თუ როგორ გაიღეს თანასოფლელებმა ბოლო კაპიკები, რათა სოფლის ხიდი აეშენებინათ. ჟურნალისტმა დიდი მოთმინებით უსმინა და ბოლოს უთხრა: რა საინტერესო მაგ ხიდის აშენებაა, რომ ჩანგრეულიყო, საინტერესო ის იქნებოდაო. წარმოგიდგენიათ?**" ერთი პირობა კვიმატმა აზრმა გამიელვა თავში: ლევ ტოლსტოისთვის რომ ეთქვათ, რაღა ანა კარენინას ბოზობას გადაგვაყოლე, ჩამოსულიყავი საქართველოში, აგეწერა ნამდვილ ქართულ ოჯახში როგორ არწევენ აკვანს და როგორ ფურცლავენ "ვეფხისტყაოსანსო". ალბათ, ისიც იმ ჟურნალისტივით უპასუხებდა. მაგრამ პრობლემა ამით არ შემოიფარგლება. თუ "ნიუსსა" და ტელენარკვევს შორის განსხვავება არ გვესმის, ჟურნალისტებს არ უნდა ვუსაყვედუროთ, მათ თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ. ჩანგრეული ხიდის ტელეეკრანზე ჩვენებით ნამდვილად არაფერი დაშავდება: ბოლოს და ბოლოს, სოფლის მოსახლეობა გაცილებით უფრო ეფექტურ საშუალებას მიიღებს, ვიდრე რომელიმე ჩინოვნიკის სახელზე დაწერილი საჩივარია. რაც შეეხება ბოლო კაპიკებით აშენებულ ხიდს, ამის ჩვენება არა თუ უინტერესო (ვერ ვიტან პათეტიკას), არამედ სოციალურად მავნებელიც იქნებოდა: ამ ქვეყანაში ხომ ისედაც არავინ ზრუნავს იმაზე, რომ დაბეგრილი პენსიებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავალი გადამხდელებს დაუბრუნდეს — რაღა იქნება, თუ ვიქადაგებთ, რომ მოსახლეობამ სავალდებულო გადასახადებს ზემოთ უნდა გაიღოს ფული საზოგადოებრივ სიძნელეთა გადასალახავად.

ახლა კი ისევ მწერალს მოვუსმინოთ: "**ხელისუფლებამ მიზნად სულიერება უნდა დაისახოს და მერე მიხედოს მელიორაციას, თორემ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რასაც გვაყურებინებენ, გვასმენინებენ და გვაკითხებენ მედიის საშუალებები, შემთხვევითი არ არის, არ შეიძლება ამდენი დამთხვევა. ესაა სრულიად შეგნებული მოქმედება, რომ ერი გადაგვარდეს და გადაშენდეს**". ჯერ ყურადღებას ნუ მივაქცევთ ყბადაღებულ პარანოიდალურ ლაპარაკს რაღაც მსოფლიო შეთქმულებებზე. ჯერ ის ვნახოთ, საკუთრივ რას ეძახის ბ-ნი დოჩანაშვილი "გადაგვარებას": "**ამასწინათ "ევრიკაზე" გადავრთე და გავოგნდი. ვიფიქრე, რამ გადააგვარა ეს "ევრიკა" ასე თვალსა და ხელს შუა-მეთქი**". გასაგებია, თურმე, როცა **მაყვალა გონაშვილის** დავლურს აჩვენებდა ეს "ჭეშმარიტად ეროვნული" არხი, მაშინ ჯერ არ იყო გადაგვარებული, ხოლო როცა სტუდია "მაესტრომ" გამოსახულება გაუსწორა და რაღაც ერთიანი ტენდენცია შეიტანა მასში, რომელსაც ასე თუ ისე, მაინც ჰქვია შემოქმედებითი, არხიც "გადაგვარდა".

თუმცა, აქ კიდევ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. ხომ გახსოვთ, როგორ "იიაზვა" პუტინმა იმ გაუთავებელ პრესკონფერენციაზე, ქართულ მთავრობას ხომ სოროსი უხდის ხელფასსო. ახლა გავიხსენოთ, ვინ აგინებს ჩვენთან ყველაზე მეტად დასავლეთსა და სოროსს? — ჰოდა, ბატონებო, ეს ჩვენი სულიერების დამცველები, უბრალოდ, პუტინის უნებური მომხრეები და კიდევ "ზასტოის" დროინდელი აგიტ-პროპის რელიქტები არიან.

და კიდევ: რა ადვილად ამბობენ სიტყვას "სულიერება"! — "სულიერებას მიხედოს" — თითქოს საქმე ნათურის გამოცვლას ეხებოდეს. რაო, პირველ არხზე **ზაზა აბაშიძის** მოყოლილი მტკნარი ზღაპრებია "სულიერება"? ან იქნებ ისინი უძღვებიან სულიერებას ისე, როგორც საჭიროა, ვისაც ეს მართლაც ევალება? აი, 24 დეკემბერს **ნინია კაკაბაძე** ქილიკობდა, რომ ჩვენში ორი შობაა და ორი ახალი წელი. განა ქართველი ხალხი არ ფიქრობს ამაზე, განა მას არ აწუხებს ამ პრობლემის მეტაფიზიკა თუ თეოლოგია? — დიახაც ფიქრობს და თავს იტეხს, მაგრამ არავინ ეუბნება და ისიც, თავისი უსაზღვრო ნიჭიერების ამარა დატოვებული, საკუთარ ახსნას იგონებს. გუშინწინ, ბაზარში ერთი ქალისგან გავიგე, რომ შობის დღესასწაული 25 დეკემბერია, 7 იანვარს კი, უბრალოდ, მარხვა მთავრდება. მცირეოდენი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ეს ქალბატონი იმ 84 პროცენტში შედის, რომელიც სრულიად ენდობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას...

ნესტან ქვინიკაძის სვეტი

ჯექსონები

მთელი გასული კვირის მანძილზე თავს ლათოაი ჯექსონივით ვგრძნობდი: პედოფილი ძმა რომ ჰყავს; უნიჭო დამ კი სამუდამოდ ჩაუკლა 80-იანური სულისკვეთება. ეს ისე, ნახევრად ხუმრობით. რეალურად კი გასული კვირის მანძილზე, მადონინირებელი თავისი აქტუალობით, მუხროვანიდან გამოქცეული ჯარისკაცების პროტესტი გახლდათ. უფრო სწორად, პროტესტის დაწუნებულ წიწიბურად გასაღება. რაც ძალიან გავდა იმ ილუზიას, როცა თერთმეტი სექტემბრის ტერაქტს ათიოდე ფანატიკოსის ნამოქმედარად იხსენიებენ. აქ ხომ ყველაფერი უფრო მარტივია, ვიდრე ბაყაყის რეფლექსები?! გამქრალია ეჭვიც და ბუნდოვანებაც.

მერე იყო მუქარა ხავსმოდებული და ძვირფასი ქვებით, ფირფიტების უნიკალური კოლექციებით, ფერგადასული ბეჭდებით, ობიექტივებით, ძველი LEICA- ს ფოტოაპარატებით, მედლებით და წიგნებით დაფარული ხიდის წინააღმდეგ, მშრალს რომ ვუწოდებთ.

თავის დროზე ესეც პროტესტი იყო. როცა ღმერთის წყალობის იმედზე დარჩენილი საზოგადოების ერთი ნაწილი ძვირფასი და არც თუ ისე ძვირფასი ნივთებით სახლიდან გამოვიდა, მაისურიდან კი არა, გულიდან ამოიგლიჯა გულსაბნევები, დაუჯერებლად დაბალი ფასი დაადო და ღია ცის ქვეშ მყიდველს დაელოდა. ასეთი მყიდველებიც გამოჩნდნენ, - ღიმილის მომგვრელი ფასები და უნიკალური ნივთები, ერთი სიტყვით საჩუქარს გავდა.

გავიდა დრო. მშრალი ხიდი ჩინებულად მოერგო როგორც დაგეგმარებას, ასევე საზოგადოების ცნობიერებას. გაჩნდა "მშრალი ხიდის ქალების" მთელი თაობა; უცნაური პერსონაჟები; გაჩნდნენ მუდმივი მყიდველებიც, ხდებოდა გარიგება და გაცვლა, ფასდაკლება. ასეა თუ ისე, საზოგადოება ღია ცის ქვეშ გამოტანილ მზითევს შეელია. ეს ყველაფერი ღირდა. ღირდა გადარჩენისთვის.

კიდევ გავიდა დრო, ახლა მშრალი ხიდიც თავისთავად პროცესად უნდა გასაღდეს, - იყო და ჩაიარა. უნდა გაქრეს და დარჩეს მითი!

დარწმუნებული ვარ, ქალაქის მერს ვერავინ დააჯერებს: აზიურ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, მთელი ევროპა სავსეა ქალაქებით და ქალაქის ცენტრებით, სადაც ასეთი სახის ბაზრობა საუკეთესო და სათაყვანებელი ადგილია. შაბათ-კვირას რომ გარდაუვალი ხდება ძველმანების სტიქია, ერთმანეთში ირევა ყველა ნაცია და ორიენტაცია.

ერთ დროს გადარჩენის უალტერნატივო საშუალება, დღეს კი კულტურათა დიალოგის ასპარეზი, სწორედ იმათი გადაწყვეტილებით კარგავს იდეას, ვინც მთელი ამ დროის მანძილზე, არც ერთ მხარეს არ მდგარა: არც ძველი ჩემოდნები გაუყიდია და არც ორი საუკუნის წინანდელი წიგნები შეუძენია.

კიდევ გავა დრო და მათ თავიანთი სიმძიმე გაწყვიტავთ წელში. მაგრამ იქამდე მესამე ფაქტს შევეხები, რამაც გასული კვირის ემოციური შოკების სერია დააგვირგვინა.

ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი პრესტიჟული ფირმის საახალწლო გათამაშების ბროშურა. მასზე უამრავი პრიზი იყო მითითებული, თუმცა, რასაკვირველია, ყველაზე სასურველი მაინც ის საგზური აღმოჩნდა, რომელიც ევროპაში ორკაციან მოგზაურობას მოიაზრებს. ტექსტის ბოლოს მითითებულია: ფირმა პასუხს არ აგებს საკონსულოში უარის ჩარტყმის შემთხვევაში.

საქმე იმაშია, რომ სავარაუდო უარი, ერთი კონკრეტული ფირმის უსუსურობის მოტივს სულაც არ წარმოადგენს. საკონსულოების დამოკიდებულებას საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში, შეიძლება თავისუფლად ითქვას, ანალოგი არ გააჩნია, ისევე როგორც ჩვენ საპასუხო რეაქციას მათი უარის შემთხვევაში. ასეთ დროს, ათეისტი მოაზროვნეების თქმის არ იყოს, ჩვენც იმ მისტიკოსებს ვემსგავსებით, ღმერთს რომ მიმართავენ: ჩვენ შენ გვიყვარხარ შენი აუხსნელი სიმკაცრის, შენს მიერ შექმნილი სიავის და სიკვდილის, შენ მიერ ჩვენსა და შენ შორის დათესილი ეჭვისა და ბუნდოვანების, შენი სიტყვების ორაზროვნების მიუხედავად.

საკონსულოების თემას უსათუოდ ჩავუღრმავდები შემდეგში, რადგან საამისო ფაქტებიც მრავლად დაგროვდა ჩემ ირგვლივ.

ის, თუ რა საერთო შეიძლება არსებობდეს ზემოთ მოთხრობილ სამ ამბავს შორის: აჯანყებული ჯარი, მუქარა მშრალი ხიდის წინააღმდეგ და ჩაურტყმელი ვიზები; ალბათ, მაინც ერთ აზრამდე მივდივართ - ეს არის ქვეყანა თავისი არსებობის დაახლოებით მესამე თვეში, ჭამს ძუძუს რძეს და თვლემს. პასუხს არაფერზე აგებს, სიყვარულსაც კი ვერ გამოხატავს, მხოლოდ - სითბოს, და რა უცნაურია, ხშირად ესეც საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე ჩვენთვის.

მერე გამახსენდა, რომ გასული კვირის ჩემი განწყობის მსგავსად, ამ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 70 პროცენტი, უკვე დიდი ხანია თავს მაიკლ ჯექსონის იმ ოთხი ძმის მსგავსად გრძნობს, რომელთა შესახებ, უკვე დიდი ხანია, არავის არაფერი სმენია. ერთ დროს ისინიც ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ რა?!

"სალვე"

შაბათს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში პოეტ დავით მაღრაძის ახალი პოეტური კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. კრებული, სახელწოდებით "სალვე", მისი წინამორბედის - "პოეტს +" გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ წარუდგინა ფართო საზოგადოებას ავტორმა.

"სალვეში" პოეტის ახალ ნამუშევრებთან ერთად, შესულია ლექსები წინა კრებულებიდან - "პოეტს +" და "ნიკალა"; ასევე, მხოლოდ ლიტერატურულ პერიოდიკაში - "წიგნებსა" და "პარნასში" გამოქვეყნებული ლექსები.

"სალვე" გამომცემლობა "საარის" კიდევ ერთი პოეტური გამოცემაა. ***24 საათი.***

"პარნასი" ორი წლისაა

ნანა კობაიძე

ვახო ბესელიას ფოტო

გუშინ წიგნის მაღაზია "პარნასი" იუბილარი გახლდათ. მართალია, ის ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, მაგრამ წიგნის მოყვარულებში უკვე დაიმკვიდრა ადგილი. მახსოვს, მისი გახსნის ცერემონიაზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, ჭავჭავაძის გამზირზე მოძრაობაც კი შეწყდა. ეს იყო პირველი კერძო მაღაზია, სადაც წიგნები (როგორც ღევან თითმერია ამბობდა) დახლ-მაცივრების პრინციპით კი არ ელაგა, არამედ ცივილური ფორმით, გემოვნებით შერჩეულ თაროებზე ეწყო და, რაც მთავარია, შეიძლებოდა მათთან ახლოს მისვლა, ხელში აღება, დათვალიერება. მახსოვს, მაშინ ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ წამოწყებას, ამბობდნენ: დღეს წიგნისთვის არავის სცალია, ხალხს წიგნის ფული არა აქვს, შესაძლოა, კერძო წიგნის მაღაზიამ საქართველოში არ გაამართლოსო... მაგრამ "პარნასის" მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღევან თითმერიას და გია დარსალიას "რისკმა" გაამართლა. ორი წლის "პარნასი" იუბილეს "ნამატით" - ფილიალით, კაფეთი და ლიტერატურული გაზეთით შეხვდა.

დაბადების დღე ოფიციალურად სამ საათზე დაიწყო. გია დარსალიამ შეკრებილ საზოგადოებას პირობა მისცა, რომ "პარნასი", ისე როგორც დღემდე, მომავალშიც შეეცდება, წიგნის განვითარების საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს. მან საზოგადოებას წარუდგინა წლის ბესტსელერები, რომელთაც თავად მკითხველი ირჩევს, ანუ გამარჯვებულებს გაყიდული წიგნების რაოდენობა განაპირობებს. წლის ბესტსელერი გახდა ალენ კარის "ბოლო სიგარეტი - მარტივი გზა" ("რუსთავი-2 პრინტი"). პირადად ჩემთვის და, ალბათ, ბევრი სხვისთვისაც, ეს ფაქტი, ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელია. სხვათა შორის, გარკვეული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობებსაც იძლევა. როგორც ჩანს, ქართველ მკითხველს ეს პრობლემა გვარიანად აწუხებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო დროს სიგარეტის ფასი საგრძნობლად გაიზარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამოცემა კარგა ხანს შეინარჩუნებს ლიდერობას. არ ვიცი, რამდენად დაეხმარა ალენ კარი ქართველებს, სიგარეტისთვის თავი დაენებებინათ, მაგრამ ქართული წიგნის ბიზნესის განვითარებას ნამდვილად შეუწყო ხელიო, - განაცხადა გია დარსალიამ. ასევე მოულოდნელი იყო მეორე ნომინაციაში - "მხატვრული ლიტერატურა" - გამარჯვებული ავტორი. ეს გახლდათ გოჩა მანველიძე რომანით "მგლები". მას, ისევე როგორც დანარჩენ გამარჯვებულებს, სიმბოლური საჩუქრები - დიპლომი და ერთი ბოთლი ღვინო გადაეცა, დამსწრე საზოგადოებას კი, როგორც ვიღაცამ იხუმრა, ცოცხალი გოჩა მანველიძის ნახვის შესაძლებლობა მიეცა.

ნომინაციაში "წლის საუკეთესო პერიოდული გამოცემა" გაიმარჯვა "24 საათის" ლიტერატურულმა დამატებამ "წიგნები". გია დარსალიამ ამ გამოცემის რედაქტორი მალხაზ ხარბედია დააჯილდოვა. სხვათა შორის, მალხაზმა ამ ნომინაციაში შარშანაც გაიმარჯვა, ოღონდ ჟურნალ "არილით". ჰოდა, გზაში ხუმრობდა, 50-ანი წლების მადრიდის "რეალივით" ვარო.

ნომინაციაში წლის საუკეთესო მულტიმედიაპროექტი გაიმარჯვა დისკმა Discover Georgia. ეს არის ელექტრონული გამოცემა, საიდანაც შეგიძლიათ მოკლე და ამომწურავი ინფორმაცია მიიღოთ საქართველოს შესახებ.

ნომინაციაში "ილუსტრირებული ქართული საბავშვო წიგნი", გაიმარჯვა გამომცემლობა "ლიტერას" წიგნმა "გურჯი-ხათუნი", რომლის ავტორია დათო ტურაშვილი, მხატვარი - რევაზ ებრალიძე, გამომცემელი - ნუგზარ წიკლაური. გია დარსალიამ საგანგებოდ აღნიშნა ამ ნომინაციის მნიშვნელობა. საინტერესოა, რომ საქართველოში უკვე გაჩნდა ქართველი ავტორების მიერ დაწერილი და გაფორმებული საბავშვო ლიტერატურის მოთხოვნილება, რაც, თავისთავად, ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი მოთხოვნაა უცხოელი ავტორების მიერ დაწერილ და გადმოქართულებულ საბავშვო გამოცემებზე, ჩვენი შვილებისთვის ჩვენივე ტრადიციებისა და ფსიქოლოგიის გათვალისწინებით შექმნილი წიგნი უფრო ღირებულია. ამის მაგალითია "ლიტერას" მიერ გამოცემული კრებული საქართველოს ისტორიის შესახებ (ამის თაობაზე რამდენიმე დღის წინათ ვწერდით).

ისევ "პარნასს" და მის შემდეგ ნომინაციას დავუბრუნდეთ. გაზეთმა "პარნასმა" წლის საუკეთესო პოეტური პუბლიკაციისთვის ბაადურ ბალარჯიშვილი, საუკეთესო პროზაული პუბლიკაციისთვის კი თეონა დოლენჯაშვილი დააჯილდოვა. კიდევ ერთი პრიზი - ნომინაციაში "ქართულ ლიტერატურაში შეტანილი ღვაწლისთვის" ანა კალანდაძეს ხვდა წილად. სხვათა შორის, რამდენიმე დღეში "პარნასში" ანა კალანდაძის პოეტური კრებულის პრეზენტაცია გაიმართება. ეს ორიგინალური წიგნი, რომელიც მთლიანად პოეტის ხელნაწერია, გამომცემლობა "საარმა" დასტამბა. ვიმედოვნებთ, ქალბატონი ანა ამ პრეზენტაციაზე მაინც მობრძანდება და კრებულთან ერთად დიპლომსა და წითელ ღვინოსაც წაიღებს.

ასე დასრულდა "პარნასის" ოფიციალური დაბადების დღე. აბა, ახლა მოვულხინოთო - გამოაცხადა პრიზების დარიგებით დაღლილმა დარსალიამ და იუბილეს მეორე, არაოფიციალური ნაწილი გახსნილად გამოაცხადა.

ბიბლიოთეკებმა ახალი გამოცემები შეიძინეს

კულტურის სამინისტრო კონკრეტულ პროექტებს ახორციელებს

ნანა კობაიძე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ბიბლიოთეკარებს და გამომცემლებს უმასპინძლა. პროექტი, რომელიც სამინისტრომ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა, ასევე, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად განახორციელა, წიგნის პოლიტიკის ერთერთი შემადგენელი ნაწილია. იგი საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკებს, შეიძინონ ბოლო წლებში გამოცემული ქართული წიგნები.

25 დეკემბერს სამინისტრომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ 70 ბიბლიოთეკარს უმასპინძლა. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართველ გამომცემლებს, დაეთვალიერებინათ მათ მიერ გამოცემული ახალი წიგნები და კატალოგების მიხედვით სასურველი ლიტერატურაც შეერჩიათ. ბიბლიოთეკარები ამ შეხვედრით კმაყოფილნი ჩანდნენ. უპირველესად, იმიტომ, რომ ბოლო 14 წლის განმავლობაში პირველად მიეცათ შესაძლებლობა, შეეძინათ ახალი წიგნები. გარდა ამისა, მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სახელმწიფომ წიგნისთვის მოიცალა. წლეულს ეს პროექტი შედარებით მცირემასშტაბიანია და მხოლოდ 70 ბიბლიოთეკას ეხმარება. სამომავლოდ, ვარაუდობენ, რომ მასში შემავალი ბიბლიოთეკების რიცხვიც გაიზრდება და თანხაც (ამ ეტაპზე თითოეულ ბიბლიოთეკას 1000-ლარიანი ვაუჩერი გამოეყო). ამ წამოწყების ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს პროექტი ზოგადად წიგნის სექტორისთვის არის მომგებიანი: გაიზრდება გამომცემლობათა ტირაჟები, მოიმატებს ავტორთა ჰონორარები და ბიბლიოთეკის დახმარებით წიგნი გახდება ხელმისაწვდომი. ეს განსაკუთრებით მტკივნეული თემაა რეგიონების მოსახლეობისთვის.

ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ლიკა ბაქანიძე ამბობს, რომ რეგიონებში ბოლო დროს გამოცემულ წიგნებზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი შეძენის საშუალება არ გვქონდაო. როგორღაც ვიშოვეთ აკა მორჩილაძის "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები" და საღამოს რომ გავატანდით მკითხველს, მეორე დილით უნდა მოეტანა, რადგან რიგში უამრავი ხალხი იდგაო. ამ პროექტის დახმარებით ქალბატონმა ლიკამ 1000 ლარის ფარგლებში შეიძინა ახალი წიგნები, მათ შორის, გოჩა მანველიძის დეტექტივები, რომლებზეც, თურმე, ოზურგეთში დიდი მოთხოვნილებაა. ლიკა ბაქანიძისთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ პირადად გაიცნო ქართველი გამომცემლები და გაიგო, რა ხდება ქართული წიგნის ბაზარზე, რა სიახლეებია, რა არის პოპულარული. ადრე თავად გამომცემლობები გვიგზავნიდნენ თემატურ გეგმებს, წინდაწინ ვიცოდით, რა უნდა გამოცემულიყო და შეკვეთების თადარიგსაც ვიჭერდით. დღეს ეს სისტემა მოშლილია, არც კი ვიცით, რა წიგნები გამოდისო.

ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა რუსუდან ენჯემაძემ თავისი მკითხველებისთვის ძირითადად სპეციალური ლიტერატურა შეარჩია - სამედიცინო, იურიდიული, ეკონომიკური წიგნები. არც მხატვრული ლიტერატურის მოყვარულები დავიწყებია და მათთვის აკაკი ბაქრაძის, აკა მორჩილაძის, პაულო კოელიოსა და სხვა ავტორთა ნაწარმოებები შეიძინა. ქალბატონი რუსუდანი ამერიკაში სტაჟირებული ბიბლიოთეკარია და ხაშურის ბიბლიოთეკაც, ამერიკული პროექტების წყალობით, სხვა რეგიონებთან შედარებით, კარგ მდგომარეობაშია - ბოლო სამი წელიწადია, მკითხველთა მომსახურებას ვერ ავუდივართო - გვითხრა, თუმცა, ბოლო 12 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფომ ბიბლიოთეკების მიმართ ყურადღება გამოიჩინა და იმედოვნებს, რომ მსგავსი პრაქტიკა მომავალშიც გაგრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ დაპირებული 15 ათასის ნაცვლად 5 ათასი ლარის ვაუჩერი მიიღო, კმაყოფილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ემზარ ჯგერენაიაც. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ იცვლება სახელმწიფოს დამოკიდებულება კულტურის პოლიტიკისა და, კონკრეტულად, წიგნების მიმართ. თუ ადრე ეროვნული ბიბლიოთეკა სახელმწიფოსგან მხოლოდ ხელფასს იღებდა, ახლა ბოლო თეთრამდე მივიღეთ, რაც მოვითხოვეთო, - გვითხრა მან.

70-ვე ბიბლიოთეკა შერჩეულ წიგნებს თებერვალში მიიღებს.

ერთი ნაბიჯით წინ

პოპ-კორნი "ვაკის პარკისგან"

ვერა ნეფარიძე



იური ლეონტიევის ფოტო

ჯგუფმა "ვაკის პარკმა" საკუთარ დისკოგრაფიას კიდევ ერთი ალბომი შეჰმატა. რიგით მეხუთე საავტორო, სტუდიური ჩანაწერის - "პოპ-როკი", სახელწოდება გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს ალბომზე. პოლიტიკური ელფერი, სოციალური თემატიკა, დევნილების თემა, პოპი და როკიც, - ასეთია "პოპ-როკის" ზოგადი სურათი, რომელიც გუშინ "ვაკის პარკის" ლიდერმა, ზაზა ხუციშვილმა ალბომის პრეზენტაციისას დაგვიხატა.

"ყოველი ახალი ალბომი ჩვენთვის წინ გადადგმული ნაბიჯია", - ბაძოს (იგივე ზაზა ხუციშვილი) ამ შეფასებას მას შემდეგ დაეთანხმება (ან, არ დაეთანხმება) მსმენელი, როდესაც "ვაკის პარკის" ახალ ალბომს სრულად გაეცნობა. ფართო საზოგადოება კი აქამდე ჯგუფის ახალ ნამუშევარს იცნობდა ორი კლიპით, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც ეთერში გადის. "ტკბილი ცოდვა" (რომელსაც საკმაოდ სასიამოვნო ვიდეორგოლი აქვს რეჟისორ გოგიტა მეცხოვრიშვილის წყალობით) და "სადღაც, კოსმოსში" (სიმღერა, რომელიც ალბომს ხსნის) - ამ სიმღერებმა მსმენელს "პოპ-როკის" ირგვლივ გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა. ორივე სიმღერის იდეა გუშინ ჯგუფის ლიდერმა ამგვარად ახსნა: "ტკბილი ცოდვა" უფრო ფასეულობების გაუჩინარებაზე, "სადღაც, კოსმოსში" კი, - ოცნებების მსხვრევაზეა; სიმღერა "დევნილი" პირდაპირ ლტოლვილების თემას უკავშირდება; "ვაკის პარკისთვის" კვლავაც აქტუალურია პოლიტიკური ტექსტები და ასეთი ლირიკა ალბომში რამდენიმე სიმღერას ახასიათებს. ალბომში მოიპოვება ბალადაც, ანუ, "ძველი ფირფიტები" ჯგუფის საყვარელ სტილშია შესრულებული (როგორც თავად ბაძომ აღნიშნა). საერთო ჯამში კი, ეს ყველაფერი არ არის მოწყვეტილი არსებულ რეალობას. "ბოლო დროს, ჩვენს შემოქმედებაში ვცდილობთ აისახოს ჩვენ გარშემო მიმდინარე პროცესები", - ამბობენ მუსიკოსები.

გუშინ პრეზენტაციაზე შეკრებილი მცირერიცხოვანი საზოგადოებისთვის ზაზა ხუციშვილმა სცადა აეხსნა, თუ რითაა ეს ალბომი წინამორბედებისგან განსხვავებული იმის გარდა, რომ ამ ნამუშევარში თორმეტი ახალი სიმღერაა გაერთიანებული. ერთ-ერთი სიახლე ჟღერადობა აღმოჩნდა. "პოპ-როკის" შექმნაზე ჯგუფმა პირველად ითანამშრომლა ხმის რეჟისორთან კოტე ნონიკოვთან (სტუდია "თბილისი"), რასაც ჯგუფი წარმატებულად აფასებს. მეტი ელექტრონიკა და დამძიმებული გიტარა ჩანაწერს უფრო თანამედროვე ჟღერადობას უქმნის. თუ გავითვალისწინებთ ალბომის გაფორმებასაც - პოპ-კორნში ჩაწყობილი "ვაკის პარკის" წევრები, რისი იდეაც (პოპ-როკიდან პოპ-კორნამდე) მუსიკოსებს ალბომის სახელწოდებიდან გამომდინარე დაებადათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ "ვაკის პარკს", რომელსაც ფართო მსმენელი არც აქამდე აკლდა, სავარუდოა, რომ ჯგუფის მოყვარულების წრეს კიდევ უფრო გაზრდის. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ახალი ალბომი ფართო მასებისთვისაა გათვლილი. ყოველ შემთხვევაში, ბაძოს თქმით, მუსიკოსებს არც ამჯერად უცდიათ საკუთარი შემოქმედება ფართო მასებისთვის შეექმნათ.

"ხშირად გვეკითხებიან, წარმატებული ჯგუფია თუ არა "ვაკის პარკი". წარმატება შეიძლება იყოს ერთჯერადიც. რვა წლის განმავლობაში ჯგუფს ხუთიდან ოთხი საავტორო ალბომი აქვს გამოშვებული; ჩვენი აზრით, ეს წარმატებაა", - მიაჩნია ჯგუფის ლიდერს და არც თუ უსამართლოდ. სტაბილურობა ჩვენს რეალობაში, მითუმეტეს ცოცხალი ჯგუფისთვის, უკვე ბევრს ნიშნავს. განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს, როდესაც ეს ჯგუფები საკუთარი თავისადმი მომთხოვნები არიან. ბაძომ გუშინ ფონოგრამაზე შემსრულებელი მომღერლების პოპულარობის მიზეზი ამგვარად ახსნა: "ეს ჩვენი ბრალიცაა, ცოცხალი ჯგუფების, რადგან ჩვენი კონცერტები არ არის ხშირად მაღალი დონის". ახალი წლიდან "ვაკის პარკი" იწყებს რეპეტიციებს, გაზაფხულიდან კი საკონცერტო ტურნეს გამართავს. დაბოლოს, "პოპ-როკი" ჯგუფის რიგით მეორე ალბომია, რომლის გამოშვებაც ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდმა დააფინანსა.

სუში - იაპონიის სახე

ნინო ლეჟავა

იაპონელები, როგორც ზოგიერთი სხვა აზიური ქვეყნის წარმომადგენლები საკვებს ჩხირებით მირთმევენ, რაც ჩვენთვის მიუღებელი და უჩვეულოა. იაპონიაში ჭამის განსაკუთრებული წესებიც აქვთ, მათ შორის, რისი გაკეთებაც არ შეიძლება ჩხირების გამოყენებისას. თურმე, თუ ჩხირებს მუშტით დაიჭერთ, ეს იაპონურად დამუქრებას ნიშნავს, ხოლო თუ ბრინჯში ჩხირს ჩაარჭობთ უბრალოდ, გაუზრდელად ჩაგთვლიან.

ბრინჯი იაპონელთათვის ერთერთი ძირითადი და სათაყვანო საკვებია. მისგან უამარვ ნაციონალურ კერძს ამზადებენ, მათ შორის, "სუშის", რომელზეც მე და იაპონელმა სტუდენტმა კიოკო კადოტანიმ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ და ვფიქრობთ, თუ სრულ არა, საფუძვლიან ინფორმაციას მაინც მოგაწვდით იაპონური კულინარიის ამ საინტერესო შედევრზე.

- კიოკო, სუში რა არის, ანუ როგორ გამოიყურება?

- ტრადიციული სუში ბრინჯის ბურთზე დადებული უმი თევზის ფილეა.

- როგორ იჭმევა?

- პატარა ჯამში ასხამენ ცოტაოდენ სოიოს სოუსს, იღებენ სუშის და თევზიან მხარეს აწებენ სოუსში, თუმცა, არსებობს სუშის რამდენიმე სახეობა, რომლებიც უსოუსოდაც იჭმევა.

- სუშის ხელით მიირთმევენ?

- ხელითაც და ჩხირებითაც, ამგრამ ქალბატონები მხოლოდ ჩხირებით სარგებლობენ.

- სუში მხოლოდ კლასიკურია თუ მისი მრავალსახეობა არსებობს?

- სუში მრავალნაირია, რაც იაპონურ სამზარეულოს თავისებურ ნირს ჰმატებს.

- იქნებ, ჩამოგვითვალო და აგვიხსნა ყველა კომპონენტის შინაარსი.

- **"ნიგირი"** - ეს არის ხელით შეწებებული ბრინჯი ნებისმიერი თევზის ფილეთი. **"მაკი"** - ბრინჯი რულეტად არის გახვეული ზღვის მცენარეში, რომელსაც "ნორის" უწოდებენ. მას ძირითადად ორაგულისგან და თინუსისგან ამზადებენ, ან თევზს ბოსტნეულით ცვლიან, მაგალითად, კიტრით და ზღვის კომბოსტოთი. **"ფუტომაკი"** - მკვრივი ბრინჯის რულეტებია "ნორში" გახვეული, მასში ასევე ბოსტნეულსა და თევზს დებენ. **"ტემაკიც"** რულეტია ბრინჯით, თევზით და ბოსტნეულით. **"საშიმი"** თევზის ფილეს ნაჭრებია, რომელთა დაჭრას სპეციფიკური რიტუალი აქვს. "საშიმი" სოიოს სოუსითა და "ვასაბით" იჭმევა. **"გარი"** ვარდისფერი ზარდანჩოს მარინადია, რომელიც ტრადიციულად სუშისთან მოაქვთ. "გარის" სუშის ყველა ნაჭერს ატანენ, რათა თითოეულ ახალ ლუკმას არ მოჰყვეს მომდევნოს გემო. **"ვასაბი"** ღია მწვანე იაპონური მცენარის ფესვია. მას ახმობენ, ფქვავენ და აკეთებენ პასტას. ძირითადად, "სუსის" და "საშიმის" საწებლად იყენებენ, ასევე მას სხვადასხვა სოუსებშიც ამატებენ. "ვასაბი" ძალიან ცხარე საკმაზია, რომელიც რუსულ პირშუშხას წააგავს. **"სოიოს სოუსი"** - იგი ხორბლის, სოიოს ბარდის, წყლისა და ზღვის მარილისგან მზადდება. **"დაიკონი"** - ბოლოკის გრძელი თეთრი ფესვია, რომელსაც ხეხავენ ან ჭრიან გრძელ, წვრილ ჯოხებად. სხვათა შორის, ვისაც წონის დაკლება სურს, სწორედ მათთვის არის "დაიკონი" მიზანშეწონილი. მას ცხიმი გამოჰყავს ორგანიზმიდან. ახალი გაწმენდილი ბოლოკი კუჭს ცხიმის გადამუშავებაში უწყობს ხელს. **"ნორი"** - ალბათ, ხშირად გინახავთ მწვანე ქაღალდის მსგავსი, ფურცლებში გახვეული ბრინჯი შიგთავსით. ამ ზღვის მცენარეებს "ნორის" ეძახიან. "ნორის" რამდენჯერმე აშრობენ ცეცხლზე, სანამ ფერს არ შეიცვლის და შავიდან მწვანე არ გახდება, მისგან, ასევე, "ტამარის" სანელებელს ამზადებენ.

- სუშის ისტორია ან მასზე ლეგენდა ხომ არ იცი?

- როგორც იცი, იაპონელები კუნძულის მცხოვრებლები არიან, რომლის ირგვლივ "კუროშიოს" ზღვაა. ამომავალი მზის ქვეყანა თავის მოქალაქეებს ოდითგანვე ზღვის პროდუქტებითა და ბრინჯის ველების ნაყოფით კვებავდა. სუშიც, ვფიქრობ, სიმბოლოა ამ ორი, ჩვენთვის სათაყვანო პროდუქტის.

- დაახლოებით როდის მოიგონეს სუში?

- ადრე სუშის უმი თევზისგან არ ამზადებდნენ. გაწმენდილ თევზს ფენებად აწყობდნენ, აყრიდნენ მარილს და მძიმე პრესის ქვეშ ტოვებდნენ რამდენიმე კვირით, შემდეგ კი, ქვებს მსუბუქი თავსახურებით ცვლიდნენ. თევზი რამდენიმე თვეში მზად იყო. ასეთი წესით სუშის ტოკიოს რამდენიმე რესტორანში ახლაც აკეთებენ, მას "ნარეზუში" ქვია.

- აბა, უმი თევზი როგორ გახდა პოპულარული?

- ლეგენდა გვიყვება, რომ სადღაც 1900 წლამდე ერთ-ერთი სასადილოს ახალგაზრდა მზარეულმა სახელად იოჰეიმ გადაწყვიტა, რომ უმი თევზი უფრო სასარგებლო და გემრიელი იქნებოდა კლიენტებისთვის, ვიდრე თევზი, რომელიც შენახვის პროცესში ადვილად ფუჭდებოდა. მისმა სიახლემ ძალიან მალე მოიპოვა წარმატება და მცირე პერიოდში სუშის თევზის მომზადების 2 სტილიც ჩამოყალიბდა, "კანსაი" - ოსაკას სტილი და "ედო" - ტოკიური.

- რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

- ოსაკელ ბრინჯით მოვაჭრეებს გადაუწყვეტიათ, რომ სუშის ბრინჯს სპეციალური მოზმადება სჭირდებოდა, რომელშიც სხვადასხვა სახის პროდუქტები აირეოდა და ამ ყველაფერს ლამაზი ფორმებიც მიეცემოდა. ოსაკურ სუშის სტილს "კანსაი" ეწოდა, ხოლო ტოკიოს მიმდინარეობას, რაც თევზის ნაჭრისა და ბრინჯის ბურთისგან შედგებოდა - "ნიგირისუში".

- რომელი სტილი სარგებლობს მეტი პოპულარობით?

- ორივე, მაგრამ უცხოელები უპირატესობას მაინც "ნიგირისუშის" ანიჭებენ, რადგან თვით იაპონელებმაც ტოკიურ სტილს ორიგინალი უწოდეს, თუმცა რეალურად "კანსაის" სუში უფრო რთული მოსამზადებელია. მას ბევრად ძველი ისტორიაც აქვს. ამის შესახებ ძალიან ცოტა იაპონელმა თუ იცის.

- სუშის მომზადებაც გეცოდინება. იქნებ, გაგვიმხილო რეცეპტი? სამზარეულოს რაიმე სპეციალური აქსესუარები ხომ არ დაგვჭირდება?

- რომ გითხრათ, პროფესიონალი ვარ-თქო, მოგატყუებთ, თუმცა, ახსნას მაინც შევეცდები. სანამ სუშის მომზადებას დაიწყებთ, ხელთ უნდა გქონდეთ ძალიან ბასრი დანა. სხვათა შორის, არსებობს სპეციალური სუშის დანა, მას "სუში-ბენტოს" ეძახიან. კიდევ აუცილებელია ბამბუკის პატარა საფენი, რომელსაც ხან "სუშიმაკი", "სუდარე", ან "მაკისუს" უწოდებენ და იყენებენ სუშიროლების მოსამზადებლად. ასევე დაგჭირდებათ ხის კოვზი, ბრინჯის "ნორზე" დასალაგებლად. ხელითაც შეგიძლიათ, დაალაგოთ ბრინჯი, ასევე პროფესიონალი მზარეულები იქცევიან, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ბრინჯი ძალიან წებოვანია.

- პროდუქტები? რა და რა უნდა მოვიმარაგოთ?

- ბრინჯი, ნორი, ვასაბი, გარი, დაიკონი, ბრინჯის ძმარი, კიბორჩხალის ჩხირები თუ კალიფორნიაროლებს ვამზადებთ, კიტრი და ხარი, ხარი-ზუკე, ანუ ბოსტნეულის მარინადისნარევი.

- ბრინჯს, როგორც გამიგია, სპეციფიკური მომზადება სჭირდება, არა?

- სუშის სხვადასხვა რეცეპტებში წაიკითხავთ, რომ უმი ბრინჯი მომზადების წინ მანამდე უნდა ვრეცხოთ, სანამ წყალი გამჭვირვალე არ გახდება. ასევე წერია, რომ 30-60 წუთის განმავლობაში ბრინჯი უნდა ვაშროთ. თქვენი გადასაწყვეტია, რამდენად ზუსტად მიყვებით მომზადების წესს. ერთი კი, აუცილებლად გაითვალისწინეთ - სუშიში აკრძალულია სწრაფი მომზადების, დამუშავებული და ყავისფერი (ველური) ბრინჯის გამოყენება.

- მომზადების წესზეც გვიამბეთ.

- ბრინჯი ჩაყარეთ საწურ ჯამში და რეცხეთ, სანამ წყალი არ გასუფთავდება. ერთი საათით დატოვეთ ჭურჭელში გასაშრობად. შემდეგ გადაიტანეთ ქვაბში. დაამატეთ ცოტაოდენი საკე, დაახურეთ თავსახური და მოიყვანეთ ადუღებამდე საშუალო ცეცხლზე, დაუწიეთ ალს მინიმუმამდე და ადუღეთ 15 წუთი. შემდეგ გამორთეთ და ბრინჯი დააყოვნეთ ქვაბში კიდევ 15 წუთით. ფრთხილად ამოურიეთ ფსკერიდან ზევით და სახურავის ნაცვლად თავზე ვაფლის ნაჭერი შემოახვიეთ, რათა ქსოვილმა ზედმეტი სითხე შეიწოვოს. გადაიღეთ მასა ფართო ჯამში. ცალკე მოამზადეთ ღვინის ძმარი არეული ცოტაოდენ შაქარსა და მარილში. ბრინჯი კვლავ ამოურიეთ წყალში დასველებული ხის კოვზით ძალიან სწრაფად და სველი ნაჭრით თავდახურული გააჩერეთ იქამდე, სანამ არ დავიწყებთ სუშის მომზადებას.

- ინგრედიენტები გრამობით დაგვიკონკრეტე.

- 2 ჭიქა ბრინჯზე 1 ჭიქა წყალი. 4 სუფრის კოვზი ძმარი, 4 სუფრის კოვზი შაქარი და ნახევარი ჩაის კოვზი მარილი.

- დაბოლოს, იქნებ კლასიკური სუშის რეცეპტიც გვითხრა.

- "ნიგირი-სუშის" მომზადების წესს გასწავლით. აიღეთ დაახლოებით 2 სუფრის კოვზი მზა ბრინჯი. ხელით მიეცით ცილინდრის ფორმა. თევზის ფილეს ნაჭრები ისე დაანაწილეთ, რომ ისინი ბრინჯის ბურთებზე დიდები გამოვიდნენ. ბრინჯის თითოეულ "ცილინდრს" წაუსვით "ვასაბი" და დაადეთ თევზის ნაჭერი.

კონცერტების პრინცი

პრინცი შეიძლება, დიდი ხანია, აღარ არის პოპის მეფე, მაგრამ სამაგიეროდ 2004 წელს მან საკონცერტო ტურნეების მეფობის ტიტული მოიპოვა. საკონცერტო ინდუსტრიის ჟურნალის "პოლსტარის" კვლევის შედეგად შედგენილ ნუსხაში - წლის ყველაზე შემოსავლიანი ტურნეების 25-ეული - პრინცი პირველ ადგილზე ლიდერობს. მან მუსიკალური მოგზაურობების დროს 87.4 მილიონი დოლარის მოგროვება შეძლო.

პრინცის ტურნე მოიცავდა 69 ქალაქს, სადაც მომღერალმა 96 შოუ გამართა. "პოლსტარის" მთავარი რედაქტორის, გერი ბონჯოვანის თქმით, "ეს, ალბათ, ერთ-ერთი უდიდესი ტურნე იყო, რომელიც პრინცს კარიერის განმავლობაში გაუმართავს. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომღერალს ახლა რენესანსის ხანა უდგას".

მეორე ადგილზე სელინ დიონი გავიდა. ლას ვეგასში, კაზინო "სიზარს პალასში" გამართული საკონცერტო სერიალიდან მას 80.4 მილიონი დოლარი დარჩა.

მესამე ადგილზე მადონა გავიდა - 79.5 მილიონი დოლარით; მეოთხეზე "მეტალიკა" - 60.5 მილიონით; მეხუთეზე ბეთ მიდლერი - 59.4 მილიონი დოლარი.

ამერიკული საკონცეტრო ინდუსტრიის ანალიტიკოსების თქმით, 2004 წარმატებული წელი იყო ქანთრის მუსიკოსებისთვისაც: კენი ჩესნის ტურნე 50.8 მილიონი დოლარით დასრულდა, ტობი ქითის - 43.7 მილიონით; 25-ეულში მოხვდა ტიმ მაქგროუს, შანია თუეინის, ალან ჯექსონის და მარტინა მაქბრაიდის ტურნეებიც. საუკეთესო ათეული კი ვან ჰალენის, კენი ჩესნის, სტინგის, ტობი ქითისა და ელტონ ჯონის კონცერტებმა დააგვირგვინეს.

ბონჯოვანის თქმით, ასეც იყო მოსალოდნელი, რომ ყველაზე შემოსავლიანების ნუსხას ნაცნობი სახეები დააკომპლექტებდნენ: "მხოლოდ იმიტომ, რომ ბეიბი ბუმერები დაბერდნენ, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უცებ გლენ მილერის ფანებად გადაიქცნენ".

თუმცა, ნუსხაში ახალი სახეებიც გაერთიანდნენ, მათ შორის აშერი და ჯონ მეიერი - კონცერტებიდან შესული 20-მილიონიანი შემოსავლით. ბონჯოვანი დასძენს: "არა მგონია, რომ ახალი თაობა მუსიკას ისევე აღიქვამდეს, როგორც - ხანში შესული ბეიბი ბუმერები. როგორც მგონია, ახალ ეპოქაში მუსიკოსებთან მსმენელი "ხანგრძლივ კავშირს" დიდად აღარ ამყარებს".

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ბილეთის ფასიც, რომელმაც ბოლო წლებში საგრძნობლად იმატა: საუკეთესო ასი მომღერლის შოუზე ბილეთი საშუალოდ 52 დოლარი ღირდა. იყო ამაზე ძვირიც. ელტონ ჯონის კონცერტზე მოსახვედრი ბილეთის ფასი საშუალოდ 158 დოლარი გახლდათ.

ცქერა

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ჯეოფარსი

ერთხანს სიამოვნებითაც კი ვუყურებდი და ვუსმენდი ამ გადაცემას, კონკურსს, რომელიც "ჯეოსელისა" და ტელეკომპანია "მზის" ინიციატივით გაიმართა.

როგორც იქნა-მეთქი.

ამდენ, ზოგს ფულით, ზოგს ნაცნობობით გაჩენილ მომღერალს, ქართული ესტრადა თუ, არ ვიცი, როგორ ვთქვა, სიმღერის ქართული არე ნამდვილად ვეღარ იტევს. მღერის ყველა ნიჭიერი და უნიჭო, ისე რა ნიჭიერი და, უბრალოდ, ნებისმიერი მოხალისე.

"ჯეოსტარმა" ძველისძველი გადაცემა "ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" მომაგონა, იმ განსხვავებით, რომ ეს ახალი კონკურსი მხოლოდ ქართველების ინიციატივითა და ქართველებისვე ხელშეწყობით გაიმართა. მუსიკალური შეფობაც შესანიშნავმა მუსიკოსმა ნიკა მემანიშვილმა ითავა.

თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. საკმაოდ კომპეტენტურმა ჟიურიმ ოთხი ათასი მსურველიდან რვა საუკეთესო შეარჩია. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთნენ "ჯეოსელის" აბონენტები. მათ უფლება მიეცათ, ჟიურის მიერ შერჩეულ ლიდერებს ჩამორჩენილ მომღერალთაგან შედარებით უკეთესი შეერჩიათ და უკანასკნელ ადგილზე გასული კონკურსანტი "შეჯიბრებიდან" გამოეთიშათ.

საქმე არც ამის შემდეგ წასულა ურიგოდ. ჟიურიმ საუკეთესო შემსრულებლები, ასე ვთქვათ, შემთხვევით, არაპროფესიულ არჩევანს გაარიდა.

აი, უკანასკნელი რამდენიმე და, ალბათ, გადამწყვეტი ტურების წინ კი, არ ვიცი, ვისი სურვილით, ჟიურის არჩევანის უფლება ჩამოერთვა და ეს უფლება - დარჩენილ კონკურსანტთა შორის საუკეთესოების არჩევის უფლება - "ჯეოსელის" აბონენტებს გადაეცათ.

მე ერთი ჩვეულებრივი მსმენელი ვარ. რამდენიმე წელიწადი ვიოლინოს გაკვეთილებს მიტარებდა ცნობილი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის ვაჟი ფარნაოზ სულხანიშვილი. თითქმის მთელი ცხოვრება ჩემი ერთ-ერთი, როგორც ახლა ამბობენ, ჰობი ფირფიტებისა და ჩანაწერების შეგროვება იყო. ეს ყველაფერი, ცხადია, არა და არ ნიშნავს ჩემს პრეტენზიას, მსაჯულის როლი შევასრულო.

აქედანვე ვიტყვი, რომ "ჯეოსელის" აბონენტი არა ვარ, "ჯეოსელის" კი არა, საერთოდაც არ ვარ არავის აბონენტი, არც მჭირდება და, მართალი გითხრათ, იმთავითვე მაღიზიანებდნენ "მარშრუტკებსა" და ავტომობილებში მოლაპარაკე "მობილმოყვარულები". რაც შეეხება საკუთარი აზრის ქონას, ვერც "ჯეოსელი" და ვერც "მაგთი" ვერ ამიკრძალავს.

როგორც ზემოთ ვთქვი, ყველაფერი კარგად მიდიოდა უკანასკნელი რამდენიმე ტურის წინ, სანამ ჟიურის პროფესიული არჩევანის უფლებას ჩამოართმევდნენ. და როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, როცა პროფესიონალებს განზე გასწევენ ხოლმე, ყველაფერი თვდაყირა დადგა. ახლა ამ, ასე თუ ისე, მშვიდი ფრაზების შემდეგ, ჩემი ბოდბისხველი ბიძაშვილის მსგავსად, ცოტა მაგარ-მაგარი გამოთქმები უნდა ვიხმარო.

მაგრამ სანამ ამ გამოთქმებს გამოვიყენებდე, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ კონკურსანტებთან - მე ყველა, რვავე მონაწილეს ვგულისხმობ - არავითარი პრეტენზია არა მაქვს. პირიქით, ამდენი "გაკეთებული" მომღერლის შემდეგ, როგორც იქნა, სიმღერაში პატიოსანი "შეჯიბრების" (ცოტა უხერხული გამოთქმაა ხელოვნების სფეროსთვის, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს) მოწმე გავხდი და, გულახდილად ვიტყვი, რომ თითოეულ მათგანს სიამოვნებით ვუსმენდი, ცხადია, მეტ-ნაკლები ყურადღებითა და ინტერესით.

მაგრამ იმ წუთიდან, როცა კონკურსანტთა ბედი "ჯეოსელის" აბონენტთა ხელში ჩავარდა, უნდა ვთქვა, რომ:

"ჯეოსტარმა" ჩაისვარა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი ამით რამეს დაკარგავს, ან ნიჭი დააკლდება, ან სიმღერა დაავიწყდება, მაგრამ თვითონ კონკურსი გაუფასურდა - მშვენიერი ჩანაფიქრიდან ფარსად გადაიქცა.

არჩევანის უფლება მიანდეს ადამიანებს, რომლებიც, სავსებით შესაძლებელია, პირველი ოქტავის "დოს" მეორისგან ვერ არჩევენ. აღარაფერს ვამბობ, უბრალოდ, მუსიკის სიყვარულზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამის უფლება ორგანიზატორებს ნამდვილად ჰქონდათ. არჩევანი ხომ მხოლოდ "ჯეოსელის" აბონენტებს უნდა გაეკეთებინათ.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, "ჯეოსტარმა" ჩაისვარა. ჩაისვარა ფინალურ შეჯიბრებამდე, რომელიც 30 დეკემბერს უნდა გაიმართოს. ჩაისვარა ქართული მე-ჩემიაობისა და სიბრიყვის გამო, ჩაისვარა ნებისმიერი კონკურსისთვის - სილამაზის იქნება თუ ბოდიბილდინგისა - ელემენტარული წესის უგულებელყოფის გამო: თითო კაცს - თითო ხმა. სიმღერაში შეჯიბრება მობილურებით სწრაფ რეკვასა და, რაც მთავარია, რაც შეიძლება ბევრი ფულის ხარჯვაში შეჯიბრებად იქცა. ნებისმიერ ჯეოსელისტს, სულ ერთია, ცნობილი კომპოზიტორი იქნებოდა თუ ზემოთ ნახსენები პირველი და მეორე ოქტავების ვერგამრჩევი, შეეძლო ასობით "ქულა" ეჩუქებინა თავისი ფავორიტისთვის.

ჩემი ჰობი, შეიძლება ითქვას, "სპეციალიზაცია", თუკი ვინმე ამ "სალაყბოს" კითხულობს, შეამჩნევდა, რომ, ძირითადად, პოლიტიკოსთა თბილი სიტყვებით მოხსენიებაა. ის ფაქტი, რომ მუსიკის სფერომაც მიიპყრო ჩემი ყურადღება, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ჩემ გარდა კიდევ ბევრს გაუჩნდა მსგავსი რამის დაწერის სურვილი.

ეს წერილი ბოლოსწინა ტურში, ჩემი მოკრძალებული აზრით, უსამართლოდ დაჩაგრული გორელი ლიკა შუბითიძის ანდა სხვა ნებისმიერის დასაცავად არ იწერება. მე ჩვენი, მშობლიური სიბრიყვე მაოცებს და გულსაც მწყვეტს. იმ დროს მაგონებს, როცა უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებს ნაცნობებისა და ფულის საშუალებით ყიდულობდნენ. მაშინ კი ჭამდნენ ამით პურს, მაგრამ, იმედი მაქვს, გავა ცოტა დროც და, მე თუ ვერა, იმ ანეკდოტისა არ იყოს, ვიღაცა მაინც იტყვის:

- გამაადგათ, რო?!

ხელოვნურად ნაკეთები, არაბუნებრივი ანუ ბუტაფორია, დისნეილენდი იქნება თუ მაიკლ ჯექსონი, სხვისი რა გითხრათ, ჩემში კი ზიზღს იწვევს.

ამ ჩვენს ახალგაზრდა მომღერლებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი. კაცმა არ იცის, სულ ორი-სამი წლის შემდეგ სად აღმოჩნდება თითოეული მათგანი. იმედია, დრო და ნიჭი ყველასა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ეს უეჭველია და სიტყვა "დაჩაგრულიც", რატომღაც მგონია, რომ უადგილოდ ვიხმარე. აი, თვითონ ტიტული "ჯეოსტარი" კი... დისნეილენდთან და ჯექსონთან შედარება ცოტა უხერხული კია, მაგრამ ჩემთვის ბუტაფორიად იქცა.

დავიჯერო, ეს იყო ორგანიზატორების მიზანი?

ფეხბურთი

დევიდ ბექჰემის საშობაო დაპირება

"არ ვიცი, რატომ მოვიდა საკი"

მადრიდის "რეალის" ინგლისელ ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს გაზეთ As-ის ჟურნალისტები შობის წინა დღეს ეწვივნენ და ეს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვეს. ინგლისის ნაკრების კაპიტანი საახალწლოდ მადრიდის "რეალის" ახალ ტიტულებს გვპირდება.

- დასასრულს უახლოვდება შენი სპორტული კარიერის კიდევ ერთი წელი და მეორე წელი, რაც მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი ხარ. როგორ შეაჯამებდი ესპანეთში გატარებულ პერიოდს?

- ეს წელი საინტერესო, თუმცა, ამავდროულად, ძალიან რთული იყო. ვფიქრობ, მე ჯერ ვერ ვაჩვენე ის თამაში, რომელიც შემიძლია. არც გუნდია წესრიგში. "ბარსელონა" 13 ქულით გვისწრებს. ვიცი, მათი დაწევა გაგვიჭირდება.

- მაგრამ არც შეუძლებელია, რადგან წინა სეზონში თქვენ 18 ქულით უსწრებდით მათ. თუმცა, სეზონი თქვენზე მაღალ საფეხურზე დაასრულეს...

- ცხადია, მათი დაწევა შეიძლება, მაგრამ ძალიან ძნელი იქნება. წინ კიდევ დიდი დროა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

- როგორ ფიქრობ, შეძლებს თუ არა "ბარსელონა" სეზონის ბოლომდე ასეთ დონეზე თამაშს?

- იმედი მაქვს, ვერა. მაგრამ "ბარსელონა" ძალიან კარგი გუნდია, მის შემადგენლობაში შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ. ამ წუთშიც და საერთოდაც მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები ჰყავთ. ეს დიადი გუნდია. მე დიდ პატივს ვცემ მათ მოთამაშეებსაც და მწვრთნელსაც, თუმცა, ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შარშანდელ სეზონში "ბარსას" 18 ქულით ვუსწრებდით, თუმცა, ბოლოს მათ გადაგვისწრეს და მეორე ადგილი დაიკავეს. თუ ჩვენ მაღალ დონეზე ვითამაშებთ, დავეწევით.

- ნეკნის ტრავმა ბოლომდე მოირჩინე?

- თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ, თუმცა, პატარა ტკივილები ჯერაც მაწუხებს.

- როდის ვიხილავთ საუკეთესო ბექჰემს?

- საშობაო არდადეგების დროს ჩემს პირად მწვრთნელთან ერთად ყოველდღე ვივარჯიშებ. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ფიზიკურ ვარჯიშებს, რადგან უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში წესიერად არ მივარჯიშია. იმედი მაქვს, საშობაო არდადეგების შემდეგ, იანვარში ან თებერვალში, ბევრად უკეთეს კონდიციებს მივაღწევ.

- აბა შენ იცი, ბევრი ტურნირი არ ჭამო *(ტრადიციული ესპანური საშობაო ტკბილეულია)!*

- არა, არა. ბევრი უნდა ვირბინო.

- შარშან, იანვარში, ტრავმა მიიღე, რის გამოც შენი აქამდე ყველაზე წარმატებული პერიოდი შეწყდა...

- დიახ, სამწუხაროდ, ასე იყო. ტრავმა ზუსტად შობის შემდეგ მივიღე. წლეულს კი შობის დადგომამდე დავშავდი. ეს ყველაფერი 2004 წელს მოხდა და, იმედი მაქვს, 2005 წელს მსგავსი აღარაფერი შემემთხვევა.

- უკანასკნელი თვეების განმავლობაში მკაცრად გაკრიტიკებდნენ. ხომ არ ფიქრობ, რომ კრიტიკა გადაჭარბებული იყო?

- ჩემთვის ეს ჩვეულებრივი რამაა. ჩემი ცხოვრება ჩემი სახლის ფარგლებს სცილდება. ის საჯაროა და ხანდახან ვერც კი ვხვდები, თუ რატომ ხდება ასე. ადამიანებს არა აქვთ თანაგრძნობა, როდესაც მაკრიტიკებენ. როდესაც ფეხბურთს ვთამაშობ, ბედნიერი ვარ, მაგრამ როდესაც ჩემზე ცუდ რამეებს ლაპარაკობენ, ძალიან ვბრაზდები და ცუდ გუნებაზე ვდგები. ცუდ გუნებაზე არა საკუთარი თავის, არამედ ჩემი ოჯახის გამო. მეცოდება ჩემი ოჯახი, ჩემი მშობლები და ყველა ის ადამიანი, ვინც ჩემს ირგვლივ ტრიალებს. ეს კრიტიკა მათაც ძალიან სტკენს გულს... შესაძლოა, მეტისმეტად ხშირად მაკრიტიკებენ, მაგრამ ამის გამო არ ვწუწუნებ.

- ამბობენ, რომ შენ არ ხარ მადრიდის "რეალისთვის" შესაფერისი მოთამაშე, რომ უწინდელივით ვეღარ თამაშობ...

- ვფიქრობ, ახლა უკეთესი ფეხბურთელი ვარ, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ ვიყავი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ჩემი კრიტიკით ცხოვრობენ და მუდამ ჩემი შეცდომების მოლოდინში არიან. როდესაც წარუმატებელ მატჩს ვატარებ, ეს მყისვე ხდება იმის მიზეზი, რომ თქვან, თუ რა ცუდი ფეხბურთელი ვარ. მაგრამ, გულწრფელად გეტყვით, ეს არ მაღელვებს. ჩემთვის სულ ერთია. უკვე ვიცი, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაზე ცუდი ფეხბურთელი ვარ, ხოლო კარგად თამაშისა და გოლის გატანის შემთხვევაში - საუკეთესო. "ბერნაბეუზე" ორი გოლი გავიტანე საჯარიმო დარტყმით და ყველა აღფრთოვანებული იყო. შემდეგ მატჩში არ გამიტანია და ყველამ შეიცვალა აზრი.

- რას ეუბნები იმ ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შენ "რეალისთვის" შესაფერისი ფეხბურთელი არ ხარ?

- ამ ადამიანებს საერთოდ არ ვუსმენ. მსგავსი საუბრების მოსმენა არ მსიამოვნებს. ფეხბურთის თამაში უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს და ეს არის ჩემთვის მთავარი. ოჯახი და ფეხბურთი ჩემთვის უპირველესი პრიორიტეტებია. ყოველდღე ვიმუშავებ, რათა, რაც შეიძლება, უკეთესად ვითამაშო.

- შეგწევს თუ არა უნარი, ხალხს შენზე ჩამოყალიბებული უარყოფითი აზრი შეაცვლევინო?

- ცხადია. მთავარია, "რეალის" გულშემატკივრები ჩემით კმაყოფილი იყვნენ. დანარჩენი სულ ერთია. ასევე მინდა, რომ ინგლისელები იყვნენ ჩემით კმაყოფილი. პრესისა და ტელევიზიის აზრს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

- რას იტყვი არიგო საკის მოსვლასთან დაკავშირებით?

- მართალი გითხრათ, მისი მოსვლის მიზეზი არ მესმის. არ ვიცი, რატომ მოვიდა საკი. ვფიქრობ, მისი მოწვევის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ სტაბილურობა გვჭირდება, მენეჯერი, რომელიც გადაწყვეტილებებს მიიღებს. საკი ძალიან გამოცდილი ადამიანია და ვფიქრობ, ის ძალიან დაეხმარება გუნდს. თუმცა, ამ სიტუაციაში კარგად ვერ ვერკვევი. მე აქ მოვედი გუნდიდან, რომელშიც მენეჯერი იმავდროულად მწვრთნელიც იყო. ახლანდელი სიტუაცია კი ცოტა უცხოა ჩემთვის...

- მოგწონს "რეალის" ახალი შენაძენი რობინიო?

- ცხადია. ის ჩვენთან მოვა?

- დიახ.

- შესანიშნავია. რობინიო ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როდესაც ბაზელში სიღარიბის წინააღმდეგ ვატარებდით მატჩს. ის ნამდვილი სასწაულია, ფანტასტიკურად ფლობს ბურთს. გარდა ამისა, რობინიო შესანიშნავი ადამიანიც არის. ახალგაზრდა ფეხბურთელთაგან ის, ალბათ, საუკეთესოა მსოფლიოში.

- ზიდანი ძალიან ფრთხილი ადამიანია, მაგრამ მანაც კი თქვა, რომ მიმდინარე სეზონში "რეალი" რაიმე ტიტულს მოიპოვებს. ახალ, 2005 წელს, შენც სთხოვ რომელიმე ტიტულს?

- დიაც, ტიტულის მოგება საუკეთესო საჩუქარი იქნება სეზონის ბოლოს. ზიდანი თავის სიტყვებში ყოველთვის ფრთხილობს. თუ ის ამას ამბობს, ესე იგი, დარწმუნებულია თავის სიტყვებში. დე, მისი პროგნოზი გამართლდეს. ამ რომელიმე ტიტულის მოპოვება ჩემი საახლწლო დაპირება იქნება.

- ჩემპიონთა ლიგა თუ ლა ლიგა?

- ყველაფერი. და თასიც. პატარით ვერ დავკმაყოფილდები. "რეალთან" ერთად რომელიმე ტიტული მოპოვებას ვისურვებდი.

- რატომ თამაშობს ამჟამად "რეალი" ასეთ ნელ ფეხბურთს?

- როდესაც საკუთარ თავში კიდევ უფრო დავრწმუნდებით, მაშინ დაიწყება სწრაფი ფეხბურთიც, რომელსაც ახლა ყველა ელის ჩვენგან. მაშინ შეწყდება კრიტიკაც. ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა არცთუ ისე კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენი დროც მოვა.

- ყველას ძალიან აინტერესებს, რომელ პოზიციაზეა ჯობს შენი თამაში. შენ სად გირჩევნია - მარჯვნივ თუ ცენტრში?

- კარში.

- მაგრამ იქ კასილიასი თამაშობს...

- არა, არა. კასილიასს მარჯვნივ დავაყენებთ. სერიოზულად რომ ვთქვა, ჩემთვის სულ ერთია. თუმცა, მაინც ცენტრში ვამჯობინებ თამაშს, რადგან "რეალში" გადმოსვლის შემდეგ ცენტრში დამაყენეს და წარმატებითაც ვთამაშობდი ამ პოზიციაზე. ორივე ადგილზე მსიამოვნებს თამაში. ამასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ მაქვს.

- ერთხელ ერიქსონმა თქვა, რომ შენ ფლანგზე უნდა ითამაშო. რას ფიქრობ ამასთან დაკავშირებით?

- ამბობენ, რომ ერიქსონის ამ სიტყვებზე გარსია რემონი განრისხებულა. მაგრამ, არ ვიცი... მას მხოლოდ იმის თქმა უნდოდა, რომ მე კარგი ფეხბურთელი ვარ და, ცენტრის გარდა, ფლანგზეც კარგად შემიძლია თამაში. სულ ეს იყო.

- შენ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ხარ...

- სწორედ ესაა მთელი პრობლემა - მსოფლიო განიხილავს, რასაც მე ვაკეთებ. ჩემი ყოველი მოძრაობა უკვე ახალი ამბავია. თუ მე თმას ვიჭრი, თუ ვყიდულობ ახალ საათს, თუ გამაქვს გოლი, თუ არ ვთამაშობ... ახალ ამბად ცხვება თითოეული ჩემი ქმედებისგან. თუ მწვრთნელი ერთ მატჩში სათადარიგოთა სკამზე დამტოვებს, მაშინვე ამბობენ, რომ მე მადრიდის "რეალში" თამაშის ღირსი არ ვარ...

- ეს ხელს გიშლის?

- მე უკვე გითხარით, რომ არ ვწუწუნებ ამის გამო. ორი თვის წინათ, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ერთმა ქერათმიანმა გოგონამ მითხრა, რომ მადრიდში მხოლოდ მაისურების გასაყიდად ჩამოვედი. მე ეს არ მესიამოვნა და ორი დღის შემდეგ გოლი გავიტანე.

- როგორ აღნიშნავ შობას?

- ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ოჯახში. მეუღლესთან, ბავშვებთან და მშობლებთან ერთად. შობა ძალიან ოჯახური დღესასწაულია. მე ძალიან მიყვარს ის.

- "რეალის" გულშემატკივრებისთვის რაიმეს თქმას ხომ არ ისურვებდი?

- რა თქმა უნდა. ყველას ვულოცავ შობას და ახალ წელს. ყველას ვუსურვებ ბედნიერებას.

- კიდევ?..

- თუ ნებას მომცემთ, ყველას მადლობას ვეტყვი იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მათგან მძიმე მომენტებშიც ვგრძნობდით. მადლობა ყველა იმ გულშემატკივარს, რომლებიც შესანიშნავად მექცეოდნენ მაშინაც კი, როცა ცუდად ვთამაშობდი. მადლობა ყველას კლუბში და მადლობა ხალხს ინგლისის ნაკრებში. მათ დამსახურებაა, რომ მე ასე კარგად ვცხოვრობ მადრიდში და ასე კარგად ვთამაშობ "ბერნაბეუზე".

- თანაც, შენი მესამე ვაჟი უკვე მადრიდელი იქნება, არა?

- დიახ. ის მადრიდში დაიბადება და ამის გამო, ინგლისელიც იქნება და ესპანელიც. ასე რომ, ორივე ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ექნება თამაშის უფლება.

- ბედნიერ შობას გისურვებთ!

- თქვენც ასევე. მადრიდის "რეალისთვის" კი ბევრ ტიტულს გისურვებთ.

ალბერტო ლუკე:
"მინდა, ფეხბურთი ჩემს ცხოვრებად დარჩეს"

ლა კორუნიას "დეპორტივოს" ფორვარდ ალბერტო ლუკესთვის 2004 წელი ბედნიერი გამოდგა. 9 ოქტომბერს ესპანეთისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩში (2:0) ფორვარდმა ლამაზი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა თავისი ქვეყნის - ესპანეთისთვის. ლუკემ თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში 2004 წელი გაიხსენა. მან ასევე ისაუბრა თავის გეგმებზე, ოჯახსა და შობაზე.

- როგორი იყო თქვენთვის 2004 წელი, როგორც პროფესიული, ისე პირადი თვალსაზრისით?

- შარშანდელი წელი და განსაკუთრებით შარშანდელი სეზონი "დეპორტივოსთვის" შესანიშნავი გამოდგა. ჩვენ ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედით და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ნახევრფინალამდე მივაღწიეთ. უდავოა, რომ კარგი გამოცდილება მივიღეთ და ფინალთანაც ახლოს ვიყავით. ვიმედოვნებ, არანაკლებ წარმატებას წლეულსაც მივაღწევთ. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, სეზონის დასაწყისი ჩავაგდეთ. რაც შემეხება პირადად მე, იმდენი მოვახერხე, რომ ტრავმები თავიდან ავიცილე და მთელი წლის განმავლობაში ფეხბურთით სიამოვნებას ვიღებდი. წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ მომავალი 12 თვეც ჩემს ცხოვრებაში ტრავმის გარეშე ჩაივლის.

- ცოტა რამ თქვენს საახალწლო გეგმებზე...

- ახლობელთა წრეში ძალიან ცოტა დროს ვატარებ. ჩემი ოჯახი ლა კორუნიადან ათასობით კილომეტრზე - ბარსელონაში ცხოვრობს. ასე რომ, შობა-ახალი წელი ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული დღესასწაულია. ეს ის დროა, როცა ყველა ერთად ვიყრით თავს. მშობლები, მე და ჩემი და, დანარჩენი ნათესავები. წლევანდელი არდადეგები უფრო ხანგრძლივი იქნება. ეს იმიტომ, რომ ესპანეთის ჩემპიონატში საშობაო შესვენება გაგრძელდა. ზამთრის დღესასწაულები ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღეებია მთელი წლის განმავლობაში.

- როგორ აპირებთ დროის გატარებას?

- ჩემი ახლობლები ბებიის სახლში მოიყრიან თავს. ზეიმზე 30-მდე ადამიანი იქნება. სადილის შემდეგ ჩვენ, ტრადიციულად, ვმღერით ესპანურ საშობაო სიმღერებს. ასეთი საღამოები ყოველთვის არაჩვეულებრივად მიმდინარეობს. მაგიდასთან ბევრს ხუმრობენ და, დარწმუნებული ვარ, არც წლევანდელი ზეიმი იქნება გამონაკლისი.

- იღებთ თუ არა ფეხბურთთან ან დაკავშირებულ საჩუქრებს?

- ჩემი მშობლები ფეხბურთის დიდი ტრფიალნი არიან, მაგრამ მე ვერ ვიხსენებ ვერც ერთ საჩუქარს, რომელიც ფეხბურთთან არის დაკავშირებული. ჩემთვის საუკეთესო სიურპრიზი იყო მიხაელ შუმახერის ავტოგრაფით დამშვენებული მაისურა. ფორმულა 1 ძალიან მიყვარს და სწორედ შუმახერს ვქომაგობ.

- რას მოიმოქმედებთ ისეთს, რითაც ფეხბურთს ცოტა ხნით მოწყდებით?

- მე მშობლებს, დას, მეგობარ გოგონას და ნათესავებს ანდორაში შევუერთდები, სადაც ვაპირებთ, თხილამურებით, თოვლის მოტოციკლებით ვისეირნოთ. აი, ეს ნამდვილად გაგვამხიარულებს.

- 31 დეკემბრის ღამეს როგორ გაატარებთ?

- ახალი წლის წინ ყოველთვის ვცდილობ, უახლოეს ადამიანებთან ერთად ვიყო. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ შენთვის ძვირფასი და საყვარელი ხალხის გარემოცვაში იყო. მხოლოდ ასეთ ატმოსფეროშია შესაძლებელი ზეიმიც და დასვენებაც.

- რას ისურვებდით 2005 წელს?

- ჩემს ოჯახსა და მეგობრებს ჯანმრთელობას და სიკეთეს ვუსურვებ. მინდა აგრეთვე, რომ ფეხბურთი ჩემს ცხოვრებად დარჩეს.

"დინამო" ძველებურად დატრიალდება

გიგა გურასაშვილი

საბჭოეთის პირმშოს - ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს", რომელიც დაარსების დღიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, არაერთი დიდი საქმე გაუკეთებია. "დინამო" დღესაც არსებობს და ძველებურად ანგარიშგასაწევი ძალაა. ჩვენში კი... გარკვეული მიზეზების გამო "დინამომ" თითქოს ფუნქცია დაკარგა, სპორტულ ორბიტას ჩამოშორდა, მაგრამ დროებით.
შაბათს კაფე "მსოფლიო სპორტში" გაიმართა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის "დინამოს" პრეზენტაცია. როგორც გვითხრეს, "დინამო" კვლავაც დატრიალდება და ოდინდელ დიდებას დაიბრუნებს - ასეთია კლუბის თავმჯდომარის გოჩა ძასოხოვის პირობა.

გიგიტა ბუხაიძის ფოტო

ელდარ კურტანიძე "დინამომ" საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

და მაინც, სად და როგორ დაიბადა "დინამო"? ისტორია მოვიშველიოთ.

ლენინის თანამებრძოლმა ჩეკისტმა ფელიქს ძერჟინსკიმ 1922 წელს კოლეგა ჩეკისტებს მიზნად დაუსახა ფიზიკური სრულყოფა და სროლაში დაოსტატება. რამდენიმე თვის მერე, 1923 წელს კი გაისმა სპორტისთვის უჩვეულო სიტყვა "დინამო", რაც სსრკ-ში ადამიანის ძალისა და სულის ძლიერების სიმბოლო გახდა. აი, ასე დაიწყო პირველი პროლეტარული სპორტული ორგანიზაციის ისტორია.

ახლა ქრონოლოგიურად მივყვეთ "დინამოს" პირველ ნაბიჯებსაც, ოღონდ არა საბჭოეთის, არამედ საქართველოს მასშტაბით. ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" საქართველოში 1925 წელს დაფუძნდა; 1932 წლის 2 ივლისს სტარტი მიეცა საქართველოს დინამოელ ველოსიპედისტთა გადარბენას - თბილისი-მოსკოვი; 1935 წელს აიგო თბილისის "დინამოს" სტადიონი; 1950, 1953, 1954, 1968 წლებში დინამოელი კალათბურთელები სსრკ ჩემპიონები ხდებიან; 1963 წელს თბილისის "დინამო" კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასს ეუფლება; 1964 და 1978 წლებში თბილისის "დინამო" ფეხბურთში სსრკ ჩემპიონი ხდება; 1970 წელს სოხუმში სასროლეთი კეთდება; 1980 წელი - საფეხბურთო ბაზა ბიჭვინთაში; 1976 წელს თბილისის "დინამოს" სტადიონს რეკონსტრუქცია ჩაუტარეს; 1976 და 1979 წლებში დინამოელები საკავშირო თასს ეუფლებიან; 1981 წელს თბილისის "დინამო" ევროპის თასების მფლობელთა თასს ეუფლება.

მთლიანობაში კლუბის არსებობის განმავლობაში დინამოელთა ყულაბა 40 ოლიმპიური, 43 მსოფლიო, 107 ევროპისა და 460 ყოფილი სსრკ ჩემპიონატების სამივე ხარისხის მედლითაა სავსე.

ეს ის ძირითადი და მნიშვნელოვანი თარიღებია, რომლებითაც "დინამოს" შეუძლია იამაყოს. დღეს კი ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" ახალი მიზნები და ამოცანები აქვს. გოჩა ძასოხოვმა გუშინ სწორედ ის ახალი პროგრამა და პრიორიტეტული მიმართულებები გაგვაცნო, რომლებიც "დინამოს" დაუსახავს მიზნად: სახელმწიფოებრივი ამოცანების განხორციელება და "დინამოს" ეროვნული გამთლიანებისთვის ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა!

"ყველა, ვინც საქართველოში ვცხოვრობთ, ჭირშიც და ლხინშიც ერთად უნდა ვიყოთ, - გოჩა ძასოხოვმა, მიზეზთა გამო, რუსულად წარმოთქვა სიტყვა. - 13 მაისს, როდესაც თბილისის "დინამო" თასების თასს დაეუფლა, მას ერთნაირად აღნიშნავდნენ როგორც სოხუმში, ისე ცხინვალში. დღეს კვლავ ერთად უნდა ვიყოთ".

რაც შეეხება ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" პრიორიტეტებს, კლუბის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "დინამო" ყურადღებას დაუთმობს მასობრივი სპორტის განვითარებას, ბაზების აღდგენას, მათ მიზნობრივ გამოყენებასა თუ დატვირთვას. შერჩევის მკაცრი კრიტერიუმები დაწესდება იმ სპორტსმენთათვის, რომლებსაც დინამოელობა სურთ.

"კლუბში გვეყოლება პირველი კატეგორიის სპორტსმენები, ისინი, ვინც ოლიმპიურ სარბიელზე უნდა გავიდნენ. კლუბში იქნებიან მეორე კატეგორიის სპორსტმენებიც - ახალგაზრდების სახით; მესამე კატეგორიის სპორტსმენები კი ბავშვები იქნებიან. ამასთან, თითოეულს, მათ შორის ვეტერანებსაც, დაენიშნებათ ხელფასი", - ვითარებაში გვარკვევს გოჩა ძასოხოვი.

"მსოფლიო სპორტში" თავშეყრილ სპორტულ სამყაროს კლუბის ახალი დროშა და ლოგოც წარუდგინეს. კლუბის გამგეობამ ახალი წოდება შემოიღო - "საპატიო დინამოელი". ამ წოდების მატარებელთა ვინაობა იმავე წვეულებაზე შევიტყვეთ. 15 "დინამოელი", რომელთა უმეტესობა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონია, წოდებასთან ერთად, 500-500 ლარითაც დაჯილდოვდა.

რამდენიმე ცნობილ სპორტსმენს გადაეცა საპატიო დიპლომი და მედალი.

"დინამოს" ხელმძღვანელობას არც მედიის წარმომადგენლები დარჩენია უყურადღებოდ. "დინამოს" წევრობის სტატუსი, სხვებთან ერთად, "24 საათსაც" გადაეცა.

2004 წელი საერთაშორისო ფეხბურთში

ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის გამარჯვება წლის ყველაზე დიდი სენსაცია იყო.

ეს ფეხბურთის არსებობის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული სენსაცია გახდა. საბერძნეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც ადრე ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ერთი გამარჯვებაც კი არ ჰქონდა მოპოვებული, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადებიუტო მატჩში, ჯერ ტურნირის მასპინძელი პორტუგალია დაამარცხა, ხოლო შემდეგ ანრი დელონეს ჯილდოც დაისაკუთრა. ფინალში ბერძნებმა ხელმეორედ დაამარცხეს პორტუგალიის გუნდი.

წლის დასაწყისში ბერძენთა გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე 1-100-ზე იყო შეფასებული. თუმცა, ელინებმა მოახერხეს და მე-6 შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, რამაც მათ საშუალება მისცა, პორტუგალიაში პირდაპირ, ყოველგვარი გადათამაშების გარეშე გამგზავრებულიყვნენ. ბერძნებმა ქვეჯგუფში ესპანელებს აჯობეს და აიძულეს, გადათამაშებაში ნორვეგიის გუნდი დაემარცხებინათ. 2004 წელი ბერძნებმა ამხანაგურ მატჩებში გამარჯვებებით დაიწყეს. მთ ჯერ ბულგარეთი დაამარცხეს, შემდეგ კი - შვეიცარია, თუმცა, აპრილში გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს ჰოლანდიელებისგან - 0:4.

პორტუგალიაში სასტარტო შეხვედრაში ბერძნებმა მასპინძლები - 2:1 დაამარცხეს. მატჩის მე-7 წუთზე ანგარიში გეორგიოს კარაგუნისმა გახსნა. მეორე ტაიმში კი ანგელოს ბასინასმა პენალტი გამოიყენა და თანაგუნდელთა წარმატება უფრო თვალსაჩინო გახადა - 2:0. პორტუგალიელებმა ისღა მოახერხეს, რომ შეცვლაზე შემოსული კრიშტიანუ რონალდუს თავგამოდებული თამაშით ერთი ბურთი გაქვითეს.

ორივე ეს გუნდი ჯგუფიდან გავიდა. ამასთან, პორტუგალია პირველ ადგილზე დამკვიდრდა, რადგან ბერძნებმა მესამე ტურში რუსებისგან იწვნიეს მარცხი - 1:2. სხვა ჯგუფში ზინედინ ზიდანის დუბლმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში ფრანგებს ინგლისელებთან მსტჩში გამარჯვება არგუნა - 2:1. ამის მიუხედავად, მეოთხედფინალში ორივე გუნდი გავიდა. მათ ჯგუფურ ტურნირში შვეიცარიისა და ხორვატიის ნაკრებებს გაუსწრეს.

შვედეთისა და დანიის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა მესამე ტურის შეხვედრა ფრედ - 2:2 დაასრულეს, რამაც ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის საშუალება მისცა. იტალიელები კი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. არადა, მათ ბულგარელთა დამარცხება მოახერხეს და საინტერესოა, რომ ჯგუფში არც ერთი თამაში არ წაუგიათ. ამის მიუხედავად, "სკუადრა აძურა" მაინც შინ გაემგზავრა. D ჯგუფში კი ჩეხებმა ჰოლანდიას მოუგეს. არადა, მატჩის მსვლელობისას - 0:2 აგებდნენ. თუმცა, მეოთხედფინალში ორივე გუნდი გავიდა. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ ტურნირის დებიუტანტმა ლატვიამ გერმანიის ნაკრებს ქულა აართვა - 0:0.

პირველი მეოთხედფინალური მატჩი სუპერთვალსასეირო გამოდგა. პორტუგალიის ნაკრებმა ინგლისელებთან ბოლო მომენტში გაათანაბრა ანგარიში და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. მასპინძლებს "ვერცხლის გოლის" წესით მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ 115-ე წუთზე ფრენკ ლემპარდმა ანგარიში გაათანაბრა. შედეგად, გამარჯვებულის გამოსავლენად თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია დაინიშნა. მასპინძელთა მეკარე რიკარდუმ დარიუს ვასელის დარტყმა მოიგერია და შემდეგ თავად გამოიყენა პენალტი, რომელიც ამ მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა - 6:5. პორტუგალია ნახევარფინალში გავიდა. საბერძნეთმა დაამარცხა ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი - 1:0, ჰოლანდიამ პენალტების სერიაში სძლია შვედეთს, ხოლო ჩეხებმა გაანადგურეს დანია - 3:0. იმ მატჩში "ლივერპულის" ფორვარდმა მილან ბაროშმა დუბლი შეასრულა. საერთო ჯამში მან 5 გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა.

თუმცა, ასეთი შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, ჩეხებმა ფინალის გზა ბერძნებს დაუთმეს. თამაშობდნენ რა ტრავმირებული ლიდერის პაველ ნედვედის გარეშე, კარელ ბრიუკნერის გუნდმა დამატებით დროში ტრაიანოს დელასს საშუალება მისცა, "ვერცხლის გოლი" გაეტანა. პორტუგალიამ კი - 2:1 დაამარცხა ჰოლანდიის ნაკრები. ამის შემდეგ მთელი პორტუგალია საყვარელი გუნდის მესამე გამარჯვებას დიდი სიხარულით აღნიშნავდა.

ფინალში, რომელიც პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართა, ბერძნებმა - 1:0 მოიგეს. ერთადერთი გოლი მატჩის 57-ე წუთზე ანგელოს ხარისტეასმა გაიტანა. საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. პირველად ანრი დელონეს პრიზი თავს ზემოთ ასწია გუნდის კაპიტანმა თეოდოროს ზაგორაკისმა, რომელიც მოგვიანებით ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

სულ მალე ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისკენ იქნა მიმართული. თანაც, ევროპის უძლიერესმა გუნდებმა ახალი მწვრთნელები მიიწვიეს. ჰოლანდიისა და გერმანიის ნაკრებ გუნდებს წარსულში ლეგენდარული ფორვარდები, შესაბამისად მარკო ვან ბასტენი და იურგენ კლინსმანი ჩაუდგნენ სათავეში. იტალიელები და ესპანელები უფრო გამოცდილ სპეციალისტებს ენდნენ - მარჩელო ლიპისა და ლუის არაგონესს. სამფეროვნები კი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა რაიმონდ დომენეკმა ჩაიბარა. მეორე მხრივ, სიახლე ის იყო, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულეს სახელოვანმა ფეხბურთელებმა ზინედინ ზიდანმა, პაველ ნედვედმა და ლუიშ ფიგუმ.

საინტერესოა, რომ სანაკრებო დონეზე შეხვედრები ყოველთვის ამოუცნობია. მაგალითად, პორტუგალიური ტრიუმფიდან სულ რაღაც ორ თვეში საბერძნეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სადებიუტო მატჩი წააგო ალბანეთში - 1:2. ოქტომბერში კი ლიხტენშტაინის ნაკრებმა, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში აგებდა, ფრედ დაასრულა მატჩი პორტუგალიის გუნდთან - 2:2, ხოლო შემდეგ კი ლუქსემბურგში გაანადგურა მასპინძლები - 4:0. ეს იყო პირველი საგარეო გამარჯვება ლიხტენშტაინის გუნდისთვის. იმავე დღეს ოფიციალურ მატჩებში პირველი გამარჯვება იზეიმა ანდორამ, რომელმაც მაკედონია დაამარცხა. რუსეთმა კი გამანადგურებელი მარცხი იწვნია პორტუგალიაში - 1:7.

დღესდღეობით, შესარჩევ ჯგუფებს ლიდერობენ: ჰოლანდია, უკრაინა, პორტუგალია, ირლანდია, იტალია, ინგლისი, სერბეთი და შვედეთი. საინტერესოა, რომ აღარ დარჩა გუნდი, რომელსაც შესარჩევ ციკლში ქულა არ ჰქონდეს დაკარგული.

ქალათბურთი

სანტა, დამიბრუნე შაკი!

ო`ნილი ახლა უკვე "ლეიკერსის" მეტოქეა.

სანდრო ნავერიანი

იყო დრო, როდესაც ისინი ერთად იბრძოდნენ გამარჯვებისთვის.

იყო დრო, როდესაც ისინი ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ.

იყო დრო, როდესაც ისინი უძლიერესები იყვნენ.

იყო დრო, როდესაც ისინი ჟურნალისტების კითხვებს ერთად პასუხობდნენ.

მოკლედ, იყო და აღარ არის.

რა იყო?

რა იყო და, ის იყო, რომ შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი რვა სეზონის განმავლობაში "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" წარმატებაზე ზრუნავდნენ. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა: შაკი წავიდა, ბრაიანტს კი მარტოს უხდება კალიფორნიული გრანდის თრევა. არადა, "ლეიკერსმა" შაკილ ო`ნილისა და ფილ ჯექსონის წასვლის შედეგად ორი მესამედი დაკარგა.

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი სათამაშო დღე იყო. ბევრი არაფერი, სულ რაღაც ორი შეხვედრა ჩატარდა. ერთი ინდიანაპოლისში, "კონსეკო ფილდ ჰაუსში", მეორე - ლოს ანჯელესში, "სთეიფლზ ცენტრში".

"კონსეკო ფილდ ჰაუსში" ამ საკალათბურთო სასახლის ბატონ-პატრონი "ინდიანა პეისერზი" და ბეჭდების მბრძანებელი "დეტროიტ პისტონზი" წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ.

"პეისერზ"-"პისტონზის" მატჩს თან სდევდა გარკვეული ინტრიგა. თუ გახსოვთ, ამ გუნდების წინა შეხვედრა საშინელი ჩხუბით დასრულდა, რის შემდეგაც რამდენიმე ინდიანელი კალათბურთელი გაასამართლეს. ზოგს დისკვალიფიკაცია მისცეს, ზოგიერთს კი ციხეში ჩასმითაც დაემუქრნენ. გუშინდელმა მატჩმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა და გამარჯვებულიც უმტკივნეულოდ გამოვლინდა. "დეტროიტ პისტონზმა" "ინდიანა პეისერზი" ხუთი ქულის სხვაობით - 98:93 დაამარცხა.

ახლა კი იმაზე, თუ რა ხდებოდა ლოს ანჯელესში, "სთეიფლზ ცენტრის" პარკეტზე.

"ლოს ანჯელეს ლეიკერსი"-"მაიამი ჰიტის" მატჩის წინ კობი ბრაიანტმა განაცხადა, რომ შაკილ ო`ნილს აუცილებლად გადაეხვეოდა, მაგრამ ტელემაყურებელი ვერ ელირსა ამ სიამოვნებას. შესაძლებელია, კობი საერთოდაც არ გადახვეოდა შაკს, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ეს ტელეკამერებს მიღმა მოხდა. კობიმ ასევე თქვა, რომ გულშემატკივარი შაკილ ო`ნილს ოვაციით უნდა შეხვდეს, რადგან შაკმა ბევრი გააკეთა კალიფორნიული გუნდისთვის.

შაკილ ო`ნილი რომ ლოს ანჯელესში ძალიან ენატრებათ, ამაზე საუბარი ზედმეტია. უნდა გენახათ ტრანსპარანტები, რომლებიც "ლეიკერსის" გულშემატკივრებს ჰქონდათ. ერთ-ერთზე, რომელიც თეთრკანიან პატარა გოგონას ეჭირა, ეწერა: santa, bring back shaq. სანტა, შაკი დამიბრუნეო!

მოკლედ, ლოს ანჯელესს ისევ ძალიან უყვარს შაკილ ო`ნილი და, რაც მთავარია, უნდა, რომ ის "ლეიკერსში" დაბრუნდეს.

აღსანიშნავია, რომ "ლეიკერსსა" და "ჰიტში" ბევრი ისეთი კალათბურთელია, რომლებიც ადრე ერთმანეთის გვერდით თამაშობდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ შაკილ ო`ნილის ტრანსფერის შედეგად სამი მაიამელი კალათბურთელის კარიერა ლოს ანჯელესში გარძელდა.

მატჩი ფანტასტიკურად დაიწყო. რა ხანია, კალათბურთს ვუყურებ და ასეთი პირველი მეოთხედი არ მინახავს. ოთხი წუთიც არ გასულიყო და ანგარიში 18:12 იყო. კობი ბრაინტმა პირველ ოთხ წუთში სამი სამქულიანი ტყორცნა შეასრულა და სამივე ჩააგდო. კობისთან ერთად თითო სამქულიანი ჩააგდეს ჩაკ ატკინსმა და ჯამაინ ჯონსმა. მაიამელები კი "ლეიკერსთან" შედარებით ვერ იყვნენ შედეგიანები, თუმცა, მთელი მატჩის განმავლობაში ქულებს შორის დიდი განსხვავება არ ყოფილა.

მატჩი ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ აშკარად ჩანდა: "მაიამი ჰიტი" "ლეიკერსს" ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც ჯობდა. როგორც ჩანს, "ლეიკერსს" რუდი ტომიანოვიჩის ხელი დაეტყო.

საბოლოოდ შეხვედრა გადაიზარდა ოვერტაიმში, სადაც მაიამელებმა ორი ქულის სხვაობით დაამარცხეს მასპინძლები.

TV-სპორტი

ორშაბათი. 8 ნოემბერი

НТВ+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ბოლტონი"
14:10 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 1997-1998. "ბარსელონა" - "დინამო" (უკრაინა)
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ფულჰემი"
18:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "შახტიორი"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:00 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 1998-1999. "იუვენტუსი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
22:45 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ინტერი"

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:15 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK JETS" - "NEW ENGLAND PATRIOTS"
13:35 საჭადრაკო მიმოხილვა
14:05 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები საფრანგეთსა და იტალიაში
14:30 "არტეფაკტი". ფეხბურთი
15:15 ტაეკვონდო. "პეტრე დიდი თასი" სანქტ-პეტერბურგში. პირველი ნაწილი
16:30 "რუსული თასი". ეროვნული საჩოგბურთო პრემია
17:20 "რკინის ფაქტორი". "ოცნების თასი" არმრესტილნგში
17:50 რუსული საჩოგბურთო სეზონი. "უიმბლდონი - 2004". ქალები. ნახევარფინალი. ლინდსეი დევენპორტი - მარია შარაპოვა. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
19:45 "ძვირფასი ქალი". ეძღვნება ლარისა ლატინინას იუბილეს
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "დიდი რინგი". "წლის საუკეთესო ორთაბრძოლები". არტურო გატი - მიკი უორდი
23:10 ბოულინგი. მსოფლიო თასი სინგაპურში
00:15 ახალი ამბები
00:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. კანადა - შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

EUROSPORT
10:30 ექსტრემალური სპორტი. LG აქტიური სპორტი
11:30 მძლეოსნობა. იააფ-ის დიდი პრიზი მონაკოში
12:30 ოლიმპიური თამაშები - Olympic Extra
13:30 საბალო ცეკვები. მსოფლიო თასი მოსკოვში
14:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. ესპანეთი - ბელგია
15:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. პორტუგალია - რუსეთი
16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი ესპანეთში. "ბარსელონა" - "აიაქსი"
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთისა და ინგლისის კლუბები. საუკეთესო მატჩები
20:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო წრე. გერმანია - საფრანგეთი
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო
22:30 მულტისპორტი
23:00 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
02:00 ფრისტაილ მოტოკროსი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
02:30 პლანეტის უძლიერესი ადამიანები. დიდი პრიზების სუპერსერია რუსეთში

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya-u@gol.ge.

USAID

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს ენერგოსექტორისთვის გაღებული თანხები

დაპირებისამებრ, "24 საათი" გთავაზობთ საქართველოს ენერგეტიკისათვის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გაღებული დახმარებების დეტალურ ნუსხას. ეს დახმარება იმდენად მასშტაბურია, რომ არ გამოვრიცხავთ, შესაძლოა, რომელიმე კომპონენტში კონკრეტული ღონისძიებების თაობაზე დაწვრილებით "24 საათი" ინფორმაციას არ ფლობდეს.

1. 6 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარი - 1997.

პროექტის მიზანი იყო ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაცია და პრივატიზაცია, საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმის ჩათვლით, ენერგიის მიწოდების სისტემის რესტრუქტურიზაცია.

2. 5 მილიონ 900 ათასი აშშ დოლარი - 1998.

პროექტის მიზანი იყო სისტემური ეკონომიკური რეფორმის მხარდაჭერა. სააგენტოს რესურსები გამოიყენებოდა ელექტროენერგეტიკის, გაზისა და ნავთობის ქვესექტორებში სახელმწიფო და კერძო კორპორაციების დაფუძნებისა და რესტრუქტურიზაციის ხელშესაწყობად. საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმის მხარდაჭერა ფოკუსირებული იყო ენერგეტიკაში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდაზე. დახმარებამ განამტკიცა ახალდაფუძნებული კომპანიების კომერციული საქმიანობა განახლებული აღმრიცხველი და გადასახადების შემგროვებელი სისტემების და საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შემოღებით.

3. 15 მილიონი აშშ დოლარი - 1999.

პროექტის მიზანი იყო ისეთი კლიმატის შექმნა, რომელიც მოიზიდავდა კერძო სექტორს როგორც მონაწილეობის, ასევე მფლობელობის ფორმითაც რესურსების მართვისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებით; აგრეთვე, ენერგოსექტორის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება კაპიტალური და საოპერაციო რესურსების შემდგომი გაზრდით. ჩატარდა ზუგდიდის გეოთერმული აუზის რეაბილიტაციის პროექტის ანალიზი.

4. 6 მილიონ 150 ათასი აშშ დოლარი - 2000.

პროექტის მიზანი იყო რუსთავის ელექტროგამანაწილებელი საწარმოს მომსახურების სფეროში პილოტ-პროექტის დაწყება. ამ პროექტმა წარმატებას მიაღწია აღრიცხვისა და გადასახადების შეგროვების სისტემებში გადასახადების გაზრდის მიზნით ჩატარებულ, არსებული ელექტრომრიცხველების განახლებისა და ახალი მრიცხველების დამონტაჟების სამუშაოებში. სააგენტომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის დააფინანსა "უმცირესი დანახარჯების გეგმა" ენერგოგენერაციის ახალი წყაროებისა და არსებული წყაროების უმცირესი დანახარჯებით განახლების ხელშესაწყობად.

5. ენერგეტიკის სექტორის განვითარება - 2001 წლიდან დღემდე.

პროექტის მიზანია საქართველოს ენერგეტიკაში აღრიცხვიანობის მოწესრიგება. გარდა ამისა, სააგენტო ახორციელებს ე.წ. "ზამთრის გათბობის პროგრამას", რომლის მიზანიც სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ზამთარში გათბობაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაა. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოსისტემის" მენეჯმენტი ხორციელდება. დაიწყო და 2003 წლამდე გასტანა "თბილგაზის" პრივატიზაციის ხელშეწყობის პროექტმა.

6. 11 მილიონი დოლარი - 2002.

"ზამთრის გათბობის დახმარების პროექტი" და 2002-დან 2003 წლის ნოემბრამდე ხორციელდებოდა ენერგოსექტორის რეფორმირების პროექტი. "ენერგოეფექტურობის პროექტი" - მოხდა ნოუჰაუს გადაცემა ენერგორესურსების დაზოგვის საკითხებში.

7. 35 მილიონი დოლარი - 2003 წელს დაწყებული ღონისძიებებისთვის.

2003 წლის თებერვალში რატიფიცირებული, 4-წლიანი "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის პროგრამა". თავიდან ამ პროგრამისთვის 35 მილიონი დოლარი გამოიყო. აქედან, 16 მილიონი - ჰიდროსადგურების რეაბილიტაციას - იმერეთის 5 ჰესის, (რიონი, ლაჯანური, შაორი, ტყიბული და ძევრულა) უნდა მოხმარებოდა, მაგრამ, ქვესადგურებში შაშიაშვილის შევარდნების გამო, ამერიკის მთავრობამ პროექტი შეაჩერა. ამის შემდგომ, ეს პროექტი ამ მიზნისთვის გათვალისწინებული თანხით შეიკვეცა და, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის, რა მიმართულებისთვის მოხდება მისი გამოყოფა.

ამ თანხის დანარჩენი ნაწილი შემდეგი მიმართულებებისთვის იხარჯება: გსეკ-ის მართვის მენეჯმენტისა ხარჯები, ზამთრის გათბობის დახმარების პროგრამა, თემთა მობილიზების პროექტი, რამდენიმე სოფელში განახლებადი ენერგიის წყაროების პროგრამა (ეს კომპონენტი, ჯერჯერობით, მხოლოდ იგეგმება).

ამ თანხის ფარგლებში, ერთი თვის წინ საქართველოს ბანკთან ერთად ხელი მოეწერა "საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება ენერგოსექტორის დაკრედიტების მიზნით". აქედანვე ფინანსდება ენერგეტიკის მინისტრის მრჩეველი საკონსულტაციო კომპანია "ქორ-ინტერნეიშენალიც". თუმცა, თანხის უდიდესი წილი მაინც ზამთრის გათბობაზე და გსეკ-ის მართვაზე მოდის.

როცა ენერგომომხმარებელთა უფლებები ირღვევა

პუბლიკაციაში განხილულია ორი კონკრეტული საკითხი. ერთი ეხება სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებისაგან უძრავი ქონების უკვე დაზარალებულ ახალ მფლობელებს, აგრეთვე, იმათაც, ვინც უძრავი ქონების შეძენას აპირებს. მეორე კი, ზოგადად, ეხება ელექტროენერგიის მომხმარებელთა მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თემას. პუბლიკაციაში განხილული საკითხები, სხვა საჭირბოროტო პრობლემებთან ერთად, მიანიშნებს რეფორმების გატარების აუცილებლობაზე დარგის რეგულირების სფეროში.

ვახტანგ ზარქუა

უპირველესი ამოცანა

ცნობილია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვას ბუნებრივი მონოპოლიის სფეროებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სახელმწიფო ვალდებულია დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით დაარეგულიროს ურთიერთობები მომხმარებელსა და მონოპოლისტ კომპანიას შორის, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. მომხმარებელთა უფლებების დაცვა კიდევ უფრო დიდ, ანუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებად ქვეყნებში, რადგან დემოკრატიული სისტემა, რომელმაც მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება და დაცვა უნდა უზრუნველყოს, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაც უკიდურესად მძიმეა. სწორედ ასეთ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება დღეს საქართველო. აღნიშნული გარემოებები და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები დღის წესრიგში მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული მოქმედი კანონების, სემეკ-ის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვის საკითხს აყენებს.

ენერგოეფექტურობის ფონდმა 2003 წლის 12 დეკემბერს ოფიციალური წერილით სთხოვა სემეკს, რომ თავისი დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვის გეგმა შეიმუშაოს და ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო ორგანიზაციების მონაწილეობით, აღნიშნული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების კანონმდებლობასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი დაიწყოს. სასიხარულოა, რომ სემეკ-ის ახალმა შემადგენლობამ ეს პროცესი დაიწყო, თუმცა ზომაზე მეტი სიფრთხილე და ნელი ტემპი აშკარად შეიმჩნევა. ამას გარკვეული გარემოებები განაპირობებს. ვეცდებით, ისინი შემდეგში განვიხილოთ.

ამჟამად კი, გვსურს, თქვენი ყურადღება ორ საკითხს მივაპყროთ:

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების უსაფუძვლო მოთხოვნები - გამოძალვის თუ უცოდინარობის შედეგი?

სემეკ-ის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, მთლიანად გამოეცალა საფუძველი სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების, მათ შორის - "თელასის", ჩვენი აზრით, უსამართლო მოთხოვნებს უძრავი ქონების ახალი მფლობელების მიმართ, ძველი მფლობელების მიერ დაგროვილი გადასახადების გადახდის თაობაზე.

დავის საგანი იყო უძრავი ქონების ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება, რომლის ანაზღაურებას "თელასი" აღნიშნული ქონების ახალი მფლობელისაგან ითხოვდა. დავის საგანი გახლდათ, აგრეთვე, "თელასის" მიერ უძრავი ქონების ახალი მფლობელისათვის, გადაუხდელობის მოტივით, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტაც.

"თელასთან" დაწყებულმა ამ კონკრეტულმა დავამ წელიწადი და შვიდი თვე გასტანა. ნიშანდობლივია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ "თელასი", გარკვეული პერიოდის მანძილზე, არ ასრულებდა სემეკ-ის ზემოაღნიშნულ დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებას. ამ ერთი ფაქტიდან გამომდინარეც ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი მძიმე ვითარებაა დღეს საქართველოში, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ახლა, აღნიშნული დავის მაგალითზე, დასმული პრობლემა დეტალურად განვიხილოთ.

უძრავი ქონების ძველი მფლობელის მიერ დაგროვილი ვალების გადახდას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები ადრე იმავე ქონების ახალი მფლობელისაგან ითხოვდნენ, მიუხედავად იმისა, ახალ მფლობელს ნაკისრი ჰქონდა თუ არა აღნიშნული ვალების გადახდის ვალდებულება. ენერგოკომპანიები, თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებისას, სემეკ-ის 2001 წლის 20 სექტემბრის N10 დადგენილების 21-ე მუხლის მეორე პუნქტს ეყრდნობოდნენ, სადაც აღნიშნულია, რომ "საცხოვრებელი ბინის ან დაკავებული ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, მხარეთა შეუთანხმებლობა საცხოვრებელი ბინის ან დაკავებული ტერიტორიის ახალ მფლობელს არსებული დავალიანების გადახდისაგან" არ ათავისუფლებს. ამ ნორმის განმარტებისას, კომპანიების მთავარი არგუმენტი ყოველთვის ის იყო, რომ გადასახდელი თანხა ერიცხება აბონენტს ანუ უძრავ ქონებას და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ გადასახადს ვინ გადაიხდის - აღნიშნული უძრავი ქონების ძველი თუ ახალი მფლობელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, მათი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა.

ენერგოკომპანიების წარმომადგენლები უძრავი ქონების ძველი მფლობელების დავალიანების იმავე ქონების ახალი მფლობელებისაგან ამოღების მიზნით, ხშირად სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ. კერძოდ, ისინი უძრავი ქონების ახალ მფლობელებს უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ, ამბობდნენ რა, რომ უძრავი ქონების ახალი მფლობელი ვალდებული იყო, ენერგოკომპანიაში ქონების ძველი მფლობელის დავალიანების არსებობის შესახებ აღნიშნული ქონების ყიდვამდე გაერკვია და ნასყიდობის ხელშეკრულება მხოლოდ ძველი მფლობელის მიერ აღნიშნული დავალიანების დაფარვის შემდეგ გაეფორმებინა.

კომპანიები, აგრეთვე, უძრავი ქონების ახალი მფლობელებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას მიმართავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონების ახალი მფლობელები უშუალოდ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს პატიოსნად იხდიდნენ.

მაგალითად, "თელასი" მოსახლეობაში 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილ ვალს, როგორც "მიმდინარე გადასახადს", გარკვეულ პერიოდზე ანაწილებს. თუ უძრავი ქონების ახალი მფლობელი იმავე ქონების ძველი მფლობელის რესტრუქტურიზებულ ვალს არ გადაიხდის, "თელასი" ქონების ახალ მფლობელს ელექტროენერგიის მიწოდებას უწყვეტს.

პირველი არგუმენტი სადისტრიბუციო კომპანიების ამ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ: სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ნებისმიერი მხარე არის იურიდიული ან ფიზიკური პირი და არა აბონენტი, რომელშიც ენერგოკომპანიები პირის უძრავ ქონებას მოიაზრებენ. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ტვირთი ანევს არა აბონენტს, როგორც უძრავ ქონებას, არამედ მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონების მფლობელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. აქედან გამომდინარე, გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის თავის წილ პასუხისმგებლობას პირი ქონების გასხვისებით ვერ აიცდენს, თუ ამ პასუხისმგებლობას აღნიშნული ქონების მყიდველი ან სხვა პირი ნებით არ იკისრებს.

მეორე, უძრავი ქონების მყიდველს კანონით არ ევალება, ენერგოკომპანიაში წინასწარ არკვიოს აღნიშნული ქონების მფლობელის დავალიანების საკითხი. უძრავი ქონების მყიდველისათვის კანონით საკმარისია გაარკვიოს, მისთვის საინტერესო ქონება დაყადაღებულია თუ არა. ნასყიდობის არც ერთი ხელშეკრულება ე. წ. ყადაღის შესახებ ცნობის გარეშე არ ფორმდება. თუ ქონება დაყადაღებულია, მაშასადამე, მის გამყიდველს მესამე პირის (მაგალითად, ენერგოკომპანიის) მიმართ ფინანსური ან ქონებრივი ვალდებულება გააჩნია და ის ვერ მოახდენს დაყადაღებული ქონების გასხვისებას მანამ, სანამ აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს.

დაყადაღების მექანიზმი არის სწორედ ის სამართლებრივი საშუალება, რითაც, ერთი მხრივ, უძრავი ქონების მყიდველს შეუძლია გაერკვეს აღნიშნული ქონების გამსხვისებლის ფინანსურ ვალდებულებებში ენერგოკომპანიის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ კი, ენერგოკომპანიას შეუძლია, უძრავი ქონების გამსხვისებელი აიძულოს, მის მიმართ არსებული დავალიანება დაფაროს.

ენერგოკომპანიები ურჩი გადამხდელის ქონების დაყადაღებას არ მიმართავდნენ, რადგან მათთვის ამის გაკეთება გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე უძრავი ქონების ძველი მფლობელების გადასახადების ახალი მფლობელებისაგან ამოღება.

მესამე არგუმენტი: მონოპოლისტ კომპანიას უფლება არა აქვს, მომსახურება შეუწყვიტოს თავის იმ მომხმარებელს, რომელიც პატიოსნად იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს და უარს აცხადებს სადავო, მით უმეტეს, სხვისი გადასახადების გადახდაზე.

წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს სრულფასოვანი კონკურენცია. კომპანიის მიერ მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, აღნიშნულ მომხმარებელს შესაძლებლობა ექნებოდა, მომსახურება მიეღო რომელიმე სხვა კომპანიისაგან, თუ ის მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ასევე პატიოსნად გადაიხდიდა. მომსახურების მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს აღნიშნული ტიპის მომხმარებელს მონოპოლისტი კომპანიისგანაც, რათა მაქსიმალურად იქნეს დაცული კონკურენციის მსგავსი პირობები ბუნებრივი მონოპოლიის სფეროში. საკუთარი მოთხოვნის სამართლიანობის დადგენა და დაკმაყოფილება მონოპოლისტ კომპანიას მხოლოდ სემეკ-ის ან სასამართლოს მეშვეობით შეუძლია.

მეოთხე არგუმენტი: იმისათვის, რომ კომპანიის მოქმედება კანონმდებლობის ჩარჩოში მოექცეს, საჭიროა, მან უძრავი ქონების ახალ მფლობელს "მიმდინარე გადასახადის" სახით დაარიცხოს მხოლოდ და მხოლოდ ამ მფლობელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი, ხოლო ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება ქვითრის ცალკე გრაფაში ასახოს. უძრავი ქონების ახალ მფლობელს ამით შესაძლებლობა ექნება, კომპანიისაგან მომსახურება მხოლოდ მისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის შესაბამისად მიიღოს. კომპანიამ კი თავისი მოთხოვნა, აღნიშნული უძრავი ქონების ძველი მფლობელის ვალის გადახდის თაობაზე, სემეკ-ის ან სასამართლოს მეშვეობით უნდა დაიცვას.

ახლა კი იმის გარკვევა ვცადოთ, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი სემეკ-ის 2004 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში.

2001 წლის 20 სექტემბრის N10 დადგენილების 21-ე მუხლის მეორე პუნქტს სემეკ-ი შემდეგნაირად განმარტავს: "პუნქტში არსებული ჩანაწერი "მხარეთა შეუთანხმებლობა არ ათავისუფლებს მხარეს არსებული დავალიანების გადახდისაგან", თავის თავში არ გულისხმობს დავალიანების დაფარვის ვალდებულების აუცილებელ არსებობას. მოცემულ პუნქტში ჩადებულია ის აზრი, რომ მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე აღნიშნული ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებული არ იქნება, თუ ვალდებულება არსებობს. მოცემული დებულება მხარეს არც ვალდებულების შესრულებას აკისრებს და არც მისი შესრულებისაგან ათავისუფლებს." სემეკ-ის ეს განმარტება იმას ნიშნავს, რომ **უძრავი ქონების ახალი მფლობელი ვალდებული არ არის, ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადი გადაიხადოს, თუ მან ეს ვალდებულება თავად არ აიღო.**

საქართველოში ყოველდღიურად უამრავი უძრავი ქონება იყიდება. ადვილი წარმოსადგენია, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები რა რაოდენობის მომხმარებელს ახდევინებდნენ სისტემატურად თანხას კანონის სახელით და რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი 1997 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე.

ენერგოკომპანიების მსგავს მოქმედებებს, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი.

უფრო მეტიც, "თელასი" არ აპირებს დათმოს მომხმარებლებიდან თანხების ამოღების ზემოთ განხილული მარტივი, მაგრამ უსამართლო გზა და სემეკ-ის მიერ გამოტანილი მათთვის არასასურველი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ექვსი თვის ვადაში გეგმავს.

ზემოხსენებული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ძალზე შემაშფოთებელია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ:

- ენერგოსექტორში ამჟამადაც ადგილი აქვს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მიერ კანონებისადმი უპატივცემლობასა და განუკითხაობას მომხმარებელთა საზიანოდ;
- ენერგომომხმარებელთა სამართლებრივი ცნობიერება უკიდურესად დაბალია;
- სემეკს ჰმართებს მუშაობის გააქტიურება მხარეს არც ვალდებულების შესრულებას აკისრებს და არც მისი შესრულებისაგან ათავისუფლებს. სემეკ-ის ეს განმარტება იმას ნიშნავს, რომ **უძრავი ქონების ახალი მფლობელი ვალდებული არ არის, ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის გადასახადი გადაიხადოს, თუ მან ეს ვალდებულება თავად არ აიღო.**

საქართველოში ყოველდღიურად უამრავი უძრავი ქონება იყიდება. ადვილი წარმოსადგენია, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიები რა რაოდენობის მომხმარებელს ახდევინებდნენ სისტემატურად თანხას კანონის სახელით და რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი 1997 წლის 25 ნოემბრიდან დღემდე.

ენერგოკომპანიების მსგავს მოქმედებებს, სამწუხაროდ, დღესაც აქვს ადგილი.

უფრო მეტიც, "თელასი" არ აპირებს დათმოს მომხმარებლებიდან თანხების ამოღების ზემოთ განხილული მარტივი, მაგრამ უსამართლო გზა და სემეკ-ის მიერ გამოტანილი მათთვის არასასურველი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ექვსი თვის ვადაში გეგმავს.

ზემოხსენებული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, ძალზე შემაშფოთებელია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ:

- ენერგოსექტორში ამჟამადაც ადგილი აქვს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების მიერ კანონებისადმი უპატივცემლობასა და განუკითხაობას მომხმარებელთა საზიანოდ;
- ენერგომომხმარებელთა სამართლებრივი ცნობიერება უკიდურესად დაბალია;
- სემეკს ჰმართებს მუშაობის გააქტიურება ენერგოსექტორში სამოქალაქო კანონმდებლობის პატივისცემისა და დაცვის მიმართულებით.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

სემეკ-ის 2001 წლის N10 დადგენილების 25-ე მუხლი ითვალისწინებს კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალის ანაზღაურებას, მაგრამ იმავე დადგენილებაში არაფერია ნათქვამი მომხმარებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული. ეს გარემოება დიდ გაუგებრობას ქმნის და კომპანიას, მომხმარებლის ინტერესების ხარჯზე, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან მომხმარებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანიას სემეკის აღნიშნულ დადგენილებაზე აპელირების საშუალება ეძლევა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, დადგენილების 25-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბებულიყო, სადაც, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, გათვალისწინებული იქნებოდა მომხმარებლის უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

რეკომენდაციები

განხილულ საკითხებზე მსჯელობა სემეკ-ისთვის შემდეგი რეკომენდაციების შეთავაზების საფუძველს იძლევა:

1. 2001 წლის 20 სექტემბრის N 10 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტი უნდა გაუქმდეს, რადგან იგი მისი კანონთან შეუსაბამო შინაარსით წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა;
2. აღნიშნული დადგენილების 25-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, სადაც აღნიშნული იქნება, რომ *მომხმარებელს უფლება აქვს, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, კომპანიისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს;*
3. სემეკმა უნდა უზრუნველყოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქვითრის ფორმის კანონთან შესაბამისობა, კერძოდ, ქვითრის გრაფა "მიმდინარე გადასახადი" უნდა ასახავდეს უძრავი ქონების მხოლოდ ახალი მფლობელის გადასახადს, ხოლო ძველი მფლობელის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება კი შესაძლოა, დროებით (საკითხის გარკვევამდე) ქვითრის ცალკე გრაფაში აისახოს;
4. სემეკმა უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება საჩივრების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, კანონით დადგენილი ვადების მკაცრად დაცვისათვის.

ენერგოეფექტურობის ფონდი იმედოვნებს, რომ სემეკ-ი გაითვალისწინებს მოცემულ რეკომენდაციებს. ფონდი ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობას თავის სპეციალურ გამოცემაში - ინტერნეტ-ჟურნალში გეგმავს.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი"
გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

გისურვებთ, დამდეგ 2005 წელს თითოეული ოჯახისთვის ბევრი სიხარული, ბედნიერება და სიკეთე მოეტანოს;
საქართველოს საზოგადოება კი მალე გათავისუფლებულიყოს კორუფციისგან და ყველას ჯანსაღ გარემოში გვეცხოვროს.



Элемент цивилизации — 27 кодификаций

Фото: Элементы цивилизации — 27 кодификаций.

დონ ჯოვანი vs დონ ჯოვანი

საოპერო რევანში ქართულად

მადი სერებრიაკოვა

იტალია ოპერის სამშობლოა და იტალიელი მომღერლების გასტროლი საქართველოში ყოველთვის მოვლენა იყო. თუმცა, უცხო ყოველთვის როდი ნიშნავს საუცხოოს. გასული ორი კვირის განმავლობაში თბილისის საოპერო თეატრში ორჯერ შედგა მოცარტის "დონ ჯოვანის" წარმოდგენა. პირველად ის იტალიელმა სოლისტებმა წარმოგვიდგინეს. იტალიელთა გასტროლს ახალბედა ქართველმა სოლისტებმა გუშინ საკუთარი ინტერპრეტაციით უპასუხეს. უხვი მუსიკალური ბიოგრაფიული ცნობებით აღჭურვილ იტალიელებს გუშინდელი სპექტაკლი რომ ენახათ, სიმღერის სურვილი გაუქრებოდათ. მოცარტის "დონ ჯოვანი" ახალგაზრდა ქართველი სოლისტების შესრულებით თბილისის საოპერო თეატრში ამ სეზონის საუკეთესო საოპერო წარმოდგენა იყო.

რამდენიმე თვის წინათ ოპერის თეატრში რეფორმები დაიწყო. შეიცვალა თეატრის ხელმძღვანელობა, გადახალისდა დასი: ორკესტრი, გუნდი, სოლისტები. თეატრში მოვიდა ახალგაზრდა სოლისტთა ჯგუფი, რომელზეც თეატრის ახლანდელი ხელმძღვანელობა დიდ იმედს ამყარებს. ამ თვალსაზრისით, გუშინდელი სპექტაკლი თამამი ექსპერიმენტი იყო, რომელშიც თითქმის ყველა წამყვან პარტიას, ფაქტობრივად, დებიუტანტები ასრულებდნენ. ექსპერიმენტმა გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, იტალიელი მომღერლების მიერ შესრულებული "დონ ჯოვანის" ფონზე გუშინ თავი ლა სკალაში გეგონებოდათ.

პირველ რიგში, გუშინდელი სპექტაკლი წარმატებას ახალგაზრდა სოლისტებს უნდა უმადლოდეს. მათმა ენერგიამ და ენთუზიაზმმა შეკრა და ახალი სიცოცხლე შთაბერა საკმაოდ მოძველებულ და სტატიკურ წარმოდგენას. თავის დროზე იგი მიხეილ თუმანიშვილმა დადგა. ქედს ვიხრი დიდი რეჟისორის წინაშე, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გაცვდა და გახუნდა დეკორაცია და კოსტიუმები, შეიცვალა მომღერალთა თაობა. დაბოლოს, შეიცვალა დამოკიდებულებაც თეატრისადმი, თვით მოცარტის კლასიკური "დონ ჯოვანისადმი". როდესაც სოლისტი ათი წუთის განმავლობაში თითქმის გაუნძრევლად დგას გახუნებული ფარდის წინ - ეს ძნელად თუ დააინტერესებს თეატრში მისულ მაყურებელს, მით უფრო, რომ შეუძლია, იგივე არია, ბევრად უკეთესი შესრულებით, შინიდან გაუსვლელადაც მოისმინოს.

"დონ ჯოვანის" ახალი სოლისტები ცდილობდნენ, საკუთარი პარტიები როგორმე გაეხალისებინათ არტისტული თვალსაზრისით. ახალგაზრდობა და სითამამე მათ ბევრის უფლებას აძლევს, თუმცა, მხოლოდ მსახიობის ინიციატივის იმედზე სამსაათიანი სპექტაკლის მიტოვება მაინც არ არის გამართლებული. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი კარგად ირგებდა საკუთარ პარტიას და ცდილობდა, მასში თავისი ორიგინალური ინტერპრეტაციების განხორციელებას, საერთო ჯამში, ეს ყველაფერი ხშირად სრულიად ამოვარდნილი იყო საერთო კონტექსტიდან და არ პასუხობდა ერთიან რეჟისორულ გადაწვეტას. აქ მომღერლებს ნამდვილად არ მიუძღვით ბრალი. ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ რეჟისურის პრობლემა იყო.

მადი სერებრიაკოვას ფოტო

სპექტაკლის მთავარი გმირი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, დონ ჯოვანი იყო ნიკა ლაგვილავას შესრულებით. ძლიერი, მუქი ტემბრის, უშუალო არტისტიზმის, სითამამისა და ასაკისთვის სრულიად მოულოდნელი დამაჯერებლობის წყალობით, ლაგვილავას დებიუტს შეგვიძლია ძალზე წარმატებული ვუწოდოთ. ლაგვილავას წარმატება გაიზიარა ნინო მაჩაიძემაც. ცერლინასა და დონ ჯოვანის აღნიშნული დუეტი სცენაზე პირველი გამოჩენიდან - უკანასკნელ ბგერამდე იპყრობდა მაყურებლის სმენასა და ყურადღებას, როგორც შესანიშნავი ხმებისა და მუსიკალური ინტერპრეტაციის, ისე არტისტულობის თვალსაზრისით. თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მსახიობების კერძო ინტერპრეტაციები ზოგჯერ არ ჯდებოდა საერთო რეჟისორულ კონცეფციაში. ნათელი და ჟღერადი სოპრანო - ნინო მაჩაიძე ლაგვილავასა და გოჩა დათუსანთან ერთად (ეს უკანასკნელი მაზეტოს პარტიას ასრულებდა) გასულ წელს საოპერო სტუდიაში განხორციელებულ "დონ პასკუალეში" გამოჩნდნენ ერთად და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. ამჯერადაც მათი ანსამბლი მშვენივრად იყო შეთამაშებული და კომიკური ელემენტებით ახალისებდა საკმაოდ პირქუშ სპექტაკლს.

ვოკალური თვალსაზრისით გამორჩეული იყო გია მახარაძის დონ ოტავიო. მახარაძემ იტალიელებთან ერთადაც შეასრულა ეს პარტია, თუმცა, გუშინდელი ვარიანტი წინას ბევრად სჯობდა. მახარაძე ძალზე სადა თეატრალურობით გამოირჩევა, თუმცა, უცებ იპყრობს ყურადღებას შესანიშნავი ხმისა და დახვეწილი, გემოვნებიანი შესრულების მანერის გამო. სადა, მაგრამ მუსიკალურად დახვეწილი იყო მიშელინა ქობალიანი (დონა ანა) და მათთან შედარებით ახალბედა სოფო ჯანელიძე (დონა ელვირა).

ისევე როგორც გასულ სპექტაკლში, ამჯერადაც ლეპორელოს პარტიას გია ასათიანი ასრულებდა. ორკესტრს კი გიორგი ჟორდანია დირიჟორობდა. ამ სპექტაკლზე ორკესტრიც ბევრად უფრო შეკრული იყო, ვიდრე გასულ "დონ ჯოვანიზე" და მთლიანად სპექტაკლიც უფრო დინამიკურად წარიმართა.

2004 წლის ასეთი შედეგით დამთავრება რეფორმების პროცესში მყოფი თეატრისთვის ურიგო არ არის. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ წელს რეფორმები უკეთეს შედეგს გამოიღებს და სცენაზე მართლაც ვიხილავთ საინტერესო წარმოდგენებსა და ახალ ვარსკვლავებს. გუშინდელმა სპექტაკლმა რამდენიმე ვარსკვლავის დაბადებას მისცა ბიძგი. თუმცა, მომავალი გვიჩვენებს, რამდენად გაამართლებენ ისინი იმედს, რამდენად შეინარჩუნებენ წინსვლის ტემპს.

გარდაიცვალა სონ სილზი

ამერიკაში 70-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხმის პატრონი, სონ სილზი დაკრძალეს. 62 წლის ცნობილი ბლუზმენის გარდაცვალების მიზეზი გართულებული დიაბეტი იყო.

სილზის წყალობით ჩიკაგოში გაჩნდა ერთ-ერთი პირველი, ბლუზზე ორიენტირებული ხმის ჩამწერი ფირმა "ალიგატორი". სწორედ ეს ფირმა უშვებდა სონ სილზის ჩანაწერებს. კარიერის განმავლობაში მუსიკოსმა სამჯერ მიიღო W.C. Handy-ის ბლუზის ჯილდო, 1980 წელს კი, Blues Deluxe-ზე მუშაობის გამო წარდგენილი იყო "გრემიზე".

გიტარაზე შესრულება სილზს მამისგან ერგო მემკვიდრეობით. თუმცა, სონ სილზის მუსიკალური კარიერა დასარტყამი ინსტრუმენტებით დაიწყო. 1971 წელს ჩიკაგოში გადაბარგებულმა სილზმა შექმნა საკუთარი ჯგუფი; ორი წლის შემდეგ კი, გამოუშვა სადებიუტო ალბომი The Son Seals Blues Band, რომელმაც მსმენელზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მორიგმა ნამუშევარმა ახალგაზრდა ბლუზმენს საკმაოდ კარგი რეპუტაცია შეუქმნა. სონ სილზის უკანასკნელი ალბომი Lettin' Go ოთხი წლის წინათ გამოვიდა.

ადგილი ისტორიაში

ლეგენდარულმა სიმღერამ - Stairway to Heaven-მა მუსიკის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევრის ადგილი დაიმკვიდრა. საშობაო გამოკითხვა ერთ-ერთმა ბრიტანულმა რადიოსადგურმა ჩაატარა. ყველა დროის საუკეთესო სიმღერად "ლედ ზეპელინის" Stairway to Heaven გამოკითხულთა 70-მა პროცენტმა მიიჩნია. საუკეთესო ხუთეულში კი მოხვდნენ: Lynyrd Skynyrd-ის Freebird; "ქუინის" Bohemian Rhapsody, "დიფ ფარფლის" Smoke on the Water და "ბლექ საბათის" Paranoid.

რაც შეეხება გამოკითხვის ლიდერს, Stairway to Heaven არასდროს არ გამოცემულა სინგლის სახით, თუმცა კი მისი ქავერ-ვერსია სხვადასხვა დროს შეასრულეს: როლფ ჰარისმა და დოლი პარტონმა.

გამოკითხვის ათეულში "ზეპელინის" კიდევ ორი სიმღერა Whole Lotta Love და და Rock and Roll მოხვდა.

შვილები ავთო, იზა ტაბუცაძეები, ძმები ნოდარი, უშანგი, და მანანა საბანაძეები. სიძე ალეკო, რძალი თინიკო. შვილიშვილები ნინო, მაია, ვანიკო. დისშვილები, ძმიშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა ისმაილის ასული საბანაძე-ტაბუცაძე

პანაშვიდი: 28,29 დეკემბერს
მისამართი: ვ. ფშაველას №51 კორპუსი 8.
გამოსვენება 30 დეკემბერს 14 საათზე
ივერის ხვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიიდან
მისამართი: ნაძალადევის რაიონი
(ყოფილი თოფურუძის №1) ე. მანჯგალაძის №1.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.